საპოლიციო ზომები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად:

ტრენინგი პოლიციის რეაგირების შესახებ

ავტორები:
ჯოანა პერი და
პოლ ფრანი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

საპოლიციო ზომები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად:

ტრენინგი პოლიციის რეაგირების შესახებ

ავტორები:
ჯოანა პერი და
პოლ ფრანი

რედაქტირება და
კოორდინაცია:
იური დე ბორი და
ევგენია გიაკომოპოლო

Council of Europe

Original title:
Policing Hate Crime against LGBTI persons:
Training for a Professional Police Response

ტექსტი შეიქმნა და გამოიყენება ევროპის საბჭოს ნებართვით. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით მთარგმნელ(ებ)ის სრული პასუხისმგებლობის ქვეშ.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

საქართველოში სახელმძღვანელოს ადაპტაცია უზრუნველყო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ დახმარებით. ჯგუფის შემადგენლობა: შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი და სახალხო დამცველის აპარატი. პროცესში ჩართულები იყვნენ ასევე EMC, WISG და თანასწორობის მოძრაობის წარმომადგენლები.

პუბლიკაცია ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში ევროპის საბჭოს 2020-2023 წწ სამოქმედო გეგმის ქვეშ დანიის სამეზობლო პროგრამის (DANEP) მხარდაჭერით.

წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასთან ან თარგმნასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int), ხოლო დოკუმენტის შესახებ ნებისმიერი სხვა სახის კორესპონდენცია, გთხოვთ, გაუგზავნოთ დემოკრატიის გენერალურ დირექტორატს, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის დეპარტამენტს.

წინამდებარე გამოცემა არ არის რედაქტირებული დოკუმენტების და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტის (SPDP) მიერ, ბეჭდვითი და გრამატიკული შეცდომების შესწორების მიზნით.

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

ფოტო: Shutterstock

© ევროპის საბჭო, 2020 წლის დეკემბერი.

სარჩევი

შესავალი და მიმოხილვა	5
მიმოხილვა	7
I მოდული: რატომ ვართ აქ?	10
II მოდული: ძირითადი ცნებები	29
მოდული 2(ა): ძირითადი ცნებები და განმარტებები — ლგბტ თემი — ჰომოფობია, ტრანსფობია, სტერეოტიპიზაცია და დისკრიმინაცია	30
მოდული 2(ბ): ძირითადი ცნებები და დეფინიციები — სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	50
III მოდული: საპოლიციო ღონისძიებები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად: ადამიანის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე დაფუძნებული მიდგომა	60
IV მოდული: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება	80
V მოდული: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (CSOs)	133
დანაშაულის გამოძიების რუკის შედგენა: პოლიტიკის ჩარჩო	146
დანართი 1: დღის წესრიგების ნიმუშები ერთ და ორდღიანი ტრენინგებისთვის	153

შესავალი და მიმოხილვა

პოლიცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წინა ხაზზე დგას და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა უმეტესობას სწორედ მათთან აქვთ პირველი კონტაქტი.[1] ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებისა და გამოძიებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გარეშე, პოლიცია ვერ შეძლებს მსხვერპლთა დაცვას და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფას, საზოგადოების ნდობის მოპოვებას ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის სამართლიან და გამჭვირვალე გამოყენებას.

ევროპის საბჭო დიდი ხანია მუშაობს ცნობიერების ამაღლებაზე მიზანმიმართული ძალადობის, მათ შორის, რასისტული, რელიგიური, გენდერული, ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის შესახებ. მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის საკვანძო რეზოლუციებსა და რეკომენდაციებში აღიარებულია ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციისა და დანაშაულის ზიანი და ზეგავლენა; ასევე, ხაზგასმულია ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობა მსხვერპლთა მხარდაჭერის, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის, სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის.[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ცალსახად აღიარებულია სიძულვილისა და ჰომოფობიური მოტივის „გამოაშკარავების" მნიშვნელობა და ხაზგასმულია შედეგები, რომლებიც დადგება მათი გამოვლენის გარეშე: „სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მართლმსაჯულების აღსრუ-

1. ევროპის საბჭო აღიარებს, რომ ტერმინი „მსხვერპლი" მიუღებელია ბევრი ადამიანისთვის, ვინც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე გახდა. ვაღიარებთ, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანები ამჯობინებენ ტერმინს „გადარჩენილი", რადგან კარგად ასახავს მათ გამოცდილებას. ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია ტერმინი „მსხვერპლი", რადგან ყველაზე უკეთ შეესაბამება იმ პირის იურიდიულ და ტექნიკურ სტატუსს, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე გახდა და შეხება აქვს პოლიციასა თუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს სხვა სტრუქტურებთან. წინამდებარე სახელმძღვანელოში არაერთგზის გაესვა ხაზი, რომ პოლიციამ დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომა უნდა დანერგოს: კერძოდ, ჰკითხოს მას, თუ როგორ სურს, მიმართონ, და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი სურვილები.
2. იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)5 წევრი ქვეყნებისადმი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ; და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუცია ევროპაში ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ.

ლებისადმი მკაცრი მიდგომის გარეშე, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები ჩვეულებრივ დანაშაულებად განიხილება, რაც გაუტოლდება ოფიციალურ ან დუმილით გამოხატულ თანხმობას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე."[3]

- წინამდებარე სახელმძღვანელო მიემართება ევროპის საბჭოს რეგიონში დასაქმებულ პოლიციელთა ტრენერებს, ასევე, გამომძიებლებს, მენეჯერებს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაში ჩართულ ოფიცრებსა და პოლიციის თანამშრომლებს. სახელმძღვანელოს მიზანია ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ტრენინგების ჩასატარებლად დახმარება, ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი ინსტრუმენტებით აღჭურვა. იგი ეფუძნება ევროპის საბჭოს სტანდარტებს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ასევე, ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთათვის შემუშავებულ სასწავლო მასალებს.

- სახელმძღვანელო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა მიდგომასა და საკითხის ექსპერტთა შეხედულებებს. რაც მთავარია, ის ორიენტირებულია მსხვერპლსა და საზოგადოებაზე, აღიარებს, რომ მათი ნდობა სამართალდამცავებისადმი და მზაობა თანამშრომლობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ამ დანაშაულის წარმატებით გამოძიებისთვის.

- პოლიციის ტრენინგი მხოლოდ ერთი ელემენტია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლაში ყოვლისმომცველი მიდგომის დასანერგად. პოლიციის სტატისტიკის წარმოების სისტემაში სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ყველა ასპექტი, ხოლო საუკეთესო საგამოძიებო პრაქტიკას უნდა უზრუნველყოფდეს ოფიციალური ინსტრუქციები და სახელმძღვანელო პრინციპები. ტრენინგები უნდა გაიარონ პროკურატურის წარმომადგენლებმაც, როგორც პოლიციის მთავარმა პარტნიორებმა, რათა წარმატებით და სამართლიანად განახორციელონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნა. და ბოლოს, პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა აღიარებდეს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულით გამოწვეულ კონკრეტულ ზიანს და უნდა გამოყოს შესაბამისი რესურსები ამ ტრენინგის სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

- სახელმძღვანელო ეფუძნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დანაყოფის მუშაობის შედეგებსა და გამოცდილებას. ეს ცოდნა წევრ სახელმწიფოებს ეხმარება ეფექტიანი პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებაში, რომელთა მიზანია ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება, დევნა და ასეთი დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა.

3. იხ. საქმე *Identoba v Georgia,* პარ. 77.

მიმოხილვა

სახელმძღვანელოში ერთიანდება ხუთი მოდული და „სიღრმისეული ანალიზი“. მოდულები მოიცავს მრავალფეროვან პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც დაყოფილია მკაფიო ეტაპებად. ეტაპებისთვის მითითებულია კონკრეტული დროები და ინსტრუქციები მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

I მოდულში ყურადღება გამახვილებულია პოლიციის ხელმძღვანელობის ძალისხმევაზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ტრენინგების წარმატებით ჩატარებაში. მათი მეშვეობით მონაწილეებმა სათანადოდ უნდა გააცნობიერონ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზეგავლენა და გაეცნონ დისკრიმინაციის ფართო კონტექსტს, რომელსაც ლგბტ პირები განიცდიან ევროპის საბჭოს რეგიონში.

II მოდული ეხმარება მონაწილეებს ისეთი საკვანძო ცნებების უკეთ გაგებაში, როგორიცაა: „სექსუალური ორიენტაცია“; „გენდერული იდენტობა“ და „სქესის“ მახასიათებლები; „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“; „ჰომოფობია“, „ტრანსფობია“, „სტერეოტიპიზაცია“ და „დისკრიმინაცია“. ეს ქმნის საფუძველს, რომ ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ტექნიკურ საკითხებზე, რომლებიც განხილულია IV მოდულში.

III მოდულის სავარჯიშოები ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და პრინციპების გამოყენებას სამართალდამცავთა მიერ, რათა ეფექტიანად გამოიძიონ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული. მასალები ფართოდ მიმოიხილავს საერთაშორისო სტანდარტებს და მათ პრაქტიკაში გამოყენებას, რადგან ამ სტანდარტებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი საპოლიციო ზომები.

IV მოდული ეთმობა დაზარალებულზე ორიენტირებულ მიდგომას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ფარგლებში; ასევე, ძირითად უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის (სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ძირითადი განმასხვავებელი ელემენტი) გამოსაკვეთად. ამ მოდულში განხილულია ზემოაღნიშნული დანაშაულის ტრანსგენდერ მსხვერპლთა სპეციფიკური საჭიროებებიც. და ბოლოს, მონაწილეები გამოწვევის წინაშე აღმოჩნდებიან: მათ უნდა განიხილონ ლგბტ თემთან ამჟამინდელი ურთიერთობის კონტექსტი.

V მოდულის დახმარებით მონაწილეები უკეთ გააცნობიერებენ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციათა მუშაობას, ასევე, მსხვერპლთა საჭიროებებზე რეაგირების გასაუმჯობესებლად, როგორ შეუძლია პოლიციას უფრო ეფექტიანი თანამშრომლობა მათთან. მოდული მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პირდაპირ წვლილს: ამ ნაწილში ისინი განმარტავენ, თუ რა სახის მომსახურებას აწვდიან მსხვერპლს, რომელ

მონაცემებს აგროვებენ და როგორია მათი გამოცდილება ლგბტ მსხვერპლთა საჭიროებებთან დაკავშირებით. მონაწილეებს ექნებათ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მუშაობის საშუალება, რათა გამოავლინონ სფეროები, რომლებიც, თანამშრომლობის შესაძლებლობებთან ერთად, გაუმჯობესებას საჭიროებს.

„სიღრმისეული ანალიზი“ არის არასავალდებულო ნაწილი. მისი მიზანია მონაწილეთა დახმარება: (1) იმ საკითხების იდენტიფიცირებაში, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს ტრენინგების წარმატებით განხორციელება ეროვნულ დონეზე; და (2) ამ პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომების გამოვლენაში. მონაწილეებს ექნებათ ეროვნული კონტექსტის გაანალიზების, ასევე, ხარვეზებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, იმ საკვანძო ელემენტებზე დაყრდნობით, რომლებიც აუცილებელია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის შესამუშავებლად. მათ შორისაა: სამართლებრივი ჩარჩო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვის სისტემები, სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების ხელმისაწვდომობა ან არარსებობა; ტრენინგები და მსხვერპლთა სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისები.

შენიშვნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დაკავშირებით (CSOs)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO) პოლიციის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან, რადგან მას ეხმარებიან ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების უკეთ გაგებასა და მათზე ეფექტიანად რეაგირებაში. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და მსხვერპლთა მხარდამჭერ სერვისებზე მონიტორინგისას მათი მთავარი როლის გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ ამ სახელმძღვანელოს მომზადებაში ჩართო წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებსაც მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიციისთვის მნიშვნელოვანი რესურსია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: მსხვერპლთათვის მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება; პოლიციასთან პარტნიორობა ტრენინგების ორგანიზებისას; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გავრცელებასა და გავლენაზე ინფორმაციისა და მონაცემების მიწოდება. თითოეული მოდული მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ შეიძლება პოლიციამ ისარგებლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოცდილებითა და მხარდაჭერით. V მოდული ეძღვნება ყველაზე ნაყოფიერად მუშაობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა შესაძლებელი გახდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი იდენტიფიცირება, ასევე, გამოძიება და მსხვერპლის მხარდაჭერა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ამ სახელმძღვანელოს მნიშვნელოვან სამიზნე აუდიტორიასაც ქმნიან: მისი გამოყენება შესაძლებელია ადვოკატირების რესურსად, რათა წახალისდეს ტრენინგები, რომლებიც მიემართება ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირებას და მის გამოძიებას ეროვნული და ადგილობრივი პოლიციის ძალების მიერ.

როგორ გამოვიყენოთ მოცემული სახელმძღვანელო: საჭიროებებზე მორგებული მიდგომა

სახელმძღვანელო შემუშავებულია იმგვარად, რომ ტრენერებს მაქსიმალური მოქნილობის საშუალება ჰქონდეთ. აქტივობებისა და მოდულების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ მონაწილეები, მასპინძელი ორგანიზაციის საჭიროებები და ისეთი კონკრეტული კონტექსტუალური მოთხოვნები, მაგალითად, როგორიცაა შეზღუდული დრო. რეკომენდებულია, ტრენერები ყურადღებით გაეცნონ სახელმძღვანელოს მიმოხილვას და კონკრეტულ მოდულებს, ასევე, აქტივობებსა თუ ტრენერისთვის განკუთვნილ შენიშვნებს, რათა შეაფასონ ყველაზე შესაფერისი მოდულები და აქტივობები.

გამოყენებული წყაროების სახით, ასევე, მასალების მოძებნის გასაადვილებლად, პირველ დანართში მოცემულია ერთ და ორდღიანი ტრენინგის დღის წესრიგის ნიმუშები. ძირითადი სასწავლო შედეგების მისაღწევად საკმარისი დროის გამოყოფისა და სათანადო ჩართულობისათვის, რეკომენდებულია ხელმძღვანელობა ორდღიანი ტრენინგის დღის წესრიგით. ადგილობრივი კონტექსტისთვის ყველაზე შესაფერისი მოდულებისა და აქტივობების შესარჩევად, რეკომენდებულია, ტრენერები დღის წესრიგის საბოლოო სახით შემუშავებამდე გაეცნონ წინამდებარე სახელმძღვანელოს.

I მოდული:
რატომ ვართ აქ?

წინაპირობები და მიზანშეწონილობა

აღნიშნულ მოდულში მიმოხილულია ტრენინგი და განმარტებულია მისი მნიშვნელობა, ასევე – რას ისწავლიან პოლიციის წარმომადგენლები მასში მონაწილეობით. მოდული იწყება პოლიციის ხელმძღვანელი პირის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციით, რომელშიც საუბრობს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გაცნობიერება და აღმოფხვრა; ასევე, გამოთქვამს იმედს, რომ მონაწილეები აქტიურად ჩაერთვებიან ტრენინგში და სათანადო ძალისხმევას გაიღებენ დასახული სასწავლო შედეგების მისაღწევად. ამ ტრენინგით მიღებული ცოდნის გრძელვადიან პერსპექტივაში გამოყენებისთვის, პოლიციის ხელმძღვანელობა აქტიურად უნდა უჭერდეს მხარს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სათანადო გამოძიებას. მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა ეს გზავნილი უშუალოდ მათი ზემდგომებისაგან მოისმინონ: დიდი განსხვავებაა, მსგავსი გზავნილი ტრენერისგან მოდის თუ ხელმძღვანელისგან!

მოდულის მეორე საკვანძო ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წვლილზე ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა დაზარალებულთა პოზიციის წარმოჩენა, ასევე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზეგავლენის უკეთ გაცნობიერება ადამიანებსა და საზოგადოებებზე. და ბოლოს, მონაწილეებს ეძლევათ საშუალება: გაეცნონ ლგბტ ადამიანთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფართო კონტექსტს; ასევე, უკეთ გააცნობიერონ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ევროპის საბჭოს რეგიონში ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციისა და ზიანის მიყენების მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია.

სწავლების შედეგები

შედეგად, მონაწილეები გააცნობიერებენ:

- რატომ არის საჭირო კონკრეტული მიდგომების დანერგვა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სხვა სახის ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში;
- რა მნიშვნელობა აქვს პოლიციის ხელმძღვანელობის მხარდაჭერას ამ სფეროში წარმატების მიღწევისთვის;
- სიძულვილით მოტივირებული და სხვა ძალადობრივი დანაშაულის, მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და ლგბტ პირთა მიმართ ძალადობის გავრცელებას/ზეგავლენას;
- პოლიციის ძირითად ვალდებულებას, დაიცვას მსხვერპლი, გამოიძიოს დანაშაული და გასწიოს თანაბარი და ღირსეული მომსახურება.

აქტივობების მიმოხილვა:

- აქტივობა 1.1: ხელმძღვანელი პირის წვლილი ტრენინგის მიზნებისა და საჭიროებების განსაზღვრაში;
- აქტივობა 1.2: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღწერა;
- აქტივობა 1.3: ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის სტატისტიკის მიმოხილვა.

აქტივობა 1.1: ხელმძღვანელი პირის წვლილი ტრენინგის მიზნებისა და საჭიროებების განსაზღვრაში;

სესიის დაწყებამდე ეცადეთ, შეხვდეთ პოლიციის წარმომადგენელს, ანდა ტელეფონით ან ელფოსტით განიხილოთ, რომელ ძირითად საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება მათ გამოსვლაში. ბუნებრივია, მათ საკუთარი აზრი აქვთ ამის შესახებ. შეგიძლიათ, შესთავაზოთ შემდეგი საკითხების ხაზგასმა:

- პოლიციის მიერ თანაბარი სერვისების მიწოდება ყველა თემისათვის და ყველა დაზარალებულთან ღირსებისა და პატივისცემის დაცვით მოპყრობა (მიუხედავად მათი მდგომარეობისა). ყურადღების გამახვილება, რომ პოლიციის სამსახურის ამ ძირითად პრინციპს იცავთ.
- ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის უაღრესად საზიანო ზეგავლენა; მიკერძოებული დამოკიდებულებით განპირობებული მოტივის ეფექტიანად გამოძიება; პროკურატურასთან თანამშრომლობა ამ დანაშაულთა ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნისათვის; და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონების გამოყენება;
- რა ცოდნა უნდა მიიღონ მონაწილეებმა ტრენინგის შედეგად: ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანად გამოძიებასა და შესაბამის თემებთან მუშაობაზე (სადაც შესაძლებელია, პარტნიორობით); დანაშაულის აღრიცხვის გაუმჯობესება და მსხვერპლთა ნდობის ამაღლება პოლიციისადმი – ასეთ რთულ და მგრძნობიარე საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობის მხრივ;

- ლგბტ თემის მიმართ პოლიციის არასათანადო მოპყრობაზე მკაფიო პროცედურების დაცვით ბრალდებების სრულად გამოძიება;
- როგორ გაუწევს პოლიციის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ტრენინგის შედეგებს და ამ ცოდნის გამოყენებას პოლიციის მთელი სისტემის მასშტაბით.

აქტივობა 1.2: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მსხვერპლთა ხედვა

თუ შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩართვა ამ სესიაში, თავიდანვე აღნიშნეთ, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახელმძღვანელოს/ტრენინგის მომზადებაში. გამოიყენეთ საგულისხმო გზავნილი: „ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ მოდულის მომზადებისას; თქვენ სამოქალაქო საზოგადოებასთან უნდა ითანამშრომლოთ მისი განხორციელების პროცესში“.

1. სესიის დაწყებამდე, გარკვეული დრო დაუთმეთ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა იდენტიფიცირებას, რომლებიც მონიტორინგს უწევენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მხრივ არსებულ ვითარებას ან/და უშუალოდ ეხმარებიან მსხვერპლს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე. მნიშვნელოვანია ისეთი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვაც, რომლებიც მუშაობენ ლგბტ თემის ყველა ჯგუფთან. პოლიციის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რომელი ორგანიზაციები აქტიურობენ ამ სფეროში. ასევე შეგიძლიათ: ეწვიოთ ვებ-გვერდს hatecrime.osce.org, მოძებნოთ კონკრეტული ქვეყნის ვებ-გვერდთა სექციები და გამოავლინოთ თქვენს რეგიონში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ საკითხებზე;[4] მიმართოთ კოლეგას ILGA-Europe-იდან[5] ან TGEU-დან[6], ან ევროპის საბჭოს SOGI დანაყოფს შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციის მოსაძიებლად. ეცადეთ, შეხვდეთ მათ წარმომადგენლებს ან დაუკავშირდეთ ტელეფონით/ელექტრონული ფოსტით, რათა გაგაცნონ თავიანთი ჩართულობის ძირითადი ასპექტები. თქვენც მიაწოდეთ ინფორმაცია ტრენინგის შესახებ და ყურადღება გაამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა დეტალურად განხილულია V მოდულში.

- წაახალისეთ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომ უფრო დაწვრილებით ისაუბრონ თავიანთი ორგანიზაციის საქმიანობაზე, ასევე, მათთან პოლიციის კავშირსა და თანამშრომლობაზე. სავარაუდოდ, ამ ადამიანებს საკუთარი მოსაზრებები ექნებათ სასაუბრო საკითხებზე. შეგიძლიათ, შესთავაზოთ:
- მონაწილეებისთვის მსხვერპლთა მდგომარეობის გაცნობა შემდეგი გზებით: საუბარი კონკრეტული ლგბტ პირის მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე; ან, სამუშაო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გავლენათა ზოგადი მიმოხილვა.

4. მაგ.: ესპანეთის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონიტორინგში, შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ნაწილში: „ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ“: http://hatecrime.osce.org/spain?year=2015
5. http://www.ilga-europe.org/who-we-are/contact-us
6. http://tgeu.org/about: დაათვალიერეთ ეს გვერდი ქვეყნების მიხედვით, წევრი ორგანიზაციების ჩამონათვალსა და მათ საკონტაქტო მონაცემებზე ინფორმაციის მოსაძიებლად.

- ყურადღების გამახვილება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა საჭიროებებზე, ასევე, თუ რატომ არის მათთვის ძნელი მსგავსი ინციდენტების გაცხადება პოლიციისთვის.
- საუბარი ტრენინგის მნიშვნელობაზე; ყურადღების გამახვილება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წვლილზე ტრენინგებში, განსაკუთრებით, V მოდულის მომზადებაში.
- კონკრეტული და რეალისტური წინადადებების მიწოდება (მაშინაც კი, თუ ეს მხოლოდ მცირე ნაბიჯებია!), თუ როგორ შეიძლება გააუმჯობესოს პოლიციამ ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და შესაბამის თემებთან.

აქტივობა 1.3: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მისი კონტექსტი

არსებობს მთელი რიგი გზები, რომელთა გამოყენებითაც შეგიძლიათ წარადგინოთ ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სხვა სახის ძალადობის სტატისტიკა. ამ ნაწილში ასახული მონაცემები შეგიძლიათ გამოიყენოთ PowerPoint პრეზენტაციების მოსამზადებლად, მონაწილეთათვის განკუთვნილი მასალები კი – 1.3 და 1.4 ჯგუფური დისკუსიის მოსაწყობად.

ეს სესია, დაახლოებით, 10 წუთი უნდა გაგრძელდეს და შეიძლება გაერთიანდეს 1.2 აქტივობასთან.

1. სესიის დაწყებამდე დაუთმეთ გარკვეული დრო 1.3 და 1.4 დასარიგებელი მასალების გაცნობას, რომლებიც მოიცავს სტატისტიკას და ინფორმაციას საკვანძო საერთაშორისო ანგარიშებიდან. შეგიძლიათ, მოიყვანოთ დამატებითი ინფორმაცია ეროვნული თუ ადგილობრივი კონტექსტის შესახებ, თქვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. გამოიყენეთ ამ მოდულის ბოლოს ჩამოთვლილი პუბლიკაციები ინფორმაციის წყაროს სახით და კონკრეტული კაზუსების გამოსაყენებლად. არსებობს თუ არა სტატისტიკური მონაცემები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ეროვნულ დონეზე? რა წყაროებზე დაყრდნობით არის მომზადებული ეს სტატისტიკა? ისეთი ოფიციალური წყაროებიდან, როგორებიცაა: პოლიცია, ეროვნული და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ან საერთაშორისო ანგარიშები? მნიშვნელოვანია თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის წყაროების დაზუსტება, რათა შეგეძლოთ ამ ინფორმაციის სარწმუნოობის დაზუსტება, თუკი ეს ეჭვქვეშ დადგება. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაცემების გამოყენება სრულიად მისაღებია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ პოლიციამ შეიძლება არ აღიაროს ისინი ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ოფიციალური ვითარების ამსახველ მონაცემებად. თუ ეს საკითხი ტრენინგის ფარგლებში გახდება საკამათო, თავი უნდა აარიდოთ პოლიციასთან პირდაპირ კამათს, მაგრამ უნდა განუმარტოთ, რომ:

- მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ შეიძლება სხვადასხვა წყაროდან იყოს მოძიებული;
- შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოების ხელთ არსებულმა მონაცემებმა არ მიაღწიოს პოლიციამდე, მაგრამ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა, რო-

მელიც ხელს უწყობს ლგბტ პირთა გამოცდილების სათანადოდ გააზრებას პოლიციის მიერ.

- ტრენინგის მიზანია, გამოავლინოს ინფორმაციის სხვა წყაროები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ და ასეთი ინფორმაციის ოფიციალური წყაროების გაუმჯობესების გზები.

ეროვნული კონტექსტისა და სტატისტიკის შესწავლისას გამოიყენეთ 1.5 დასარიგებელ მასალებში მითითებული რესურსების ჩამონათვალი.

2. სესია გახსენით განმარტებით, რომ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სტატისტიკის კონტექსტში გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: პირველ რიგში, ლგბტ პირები უფრო მეტად ექვემდებარებიან ძალადობისა და დისკრიმინაციის რისკს, ვიდრე ზოგადად მოსახლეობის სხვა ჯგუფები; და მეორე, ისინი ნაკლებად აცხადებენ პოლიციაში, რომ დანაშაულის მსხვერპლნი არიან. ამის შემდეგ საჭიროა ხაზგასმა, რომ პოლიციის ოფიცრები გარკვეული გამოწვევის წინაშე დგანან: მათ უნდა დაარწმუნონ ლგბტ პირები დანაშაულის შესახებ გაცხადებაში და თავად წაახალისონ ისინი, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია წარადგინონ ინციდენტზე, მაქსიმალურად უსაფრთხო გზით. პოლიციის ოფიცრებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები.

3. შეატყობინეთ ჯგუფს, რომ აპირებთ სტატისტიკის გაზიარებას მათთვის. გასათვალისწინებელია, რომ, წინა სესიისას მითითებული შემთხვევის მსგავსად, თითოეული შემთხვევა შეეხება კონკრეტულ ადამიანს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მიღმა არსებული სტატისტიკის გააზრება, არამედ – მისი ზეგავლენის გათვალისწინებაც.

4. ახლა გადადით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და, ზოგადად, დისკრიმინაციის გავრცელებისა და გავლენის საკვანძო საკითხებზე, 1.3. და 1.4. დასარიგებელ მასალებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ამ მასალების გამოყენება შეგიძლიათ PowerPoint პრეზენტაციების მოსამზადებლადაც.

5. ბოლოს, დაარიგეთ მასალა 1.5. და განუმარტეთ მონაწილეებს, რომ ამ მასალით სარგებლობა შეუძლიათ კოლეგებისთვის ჩასატარებელი ტრენინგების მომზადებისას.

დასარიგებელი მასალა 1.3: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მისი კონტექსტი

ევროპის საბჭოს რეგიონში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე ძალიან ცოტა ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემებია ხელმისაწვდომი, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ლგბტ პირთა მაღალი პროცენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლია. ქვემოთ მოყვანილია ამონარიდები ძირითადი საერთაშორისო ანგარიშებიდან, რომლებიც საკმარის ინფორმაციას შეიცავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და დისკრიმინაციაზე ლგბტ პირთა მიმართ. მათი გამოყენება შეიძლება თქვენს კონტექსტში, ამ ინციდენტების გავრცელებასა და ზეგავლენაზე წარმოდგენის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქვეყნებში განსხვავებული ვითარებებია და ეს არის საკითხი, რომელიც ყურადღებით უნდა გაითვალისწინოთ თქვენი ქვეყნის კონტექსტში.

ბევრი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აგროვებს მონაცემებს ევროპის საბჭოს რეგიონში ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ, თუმცა ამ თემაზე ოფიციალური ანგარიშების რაოდენობა შედარებით მცირეა. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2015 წელს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ეუთო-ს (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს (ODIHR) 24 ქვეყნის შესახებ წარუდგინეს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებზე (ყოველწლიური ანგარიშების წარდგენის მექანიზმის ფარგლებში), მაშინ როდესაც ასეთ შემთხვევებზე მიწოდებული ოფიციალური სტატისტიკით ODIHR-ს მხოლოდ 12-მა ქვეყანამ წარუდგინა ოფიციალური ანგარიში.

ქვეყნები, რომლებმაც წარადგინეს ანგარიში:

ალბანეთი	ანდორა	სომხეთი	ავსტრია	აზერბაიჯანი	ბელარუსი
ბელგია	ბოსნია და ჰერცოგოვინა	ბულგარეთი	კანადა	ხორვატია	კვიპროსი
ჩეხეთის რესპუბლიკა	დანია	ესტონეთი	ფინეთი	საფრანგეთი	საქართველო
გერმანია	საბერძნეთი	ვატიკანი	უნგრეთი	ისლანდია	ირლანდია
იტალია	ყაზახეთი	ყირგიზეთი	ლატვია	ლიხტენშტეინი	ლიეტუვა
ლუქსემბურგი	ჩრდილოეთ მაკედონია	მალტა	მოლდოვა	მონაკო	მონღოლეთი
მონტენეგრო	ნიდერლანდები	ნორვეგია	პოლონეთი	პორტუგალია	რუმინეთი
რუსეთის ფედერაცია	სან-მარინო	სერბეთი	სლოვაკეთი	სლოვენია	ესპანეთი
შვედეთი	შვეიცარია	ტაჯიკეთი	თურქეთი	თურქმენეთი	უკრაინა
გაერთიანებული სამეფო	აშშ	უზბეკეთი			

რამდენიმე ასეულ ანგარიშს ლგბტ პირებსა და მათ თემებზე თავდასხმის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ მისამართზე: http://hatecrime.osce.org/what-hate-crime/bias-against-lgbt-people". აქ ასევე ნახავთ ოფიციალურ მონაცემებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილ მონაცემებს ქვეყნების მიხედვით.

საქართველოს კონტექსტის უკეთ გასაგებად, შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდები:

- https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_1527514179.pdf
- https://emc.org.ge/uploads/editor/images/UN_independent_expert_on_SOGI_issues_1536141527.pdf
- https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E

1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

- http://women.ge/data/docs/publications/WISG-EM-ILGA-Joint-Submission-INDEPENDENT-EXPERT_2018.pdf
- http://women.ge/data/docs/publications/WISG-Unidentified_Violence_2017.pdf
- https://women.ge/data/docs/publications/AD-Coalition-Report-Groups-2017-GEO.pdf
- https://women.ge/data/policy%20paper/WISG_hate-crime_policy_paper_ILGA-2016.pdf
- http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asax-va-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf

საქართველოში ხშირია შემთხვევა, როდესაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ, მშობლებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების ზეგავლენით, დანაშაულს სჩადიან არასრულწლოვნები. არის შემთხვევები, როდესაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლის მომსახურებით სარგებლობენ პირები და შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ, ეუბნებიან, რომ ტრანსგენდერობა სირცხვილია და მის ადგილას თავს მოიკლავდნენ. ზოგჯერ სექსუალური უმცირესობის წევრები ერთმანეთის მიმართ სჩადიან დანაშაულს. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს დანაშაულს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე. საჭიროა საქმის ყოველმხრივ გამოკვლევა და, თუ დანაშაულის მიზეზად გამოიკვეთა დაზარალებულის უმცირესობისადმი კუთვნილება და მის მიმართ სიძულვილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შეუწყნარებლობად დისკრიმინაციის ნიშნით.

მომდევნო რამდენიმე დიაგრამა მოიცავს ამონარიდებს ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) ყველაზე მასშტაბური ანგარიშიდან: „ევროპის კავშირის კვლევა ლგბტ პირთა საკითხებზე – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები“ *(EU LGBT survey – European Union lesbian, gay, bisexual and transgender survey – Main results)*. დოკუმენტი შეეხება ამ პირთა მიმართ დისკრიმინაციას, ძალადობას, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სხვა საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში არ მოიცავს ევროპის კავშირის ფარგლებს მიღმა არსებულ ქვეყნებს, ის დეტალურ სურათს ქმნის ინდივიდუალურ გამოცდილებათა შესახებ. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია მესამე ქვეყნებში არსებულ ვითარებასთან შედარება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ქვემოთ ყურადღება გამახვილებულია თითოეულ გრაფაში ასახულ რამდენიმე საკვანძო ასპექტზე.

სურათი 32: ძალადობის გავრცელება გასული 5 წლის და ბოლო 12 თვის განმავლობაში ლგბტ ჯგუფის მიხედვით (%)



კითხვები: *F1_A. ეს კითხვა ეხება ძალადობის ნებისმიერ ინციდენტს, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოსცადეთ. შემთხვევა შეიძლება მომხდარიყო ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, სხვადასხვა მიზეზით. ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოფილხართ ფიზიკური/სექსუალური თავდასხმის ან ძალადობის მუქარის მსხვერპლი შინ თუ სხვა ადგილას (ქუჩა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამუშაო ადგილი და ა.შ.)?*
დიახ.
F1_2. როდის მოხდა ბოლო ფიზიკური/სექსუალური თავდასხმა ან ძალადობის მუქარა? ბოლო 12 თვის განმავლობაში.

ბაზა: *ევროკავშირის ლგბტ კვლევის ყველა რესპონდენტი.*

წყარო: *FRA, ევროკავშირის ლგბტ კვლევა, 2012.*

FRA, გვ. 57, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

ამ ცხრილიდან ნათელი ხდება, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ყველაზე ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

სურათი 33: ბოლო 12 თვის განმავლობაში სიძულვილით მოტივირებული ძალადობის გავრცელება მისი ტიპისა და ლგბტ ჯგუფის მიხედვით (%)



FRA, გვ. 57, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ტრანსგენდერი ადამიანები უფრო ხშირად ხდებიან ძალადობრივი თავდასხმის მსხვერპლნი, ვიდრე სხვა ჯგუფები.

სურათი 40: სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების პროცენტული მაჩვენებელი სიძულვილით მოტივირებული ძალადობის შემთხვევათა საერთო რაოდენობასთან მიმართებით (ლგბტ ჯგუფების მიხედვით) (%)



კითხვები: FA1_5. *ფიქრობთ, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ფიზიკური/სექსუალური თავდასხმის ან ძალადობის ბოლო ინციდენტი ნაწილობრივ/სრულად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ A3 ან A4 კატეგორიად აღიქმებით? დიახ.* FA1_4. *ბოლო ფიზიკური/სექსუალური თავდასხმის ან ძალადობის ფაქტებიდან რომელი განხორციელდა თქვენ მიმართ? 2. სექსუალური თავდასხმა 3. ფიზიკური და სექსუალური თავდასხმა (გამოთვლილი ცვლადი).*

შენიშვნა: *A3 და A4-ში თვითიდენტიფიკაციის კატეგორიებში ერთიანდება: ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, ქალი ტრანსსექსუალური წარსულით, კაცი ტრანსსექსუალური წარსულით, გენდერული ცვალებადობა, ქროსდრესინგი, ქვიარი, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი თუ სხვა.*

ბაზა: *ევროკავშირის ლგბტ კვლევის რესპონდენტები, რომელთა მიმართაც ნაწილობრივ/სრულად განხორციელდა ფიზიკური/სექსუალური თავდასხმა ან ძალადობის მუქარა ბოლო 12 თვის განმავლობაში, რადგან ისინი ლგბტ თემის წევრად აღიქმებოდნენ.*

წყარო: *FRA, ევროკავშირის ლგბტ კვლევა, 2012.*

FRA, გვ. 62, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ლგბტ პირთა მიერ განცდილ ძალადობის კატეგორიებს შორის სექსუალური ძალადობა ყველაზე ხშირია. აღსანიშნავია, რომ ბისექსუალი ქალები განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ არიან.

	უკანასკნელი	ყველაზე სერიოზული
დამნაშავე მარტო იყო?		
მარტო	36	36
ერთზე მეტი	64	64
რომელი გენდერის იყო/იყვნენ დამნაშავე/ დამნაშავეები?		
კაცი	84	86
ქალი	4	4
ორივე, კაციც და ქალიც	12	10
არ ვიცი	0	0
ფიქრობ, რომ დამნაშავე/დამნაშავეები იყო/იყვნენ:		
გეი	3	3
ლესბოსელი	0	1
ბისექსუალი	1	2
ჰეტეროსექსუალი	72	69
შერეული სექსუალური ორიენტაციის	4	4
არ ვიცი	20	21
ვინ იყო/იყვნენ დამნაშავე/დამნაშავეები?		
ოჯახის წევრი	7	7
მეზობელი	6	5
თანამშრომელი	5	4
ვინმე სკოლიდან, კოლეჯიდან ან უნივერსიტეტიდან	12	14
მყიდველი, კლიენტი ან პაციენტი	4	3
ვინმე სხვა, ნაცნობი პირი	12	11
ექსტრემისტული/რასისტული ჯგუფის წევრი	15	14
თინეიჯერი ან თინეიჯერთა ჯგუფი	36	33
პოლიციელი	4	3
უსაფრთხოების ოფიცერი	4	3
სხვა საჯარო მოხელე (მესაზღვრე, საჯარო მოხელე)	3	2
ვინმე სხვა, უცნობი პირი	45	42
სხვა პირ(ებ)ი	3	3

FRA, გვ. 64, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ძალადობრივი თავდასხმის შემთხვევათა უმეტესობაში დამნაშავე იყო არასრულწლოვანი ან არასრულწლოვანთა ჯგუფი (გარდა იმ ინციდენტებისა, სადაც თავდამსხმელის ვინაობა უცნობია).

	უკანასკნელი	ყველაზე მძიმე
სახლში	8	8
სხვა საცხოვრებელ შენობაში, ბინაში	2	2
სკოლაში, უნივერსიტეტში	5	7
სამუშაო ადგილზე	4	3
კაფეში, რესტორანში, პაბში, კლუბში	11	9
მანქანაში	1	1
საზოგადოებრივ ტრანსპორტში	8	7
სპორტულ კლუბში	1	0
სხვა შენობაში	3	2
ქუჩაში, მოედანზე, ავტოსადგომზე ან სხვა საჯარო ადგილზე	44	43
პარკში, ტყეში	4	6
ლგბტ თემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილებში (მაგ.: კლუბი, ბარი) ან ღონისძიებაზე (მაგ.: პრაიდი)	3	4
სადმე გარე სივრცეში	5	6
სხვა	2	2

FRA, გვ. 65, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველაზე ხშირად ასეთი თავდასხმები ხდებოდა ქუჩებში, სკვერებში, ავტოსადგომებზე ან საზოგადოებრივ სივრცეებში.

სურათი 42: სიძულვილით მოტივირებული ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევა, რომელიც ლგბტ ჯგუფმა პოლიციას შეატყობინა



კითხვა: *FA2_5. ფიქრობთ, რომ ეს ფიზიკური/სექსუალური თავდასხმის ან ძალადობის შემთხვევა ნაწილობრივ/სრულად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ A3 ან A4 კატეგორიად აღიქმებით? დიახ.*

FA2_11. *სხვამ შეატყობინა პოლიციას?*

შენიშვნა: *A3 და A4-ში თვითიდენტიფიკაციის კატეგორიებში ერთიანდება ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, ქალი ტრანსსექსუალური წარსულით, კაცი ტრანსსექსუალური წარსულით, გენდერული ცვალებადობა, ქროსდრესინგი, ქვიარი, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი თუ სხვა.*

ბაზა: *ევროკავშირის ლგბტ კვლევის რესპონდენტები, რომელთა მიმართაც ნაწილობრივ/სრულად განხორციელდა ფიზიკური/სექსუალური თავდასხმა ან ძალადობის მუქარა ბოლო 5 წლის განმავლობაში, რადგან ისინი ლგბტ თემის წევრებად აღიქმებოდნენ.*

წყარო: *FRA, ევროკავშირის ლგბტ კვლევა, 2012.*

FRA, გვ. 66, EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ ინციდენტების ძალიან დაბალი პროცენტული ოდენობა გაცხადდა პოლიციაში.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ხდება ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, უარყოფითი წინასწარგანწყობებისა და ცრუ შეხედულებების კონტექსტში.

მაგალითად, ლგბტ პირთა მნიშვნელოვანი პროცენტული ოდენობა განიცდის დისკრიმინაციას სამუშაო ადგილას და საქონლისა და მომსახურების მიწოდების კონტექსტში. FRA-ის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ლგბტ პირთა 19%-მა გამოსცადა დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას. დისკრიმინაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ტრანსგენდერი პირების შემთხვევაში (30%). კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ლგბტ ადამიანთა 32% დისკრიმინაციულ მოპყრობას გრძნობდა რესტორნებსა და კაფეებში, საცხოვრებლის ძიებისას, ჯანდაცვის, საბანკო ან სადაზღვევო მომსახურების მიღების დროს, ასევე, სპორტულ კლუბებსა და დარბაზებში.

ლგბტ პირთა მიერ განცდილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების თვალსაზრისით არსებული ურთიერთგადამკვეთი განსხვავებების განმაპირობებელი ფაქტორები

ცხადია, რომ ლგბტ პირებს აქვთ იდენტობის ისეთი სხვა მახასიათებლებიც, როგორებიცაა სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა და რელიგია, რომლებიც შეიძლება გადაიკვეთოს და დასაბამი მისცეს სპეციფიკურ (ხშირად, მძიმე) გამოცდილებას და განსხვავებულ საჭიროებებს. ეს უკეთ უნდა გააცნობიერონ და გაითვალისწინონ პოლიციისა და სხვა სამსახურებმა.

გენდერი: FRA-ის კვლევის მიხედვით, ლესბოსელი ქალების 55% მიიჩნევდა, რომ განიცდიდა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას ან შევიწროებას, მაშინ, როდესაც გეი კაცებში ეს მაჩვენებელი 45% იყო. როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილში აღინიშნა, ტრანსგენდერი ადამიანები უფრო ხშირად იყვნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

ასაკი: FRA-ის კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ლგბტ პირები უფრო ხშირად ექვემდებარებიან დისკრიმინაციას ან შევიწროებას სექსუალური ორიენტაციის გამო, ვიდრე შედარებით ასაკიანი ლგბტ პირები: 18-24 წლის რესპონდენტთა 57% აცხადებდა, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 25-39 წლის ასაკის რესპონდენტთა შემთხვევაში 45%-ს შეადგენდა.

ეთნიკური წარმომავლობა: ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის ანგარიშის შესაბამისად („ქალთა გამოცდილება ჰომოფობიისა და ტრანსფობიის კონტექსტში"), აფრო-კარიბული წარმომავლობის ქალები უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი თავიანთი საქციელის ან გარეგნობის შეცვლისკენ ჰომოფობიური ან ტრანსფობიური თავდასხმის შემდეგ (MPS, 2008).

სხვა კვლევები:

- *„ინფორმაციისთვის: ძალადობა ტრანს ადამიანების მიმართ, ProTrans-ის გამოცდილება – პროექტი „ტრანსგენდერი ადამიანების ძალადობისგან დაცვა“.*[7]

  აღნიშნულ ანგარიშში გაერთიანებული დასკვნები გაკეთდა იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერდა ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ტრანსგენდერ პირთა მიმართ დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონიტორინგის ორგანიზაციებს. პროექტმა დაადგინა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ძალადობრივი თავდასხმებისა და ფართომასშტაბიანი დისკრიმინაციის ძალიან მაღალი რისკის ქვეშ იყვნენ. მოცემული ანგარიში სხვადასხვა ქვეყანაში გამოვლენილ შემთხვევათა კვლევის კარგი წყაროა.

- *„ინფორმაციისთვის: ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ძალადობის დოკუმენტირება: სომხეთის, საქართველოს, გერმანიის, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის გამოცდილება“ (მომზადების პროცესშია):*

  ეს ანგარიში აერთიანებს უფრო მეტ ქვეყანაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს (სათაურში ჩამოთვლილი ქვეყნები). მასში ასევე დოკუმენტირებულია სტრუქტურული ძალადობა, მათ შორის, დისკრიმინაცია, ძალიან სერიოზული ინტერპერსონალური ძალადობა, და პოლიციის მხრიდან ძალადობა.

- *„ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების წახალისება“ – ევროპის რეგიონის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი პირების მხარდაჭერის საერთაშორისო ასოციაციის (ILGA-Europe) ანგარიში (მომზადების პროცესშია):*

  აღნიშნულ ანგარიშში გაერთიანებული დასკვნები გაკეთდა იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და ინციდენტებზე სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგს 12 ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებში: ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, თურქეთი და უკრაინა. იგი იმეორებს FRA-ის ანგარიშის ფარგლებში გაკეთებულ დასკვნებს, მათ შორის, ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტებს: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების უმეტესობა საჯარო სივრცეში ხდება; ტრანსგენდერი ადამიანები ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან; და ძალიან დაბალია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პოლიციისთვის შეტყობინების მაჩვენებლები.

7. http://tgeu.org/wp-content/uploads/2013/11/TGEU_protrans_publication_1_Nov.pdf

დასარიგებელი მასალა 1.4: პირადი გამოცდილებები

დავითმა შეამჩნია, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი, ვახო, ხშირად ათვალიერებდა ბიჭების სურათებს. შვილის თანხმობის გარეშე შეამოწმა მისი სოციალური ქსელის ვებ-გვერდი და ნახა ვახოს მიმოწერები მამრობითი სქესის ადამიანებთან. გაესაუბრა შვილს და როდესაც გაიგო, რომ მას ჰქონდა ინტერესი ბიჭების მიმართ, უნდოდა ჩაეცვა ქალივით და ეტარებინა პარიკი, დაუმტვრია კომპიუტერი, ჩამოართვა ტელეფონი და სცემა. ამასთან, დაემუქრა, რომ თუ არ გახდებოდა „ნორმალური“, მოკლავდა. ვახომ ამ ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მომხდარი ვახომ შეატყობინა სამართალდამცველ ორგანოებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები დაზარალებულის დასაცავად. გამოიცა შემაკავებელი ორდერი, დავითს აეკრძალა ნებისმიერი კომუნიკაცია ვახოსთან და განესაზღვრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (აღსანიშნავია, რომ ბრალში აღინიშნა დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც ქმედების დამამძიმებელი გარემოება).

ამ მასალაში ასახულია სტატისტიკის მიღმა არსებული პირადი ისტორიები.

„ ერთი წლის შემდეგ ჯერ კიდევ მეშინია.... თავდასხმის მერე არ შემეძლო ქუჩაში გასვლა გამუდმებით უკან ყურების გარეშე, რათა შემემოწმებინა, ვინმე ხომ არ მესხმოდა თავს ზურგიდან... ჯერ კიდევ ტრავმირებული ვარ, ხანდახან კოშმარები მაწუხებს“.

მიშელი, რომელსაც კატანიაში (იტალია) თავს დაესხნენ.
ამონარიდი ანგარიშიდან „იმის გამო, თუ ვინ ვარ: ჰომოფობია, ტრანსფობია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ევროპაში“, გვ. 7.

ბოსნია და ჰერცეგოვინა: ფიზიკური შეურაცხყოფის ინციდენტი

სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდა კაცი განუწყვეტლივ განიცდიდა ფიზიკურ შეურაცხყოფას სამეზობლოში მცხოვრები ახალგაზრდების ჯგუფისგან. მის სახლს ესროდნენ ქვებს და სხვადასხვა საგანს, პირადად კი შეურაცხყოფას აყენებდნენ, ემუქრებოდნენ და აშინებდნენ, რადგან გეი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეს ინციდენტი პოლიციისთვის ცნობილი იყო, დაზარალებულმა უარი თქვა თავდამსხმელთა იდენტიფიცირებაზე პოლიციის ფაილების ფოტოებზე დაყრდნობით, რადგანაც ეშინოდა მათი. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა: ერთ დღეს, იმავე თავდამსხმელებმა ქალაქში მიმავალი დაზარალებული ალყაში მოიქციეს და დღისით, საჯაროდ ავიწროებდნენ. ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად მას მძიმედ დაუზიანდა მენჯი და გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ის დაუყოვნებლივ დაუკავშირდა პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც ამ საქმეს იძიებდნენ. დაზარალებულის კიდევ ერთი გამოკითხვისა და საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ, დამნაშავეების ვინაობა დადგინდა. ისინი დააკავეს. სამწუხაროდ, რადგან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა არ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციას, ეს შემთხვევა ვერ

დაკვალიფიცირდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად და ამ საფუძვლით დევნა არ განხორციელებულა.

ამონარიდი ILGA-Europe-ის ანგარიშიდან „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების ხელშეწყობა“ (მომზადების პროცესშია).

უკრაინა: ლგბტ თემის წარმომადგენელთა იდენტიფიცირება და ორგანიზებული ჯგუფის მიერ დევნა მათზე თავდასხმის მიზნით

ლვოვში მცხოვრებმა აქტივისტმა, რომელიც მონიტორინგს უწევდა ულტრამემარჯვენეთა დაჯგუფებებს, შეიტყო, რომ ერთ-ერთმა ასეთმა დაჯგუფებამ გაიგო გეი წვეულების შესახებ, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გამართულიყო. მომდევნო ორი დღის განმავლობაში ონლაინ რესურსიდან ცნობილი გახდა, რომ დაჯგუფების წევრები ემზადებოდნენ თავდასხმისთვის. გარდა ამისა, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის გულშემატკივრებიც გეგმავდნენ ლგბტ პირთა ღონისძიებაზე თავდასხმას; გამჟღავნდა დეტალური ინსტრუქციებიც, სადაც მითითებული იყო, ვის უნდა დასხმოდნენ თავს, როგორ და რა იარაღით. მაგ.: ორგანიზატორებმა „დაშინების კამპანიის“ ნაწილად ამ აქციაში ჩართეს მებრძოლთა ქალბატონი მეგობრები – მათ ლესბოსელები უნდა ეცემათ, რადგან კაცებს არ სურდათ ქალების ცემა. წვეულების დღეს ლგბტ აქტივისტები მივიდნენ მემარჯვენე ჯგუფის შეხვედრის ადგილას და დაინახეს შავ ტანსაცმელში ჩაცმული კაცებისა და ქალებისგან შემდგარი რამდენიმე ჯგუფი – ჯამში, დაახლოებით, 60-კაციანი შემადგენლობით. ბევრი მათგანის ზურგჩანთიდან ბეისბოლის ჯოხები მოჩანდა. ისინი ჯგუფებად დაიყვნენ და წავიდნენ იმ ადგილას, სადაც ლგბტ წვეულება იმართებოდა. აქტივისტები გაჰყვნენ უკან, დაურეკეს წვეულების ორგანიზატორებს და წინასწარ შეატყობინეს დაჯგუფების გადაადგილებაზე. საბოლოოდ, დაჯგუფების წევრებმა იცნეს ლგბტ აქტივისტები და ცდილობდნენ მათზე თავდასხმას, მაგრამ მათ მოახერხეს მაკდონალდსის რესტორანში დამალვა, ხოლო დაჯგუფების წევრებმა განაგრძეს სვლა წვეულების ადგილისკენ. ლგბტ წვეულების ორგანიზატორებმა წინასწარ დაიქირავეს კერძო დაცვის სამსახური და პოლიციას მიმართეს დაცვის თხოვნით. პოლიცია დაჯგუფების წევრებს წვეულების ადგილას ელოდებოდა, მაგრამ ისინი არ დაუპატიმრებია.

ამონარიდი ILGA-Europe-ის ანგარიშიდან „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების ხელშეწყობა“ (მომზადების პროცესშია).

მოლდოვა: გეი კაცების აქტიურად მიზანში ამოღება ონლაინ პაემნების ორგანიზების გზით

რუსეთში გამოვლინდა შემაშფოთებელი ტენდენცია: თავდამსხმელები აწყობენ პირისპირ შეხვედრებს მსხვერპლთან გეი ადამიანებისათვის განკუთვნილი ონლაინ პაემნების საიტების მეშვეობით. ერთ-ერთ შემთხვევაში, მოლდოვაში გეი კაცი პაემანზე შეუთანხმდა მეორე კაცს. ისინი საღამოს კაფეში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვედრის შემდეგ მათ გადაწყვიტეს სასეირნოდ პარკში წასვლა, სადაც მსხვერპლი გაძარცვეს და სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ყბა გაუტყდა. მსხვერპლის თქმით, გაქცევა რომ ვერ მოეხერხებინა, შეიძლება სიტუაცია გაცილებით მძიმე ყოფილიყო. მოტივი ადვილად გამოსაცნობი იყო, რადგან დამნაშავე თავდასხმის დროს შეურაცხმყოფელ ჰომოფობიურ ტერმინებს იყენებდა. მსგავსი ინციდენტები დაფიქსირდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაშიც, სადაც მსხვერპლები ასევე გაძარცვეს და სცემეს პაემნების ვებ-გვერდების საშუალებით მოწყობილი შეხვედრებისას.

ამონარიდი ILGA-Europe-ის ანგარიშიდან „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების ხელშეწყობა“ (მომზადების პროცესშია).

თურქეთი: ფსიქოლოგიური ზეგავლენა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა მძიმე ფსიქოლოგიურ ზიანს განიცდის ინციდენტის შემდეგ, რაც გრძელვადიან გავლენას ახდენს მათი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. ცოტა მათგანი ცდილობდა პროფესიული დახმარებისთვის მიმართვას პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიის, შფოთვის ან პარანოიის მძიმე ზემოქმედების გადასალახავად. თუმცა, იმ მსხვერპლთა ნახევარზე მეტმა, რომლებმაც ფსიქოლოგიური მკურნალობა გაიარეს, განაცხადეს, რომ მათ არ ეპყრობოდნენ სათანადოდ.

ამონარიდი ILGA-Europe-ის ანგარიშიდან „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების ხელშეწყობა“ (მომზადების პროცესშია).

დასარიგებელი მასალა 1.5: წყაროები, დამატებითი მასალა და რჩევები კვლევასთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს რესურსები

ქვეყნების თემატური კვლევები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და დისკრიმინაციის თაობაზე, ევროპის საბჭო (2011):

ეს ვებ-გვერდი შეიცავს მითითებებს ევროპის საბჭოს ხელშეწყობით მომზადებულ ანგარიშებზე, რომლებიც შეეხება წევრ სახელმწიფოებში სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და დისკრიმინაციის კონტექსტში.[8]

შეისწავლეთ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ნაწილი სამართლებრივ კვლევებში, რათა უკეთ გაიგოთ ასეთი დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ეროვნულ დონეზე არსებული რეგულაციები.

შეისწავლეთ სოციალური ანგარიშები, რათა მოიძიოთ მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტების, მათ შორის, პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.

დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ევროპაში, ევროპის საბჭო (2011):

ამ ანგარიშში ასახულია ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები. დოკუმენტი მიზნად ისახავდა, ფართოდ მიმოეხილა ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ამ დანაშაულზე რეაგირების გზები[9] (კერძოდ, იხ. ნაწილი 3.2. „ძალადობა ლგბტ პირთა მიმართ“).

8. http://www.coe.int/en/web/commissioner/thematic-work/lgbt-country-studies
9. http://www.europewatchdog.info/wp-content/uploads/2016/11/LGBTStudy2011_en.pdf

ქვეყნების თემატური კვლევები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჰომოფობიის, ტრანსფობიის და დისკრიმინაციის თაობაზე, ევროპის საბჭო – 2010 წლის გადასინჯული ვერსია, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA) (2010):[10]

ამ ანგარიშში ასახულია მონაცემები და ინფორმაცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტების, კანონმდებლობისა და რეაგირების თაობაზე, რომლებიც შეგროვდა ევროპის საბჭოს ხელშეწყობით მომზადებულ ზემოხსენებულ თემატურ კვლევაში.

EU LGBT კვლევა – ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა – ძირითადი შედეგები, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA) (2014):[11]

ამ პუბლიკაციაში ასახულია ევროპაში ლგბტ პირთა შესახებ ყველაზე მასშტაბური კვლევის შედეგები და ავტორიტეტული მოსაზრებები ლგბტ პირთა გამოცდილებაზე დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროების საკითხებზე. წინამდებარე სახელმძღვანელო ამ ანგარიშის შედეგებს ეყრდნობა პირველ და მესამე მოდულებში. ტრენინგის მომზადებისას, ანგარიშის გამოყენება შეგიძლიათ ქვეყნის კონტექსტის შესასწავლად და შესაბამისი პრაქტიკული მაგალითების შესამუშავებლად (კერძოდ, იხ. ნაწილი 2.5. ძალადობა და შევიწროება).

ევროპული კომისიის ანგარიშები რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ქვეყნების მიხედვით:[12]

ECRI-ის რეგულარული ვიზიტები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში გულისხმობს ექსპერტთა მივლინებას რეგიონის მასშტაბით იმ საკითხების დეტალურად შესასწავლად, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ლგბტ პირებზე. აღნიშნული ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესწავლასაც. ანგარიშში მიმოხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოფიციალური და სამოქალაქო საზოგადოების მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ; ამ დანაშაულის მარეგულირებელი სისხლის სამართლის კანონები და პოლიტიკა; და გაუმჯობესებისკენ მიმართული კონკრეტული რეკომენდაციები. თითოეული ანგარიში მოიცავს შესაბამისი სახელმწიფოების ოფიციალურ პასუხს ECRI-ის დაკვირვებებსა და რეკომენდაციებზე. ეს ანგარიშები შეიძლება ძალიან სასარგებლო მასალა იყოს ტრენინგების დაგეგმვის პროცესში, რადგან ისინი ეხმარება: ეროვნული სიტუაციის უკეთ გააზრებას, მათ შორის, იმ საკითხების უკეთ გაგებას, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ლგბტ პირებზე; ასევე, სახელმწიფოს მიერ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირების პრიორიტეტულობის დადგენას.

ECRI-ის 2015 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ: https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775

---

10. http://fra.europa.eu/en/national-contribution/2012/country-thematic-studies-homophobia-transphobia-and-discrimination
11. http://fra.europa.eu/en/publication/2014/eu-lgbt-survey-european-union-lesbian-gay-bisexual-and-transgender-survey-main , ნანახია 2016 წლის 7 ოქტომბერს.
12. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/countrybycountry_en.asp

ინტერსექსი ადამიანების უფლებები. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის კვლევითი ანგარიში:[13]

ეს ანგარიში თავისი არსით იშვიათი კვლევაა. დოკუმენტში განხილული ასპექტები გავლენას ახდენს ინტერსექს პირებზე ევროპის საბჭოს რეგიონში თუ მის ფარგლებს გარეთ და წარმოდგენილია დისკრიმინაციის სახასიათო მაგალითები.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თემატური ანგარიშები ქვეყნების მიხედვით:

კომისარმა ჩაატარა ფართო სპექტრის აქტივობები თემატური და ქვეყნებში არსებული სპეციფიკური ვითარების მიმოხილვისთვის. აქტივობების მიზანი იყო იმ გამოწვევების სიღრმისეულად გაგება, რომლებიც გავლენას ახდენს ლგბტ პირებზე. თემატურ მუშაობაში ჩართულია ანგარიში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციაზე, ასევე, იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ინტერსექს ადამიანებზე (გამოქვეყნდა 2015 წელს).[14]

კომისარი რეგულარულად სტუმრობს სხვადასხვა ქვეყანას, რათა გამოიკვლიოს ვითარება დაუცველი ჯგუფების უფლებების შესახებ. ყველა ვიზიტი არ მოიცავს ლგბტ საკითხებს, თუმცა ღირს საძიებო ფუნქციით სარგებლობა შესაბამის ვებ-გვერდზე, რათა დაადგინოთ, ესტუმრა თუ არა კომისარი იმ ქვეყანას, სადაც ტრენინგების ჩატარებას გეგმავთ.[15]

არასამთავრობო ორგანიზაცია WISG-ის კვლევა: წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე, ბმული https://ge.boell.org/ka/2016/06/17/cinascargancqobidan-tanascorobamde

სხვა რესურსები

იმის გამო, თუ ვინ ვარ: ჰომოფობია, ტრანსფობია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ევროპაში, Amnesty International (2013):[16]

აღნიშნული ანგარიში კიდევ უფრო ავსებს EU LGBT კვლევას, რომელიც ზემოთ შეჯამდა, და შეიცავს ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეალურ მაგალითებს. გარდა ამისა, ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული არსებული საკანონმდებლო ჩარჩოები და პოლიტიკა. ასევე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები ეროვნულ და ევროპულ დონეზე ვითარების გასაუმჯობესებლად. ეს ანგარიში სასარგებლოა, როგორც ეროვნულ დონეზე არსებული რეალური შემთხვევების კვლევის წყარო: იგი უკეთეს წარმოდგენას შეგიქმნით ევროპის გარკვეულ ქვეყნებში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკის კონტექსტზე.

13. https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2933521&SecMode=1&DocId=2367288&Usage=2
14. http://www.coe.int/en/web/commissioner/thematic-work/lgbt
15. www.coe.int/en/web/commissioner/country-report
16. ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org/en/documents/eur01/014/2013/en/, ნანახია 2016 წლის 7 ოქტომბერს.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მონაცემთა ყოველწლიური წარდგენის მექანიზმი (ეუთო (OSCE)):

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული ოფისის (OSCE/ODIHR) მეშვეობით, ეუთოს რეგიონში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების მონიტორინგს და ანგარიშგებას 2008 წლიდან ახორციელებს. ამ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, რომელიც შეეხება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, დეტალურადაა ასახული: ოფიციალური ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაცემები და ინფორმაცია შესაბამის პოლიტიკაზე; სახელმძღვანელო მითითებები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის; დეტალები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ; ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების შესახებ; და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიისა და ევროპის საბჭოს ოფისის ადამიანის უფლებათა კომისრის შესაბამისი რეკომენდაციების შეჯამება.

ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო ეუთო-ს წევრიც არის. შესაბამისად, ეს ვებ-გვერდი შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ გაინტერესებთ სიტუაციის მიმოხილვა ქვეყანაში, სადაც ტრენინგის ჩატარებას გეგმავთ. ვებ-გვერდი რესურსის სახით გამოყენებულია ამ სახელმძღვანელოს პირველი მოდულისთვის.

ILGA-Europe-ის ანგარიში (მომზადების პროცესშია) „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის გაცხადების ხელშეწყობა“ (ის ხელმისაწვდომი იქნება ILGA-Europe-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ).[17]

„ინფორმაციისთვის: ტრანს ადამიანების მიმართ ძალადობა, ProTrans-ის გამოცდილება, „ტრანსგენდერი პირების ძალადობისგან დაცვის პროექტი“:[18]

ანგარიშში გაერთიანებული დასკვნები გაკეთდა იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერდა ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ტრანსგენდერ პირთა მიმართ დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონიტორინგის ორგანიზაციებს. პროექტმა გამოავლინა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ძალადობრივი თავდასხმებისა და ფართომასშტაბიანი დისკრიმინაციის ძალიან მაღალი რისკის ქვეშ იყვნენ. ანგარიში სხვადასხვა ქვეყანაში გამოვლენილი შემთხვევების კვლევის კარგი წყაროა.

„ინფორმაციისთვის: ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ძალადობის დოკუმენტირება: სომხეთის, საქართველოს, გერმანიის, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის გამოცდილება“ (მომზადების პროცესშია).

17. ევროპის რეგიონის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი პირების მხარდაჭერის საერთაშორისო ასოციაცია (ILGA-Europe).
18. http://tgeu.org/wp-content/uploads/2013/11/TGEU_protrans_publication_1_Nov.pdf

II მოდული: ძირითადი ცნებები

შესავალი და წინაპირობები

პირველ მოდულში აღინიშნა და ამ პროგრამაზე მუშაობისას კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ლგბტ პირები, თავიანთი იდენტობის გამო, ყველაზე ხშირად ხდებიან დანაშაულის სამიზნეები. ეს ადამიანები თავს იკავებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პოლიციისთვის შეტყობინებისგან. თუმცა, შეტყობინების შემთხვევაშიც, პოლიცია ხშირად ვერ ახერხებს ამ დანაშაულების სათანადოდ დოკუმენტირებასა და აღრიცხვას.

დანაშაულის მსხვერპლ ლგბტ ადამიანთა საჭიროებებზე პროფესიული რეაგირებისათვის, პოლიციას უნდა შეეძლოს ლგბტ პირთა იდენტიფიცირება, დისკრიმინაციული ქცევის მახასიათებელთა გამოვლენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სათანადოდ გააზრება.

ამ მოდულის (ა) ნაწილში მონაწილეები უკეთ გააცნობიერებენ ლგბტ თემის ვინაობას, ასევე, სექსუალური ორიენტაციის (LGB), გენდერული იდენტობისა (T) და სქესობრივი მახასიათებლების (I) ცნებებს.

შემდეგ მონაწილეები გაეცნობიან ლგბტ პირებისადმი უარყოფით/დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასა და ქცევასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ჰომოფობია, ტრანსფობია, ლგბტ პირთა სტერეოტიპიზაცია და დისკრიმინაცია მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ჩადენის ძირითადი საფუძველია.

ამ მოდულის (ბ) ნაწილში განსაზღვრულია ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მისი ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი. ეს ცნებები მე-4 მოდულის საფუძველია, რომელშიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული განიხილება პრაქტიკული საპოლიციო ზომების კუთხით.

(ა) და (ბ) ნაწილები ერთობლიობაში მონაწილეებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ ტრენინგპროგრამის ფარგლებში გაანალიზებული სპეციფიკური საკითხები.

მოდული 2(ა): ძირითადი ცნებები და განმარტებები – ლგბტ თემი – ჰომოფობია, ტრანსფობია, სტერეოტიპიზაცია და დისკრიმინაცია

სწავლების შედეგები

მონაწილეები შეძლებენ:

- უკეთ გაიგონ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და ლ გ ბ ტ-ის შემადგენელ ასპექტებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები;
- გაიაზრონ ჰომოფობიის, ტრანსფობიის, სტერეოტიპიზაციისა და დისკრიმინაციის ცნებები და მათი კავშირი პოლიციის ოფიცრის როლთან;
- ტერმინოლოგია გამოიყენონ ტრენინგებისა და მუშაობის პროცესში.

აქტივობებისა და მათთვის განკუთვნილი დროის მიმოხილვა

- აქტივობა 2.1: ლგბტ თემთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგიის გაგება: კურსის ფასილიტატორის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია პლენარულ სესიაზე (30 წუთი);
- აქტივობა 2.2: სტერეოტიპების გაგება: ჯგუფური სამუშაო, შემდეგ – პრეზენტაცია და დისკუსია პლენარულ სესიაზე (20 წუთი);
- აქტივობა 2.3: სტერეოტიპების გაგება: ინდივიდუალური მუშაობა, შემდეგ – დისკუსია (25 წუთი).

აქტივობა 2.1: ლგბტ თემთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგიის გაგება: კურსის ფასილიტატორის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია პლენარულ სესიაზე (30 წუთი)

ძირითადი ცნებები და დეფინიციები – პრეზენტაცია

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;

დასარიგებელი მასალები 2.1(ა) და 2.1(ბ).
ამ მოდულის ფარგლებში პლენარულ სესიაზე ფასილიტატორი ჯგუფს წარუდგენს შემდეგ ძირითად ცნებებს:

- სექსუალური ორიენტაცია (ლგბ), გენდერული იდენტობა (ტ) და ინტერსექსი (ი);
- ჰომოფობია, ტრანსფობია, სტერეოტიპიზაცია და დისკრიმინაცია.

ჯგუფს უნდა მიეწოდოს ინსტრუქციები, რომ ჩაინიშნონ ის, რაც გაიგეს პრეზენტაციიდან. აღნიშნულის ხელშესაწყობად და ჯგუფის დასახმარებლად, დასარიგებელ მასალად შესაძლებელია 2.1 სამუშაო ფურცლის გამოყენება. ჯგუფის წევრებს საშუალება ექნებათ, ტრენინგის პროცესის პარალელურად ჩაინიშნონ მოსმენილი ინფორმაცია. ამ სფეროს უკეთ გააზრებისათვის, შეიძლება 2.1(ბ) დასარიგებელი მასალის გამოყენებაც.

შეძენილი ცოდნა შეიძლება შემოწმდეს მოგვიანებით, 2.6 აქტივობის განმავლობაში და 2.6 დასარიგებელი მასალის გამოყენებით.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ:

მომდევნო გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ადგილობრივი ტრენინგების საჭიროებებზე მორგებით გადაისინჯოს. ამ მასალის ადაპტირებისას გასათვალისწინებელია სამიზნე აუდიტორიის ცოდნა, ინფორმაციის დეტალურობის საჭირო დონე, გამოყოფილი დრო და ტრენინგის სირთულე. შეისწავლეთ მასალა და შეარჩიეთ ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს პოლიციელთა მიერ ამ ასპექტების გაგებას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს სავარჯიშო არ არის მისაღები ინტერსექს ადამიანებზე დისკუსიისთვის, რადგან არ ასახავს ინტერსექსის განმარტებით გათვალისწინებულ სქესობრივი მახასიათებლების მრავალფეროვნებას. ინტერსექსის საკითხების განხილვისას გადადით აქტივობა 2.1-ზე და დასარიგებელი მასალა 2.1(ა)-ზე.

სექსუალური ორიენტაცია: „LGB“ კომპონენტი

სექსუალურ ორიენტაციაში იგულისხმება თითოეული ადამიანის უნარი, ჰქონდეს ღრმა ემოციური, სასიყვარულო თუ სექსუალური მიზიდულობა და ინტიმური/სექსუალური კავშირი: სხვა სქესის (ჰეტეროსექსუალი), იმავე სქესის (ჰომოსექსუალი, ლესბოსელი, გეი) ან ერთზე მეტი სქესის წარმომადგენელ პირებთან (ბისექსუალი).[19]

ტრენინგის პროგრამაში სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით გამოყენებულია შემდეგი დეფინიციები:

- **ლესბოსელი:** ქალი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას სხვა ქალებისადმი განიცდის.
- **გეი კაცი:** კაცი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას სხვა კაცებისადმი განიცდის. ამ ტერმინის გამოყენება ასევე შესაძლებელია ლესბოსელებსა და ბისექსუალებთან მიმართებით და, ზოგ შემთხვევებში, კრებსით ტერმინად ყველა ლგბტ ადამიანის აღსანიშნავად.
- **ბისექსუალი:** ადამიანი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რომანტიკული, ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის ადამიანებისადმი. არ არის აუცილებელი, ასეთი ლტოლვის სიხშირე, ინტენსივობა ან ხარისხი ორივე სქესს თანაბრად მიემართებოდეს.

19. http://www.coe.int/en/web/sogidatabase/glossary

- **ჰეტეროსექსუალი:** ადამიანი, რომელიც ემოციურ, რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობას განიცდის საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი.[20]

თითოეულ ჩვენგანს აქვს სექსუალური ორიენტაცია. მოსახლეობის ზუსტი პროცენტული რაოდენობა, რომელიც ლესბოსელი, გეი ან ბისექსუალია, არ არის დადგენილი. სხვადასხვა კვლევაში ეს პროცენტული მაჩვენებელი განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ჰქონდათ თავიანთი სქესის წარმომადგენელთან კავშირი, უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანებისა, რომლებიც თავს ლესბოსელებს, გეიებს ან ბისექსუალებს მიაკუთვნებენ. ეს სტატისტიკა განსხვავდება კულტურული ნორმებიდან, რელიგიური რწმენიდან და სოციალური მიმღებლობის ზოგადი დონიდან გამომდინარე. ბრიტანული გეი ადამიანების უფლებათა დამცველი საქველმოქმედო ორგანიზაციის Stonewall-ის მონაცემებით, ბრიტანეთის მოსახლეობის 5-7% გეიები, ლესბოსელები ან ბისექსუალები არიან.[21] უილიამსის ინსტიტუტის შეფასებით, აშშ-ის ზრდასრული მოსახლეობის 3.5% გეიები, ლესბოსელები ან ბისექსუალები არიან, ხოლო 8.2% აცხადებს, რომ თავისი სქესის წარმომადგენელთან ჰქონია სექსუალური კავშირი.[22] მართალია, ზუსტი სტატისტიკა უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ ლესბოსელები, გეიები და ბისექსუალები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ: თუნდაც ეს მაჩვენებელი 3%-ს არ აღემატებოდეს, ნიშნავს, რომ მათი რიცხვი 220,000,000-ს აღწევს.[23] ყველა კონტინენტზე ლესბოსელები, გეიები ან ბისექსუალები საკმაოდ დიდ უმცირესობათა ჯგუფს ქმნიან. თუმცა, თვითიდენტიფიკაცია სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებით შესაძლებელია ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მოხდეს. ამიტომ ეს სტატისტიკა ზუსტ მონაცემებს ვერ ასახავს.

გენდერული იდენტობა: T კომპონენტი

ტრანსგენდერი პირები არიან ადამიანები, ვისი გენდერული იდენტობაც განსხვავდება დაბადებისას განსაზღვრული სქესისგან, ან ვისაც სურს საკუთარი გენდერული იდენტობის წარმოჩენა დაბადებისას განსაზღვრული სქესისგან განსხვავებულად. აქ იგულისხმებიან პირები, რომლებსაც სურთ ტანსაცმლით, აქსესუარებით, მანერებით, საუბრის სტილით, კოსმეტიკით თუ სხეულის მოდიფიკაციის მეშვეობით, თავი აჩვენონ განსხვავებული სქესის წარმომადგენლებად; ანდა არ მიაკუთვნებენ თავს „მამრობით“ თუ „მდედრობით“ სქესს, ტრანსსექსუალ, ტრანსვესტიტ და ადამიანებს, რომლებიც საპირისპირო სქესის ტანსაცმელს ატარებენ (ქროსდრესინგი).

ტრანსგენდერი კაცი არის პირი, რომელსაც დაბადებისას განესაზღვრა „მდედრობითი“ სქესი, მაგრამ მისი გენდერული იდენტობა მოქცეულია „კაცის“ ან მასკულინური გენდერული იდენტობის სპექტრში. ტრანსგენდერი ქალი არის პირი, რომელსაც დაბადებისას მიეკუთვნა „მამრობითი“ სქესი, მაგრამ მისი გენდერული იდენტობა ექცევა „ქალის“ ან ფემინური გენდერული იდენტობის სპექტრში.

ზოგიერთი ტრანსგენდერი არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას როგორც კაცი, ქალი ან ორივე ერთად. შესაბამისად, ისინი იდენტიფიცირდებიან, როგორც **არაბინარული** ტრანსგენდერები.

20. http://rainbowcenter.uconn.edu/terms/
21. https://www.staffs.ac.uk/assets/Stonewall%20-%20Employment%20regulations%20-%20guidelines%20for%20employers_tcm44-21515.pdf
22. http://williamsinstitute.law.ucla.edu/research/census-lgbt-demographics-studies/how-many-people-are-lesbian-gay-bisexual-and-transgender/
23. https://www.census.gov/popclock/, 2016 წლის 29 სექტემბერი.

ტრანსგენდერ პირთა სექსუალური ორიენტაციის აღსანიშნავი ანალოგიური ტერმინები გამოიყენება მათი გენდერული იდენტობის მიხედვით, და არა დაბადებისას განსაზღვრული სქესობრივი კუთვნილებით (მაგ.: ჰეტეროსექსუალ ტრანსგენდერ კაცს ქალი პარტნიორები იზიდავენ, ლესბოსელი ტრანსგენდერი ქალი კი მიზიდულობას განიცდის ქალი პარტნიორებისადმი). სიტყვა „ტრანსგენდერობა" ნიშნავს, რომ პირს აქვს ტრანსგენდერის იდენტობა ან გამოხატვა.

გენდერული იდენტობა გულისხმობს ადამიანის მიერ გენდერის ინდივიდუალურ აღქმას, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს/არ შეესაბამებოდეს დაბადებისას განსაზღვრულ სქესს. იგი მოიცავს სხეულის პირად აღქმას, გენდერის სხვა გამოხატულებებთან ერთად („გენდერული გამოხატულება"), როგორებიცაა ტანსაცმელი, მეტყველება და მანერები.

ადამიანის **სქესი**, ჩვეულებრივ, არის დაბადებისას განსაზღვრული სქესობრივი კუთვნილება, რაც შემდეგ სოციალური და იურიდიული ფაქტი ხდება. ზოგიერთი ადამიანი პრობლემებს განიცდის დაბადებისას მიკუთვნებულ სქესთან საკუთარი თავის იდენტიფიცირების თვალსაზრისით. ისინი მოიხსენიებიან **„ტრანსგენდერ"** ან **„ტრანს"** პირებად. გენდერული იდენტობა არ არის სექსუალური ორიენტაცია: ტრანსგენდერი ადამიანი შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც ჰეტეროსექსუალი, ბისექსუალი ან გეი/ლესბოსელი.[24]

გენდერული იდენტობის ალტერნატიული განმარტება ასეთია: „ადამიანის მიერ კაცის, ქალის ან სხვა სქესისადმი კუთვნილების ინდივიდუალური შინაგანი აღქმა (რაც არ არის აუცილებელი, სხვებისთვის ხილული იყოს)."[25]

ევროპაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ქოლგა ტერმინი „ტრანსგენდერი" ან „ტრანს", რომელიც ფარავს გარკვეული ადამიანების მიერ ფართო მოსახლეობისგან განსხვავებული გენდერის იდენტიფიცირების მრავალფეროვან ფორმებს.

მსგავსად სექსუალური ორიენტაციისა, იმ პირთა რიცხვის დადგენა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი გენდერული იდენტობა არ შეესაბამება დაბადებით განსაზღვრულ სქესს, უაღრესად ძნელია. ზოგიერთი შეფასებით, მოსახლეობის ამ ნაწილის რაოდენობა 0.3%-იდან 3 -მდე მერყეობს.[26] ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ სოციალური სტიგმისა და ფართოდ გავრცელებული დისკრიმინაციის გამო, მოსახლეობის ამ ნაწილის მოცულობის დადგენა რთულია.

მსგავსად სექსუალური ორიენტაციისა, თითოეულ ჩვენგანს აქვს გენდერული იდენტობა. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ფიზიკური გენდერი და გენდერული იდენტობის აღქმა ერთმანეთს ემთხვევა. სხვა შემთხვევებში გენდერული იდენტობის განსაზღვრა შეიძლება მტკივნეული და რთული პროცესი იყოს, რაც ხშირად დიდ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

გენდერული გამოხატვა გულისხმობს პირის მიერ გენდერის გამოხატვას ტანსაცმლის, თავის მოვლის, მეტყველების, ვარცხნილობის, სხეულის ენის, სოციალური ურთიერთქმედებისა და სხვა ქცევის მეშვეობით.[27] გენდერული გამოხატვა, გენდერული იდენტობისგან განსხვავებით, ხილულია.

---

24. http://www.coe.int/en/web/sogidatabase/glossary
25. დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის ოფისი (2014), რეაგირება სექსუალური ძალადობის ტრანსგენდერ მსხვერპლთა საჭიროებებზე.
26. იქვე.
27. შოტლანდიის ტრანსგენდერთა ალიანსი, გენდერული იდენტობა, საბაზისო სახელმძღვანელო ტრანსგენდერი ადამიანებისთვის მხარდაჭერის გაწევის საკითხებზე.

თუკი გენდერული იდენტობა მოიცავს პირის შეგრძნებებს, გენდერული გამოხატვა გულისხმობს არჩევანის მრავალფეროვნებას ყოველდღიური საკეთებლის, ჩაცმისა თუ ქცევის თვალსაზრისით. უმრავლესობა ამას ვიღებთ როგორც მოცემულობას, მაგრამ როდესაც გენდერული იდენტობა არ შეესაბამება დაბადებისას განსაზღვრულ სქესს, გადაწყვეტილების მიღება საკუთარი თავის ფიზიკურად გამოხატვაზე შეიძლება უაღრესად რთული იყოს და ცხოვრების სრულ ცვლილებასაც უკავშირდებოდეს.

ტრანზიცია

გენდერის შეცვლას ხშირად *ტრანზიცია* ეწოდება. ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანები, რომლებიც მანამდე პრედომინანტურად ერთი სქესის წარმომადგენლებად მიიჩნეოდნენ, აღიქმებიან სხვა სქესის წარმომადგენლებად. ამ პროცესს ხანგრძლივი დრო სჭირდება. პირის ტრანზიციას შეიძლება უკავშირდებოდეს მთელი რიგი სოციალური, იურიდიული ან/და სამედიცინო ასპექტები.

ტრანზიცია შეიძლება იყოს სოციალური ცვლილება, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ცვლილებებს, ფიზიკური გარეგნობის, ტანსაცმლისა და სოციალური ურთიერთობების ჩათვლით. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მნიშვნელოვან ფიზიკურ ტრანსფორმაციას ჰორმონოთერაპიის გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სქესის კვლავ მინიჭების ოპერაციას.

პირებმა, რომლებმაც ტრანზიცია გაიარეს, შეიძლება აღარ მოიაზრონ თავი „ტრანს“ ტერმინით მოცულ ადამიანებად.

გენდერის მანიშნებელი (მარკერი)

გენდერის მანიშნებელთან პოლიციის ოფიცრებს ყოველდღიურად აქვთ შეხება. არსებობს სქესის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომლებიც ხშირად გვხვდება სხვადასხვა დოკუმენტში (მაგ.: ეროვნული პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა და პასპორტი). მათ შორის ყველაზე აშკარაა ისეთი აღნიშვნები, როგორებიცაა კაცი/ქალი ან ბატონი/ქალბატონი; აგრეთვე, პროფესიული წოდებები, პირის ნაცვალსახელები ან კოდირებული ნომრები (მაგ.: სოციალური უზრუნველყოფის ბარათის ნომრები და გადამხდელის კოდი, რომლებშიც შეიძლება გამოყენებული იყოს გარკვეული კომბინაციები კაცებისა და ქალების აღსანიშნავად).[28]

ბევრ ქვეყანაში გენდერული იდენტობის მანიშნებლების შეცვლა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში შეიძლება რთული იყოს (თუ შეუძლებელი არა). ეს ტრანსგენდერ პირებს გამოწვევებს უქმნის, როდესაც საჭიროა დოკუმენტაციის წარდგენა საჯარო ხელისუფლების ორგანოებისთვის (მაგ.: პოლიცია). აღნიშნულზე დეტალურად საუბარია მე-4 მოდულში.

ნაცვალსახელები

ნაცვალსახელები გამოიყენება პირისთვის მიმართვისას ან მისი სახელის ნაცვლად. ინგლისურ ენაში საერთო ნაცვალსახელებია: ის, მას, მისი (მამრობითი/მდედრობითი ფორმები). ზოგიერთი ტრანსგენდერი იყენებს გენდერულად ნეიტრალურ ნაცვალსახელებს, როგორიცაა „ისინი/მათი“ (they/them). ნაცვალსახელების გამოყენებასთან დაკავშირებით ქართული ენა ნაკლებად სტიგმატიზებულია, რადგან არ აქვს მამრობითი ან მდედრობითი სქესის ნაცვალსახელები.

28. http://www.coe.int/en/web/sogidatabase/glossary

„ტრანს“ ქოლგაში მოქცეული სხვა დეფინიციები

არსებობს უამრავი გზა, რომლებითაც ტრანსგენდერის ქოლგის ქვეშ მოქცეულ პირებს შეუძლიათ თავიანთი გენდერის გამოხატვა და გენდერული იდენტობის განსაზღვრა. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელი ტერმინი უნდა გამოიყენოთ, გაითვალისწინეთ, რომ **„ტრანსგენდერი“** ზოგადად ითვლება ინკლუზიურ და თავაზიან ტერმინად. როდესაც ადამიანს მიმართავთ, ჯობია, თავაზიანად ჰკითხოთ მას ამის თაობაზე. მე-4 მოდულში უფრო დეტალურად იქნება განხილული პროფესიული ინტერაქცია ტრანს ადამიანებთან.

ტრანსსექსუალი – ტერმინი გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომელთა გენდერული იდენტობა არ შეესაბამება დაბადებისას განსაზღვრულ სქესს და მიმართეს სქესის კორექციას სხეულის ფორმების ან ფუნქციების შესაცვლელად სქესის კვლავმინიჭების მკურნალობის გზით.

სექსიზმი – სქესობრივი ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის იდეოლოგია და პრაქტიკა.

გენდერული თვითგამოხატვა – გენდერის გარეგნული გამოვლენა, რომელიც ძირითადად გამოიხატება გარეგნობით, მანერებით, ჩაცმულობით, მეტყველებითა და სხვა ქცევით.

ქალი-კაცად/FTM ტრანსგენდერი კაცი არის პირი, რომელიც დაბადებით ქალია, მაგრამ აქვს კაცის გენდერული იდენტობა და განიცდის ტრანზიციას, რათა შემდგომში მუდმივად იცხოვროს, როგორც კაცმა.

კაცი-ქალად /MTF ტრანსი ქალი არის პირი, რომელიც დაბადებით არის კაცი, მაგრამ აქვს ქალის გენდერული იდენტობა და განიცდის ტრანზიციას, რათა შემდგომში მუდმივად იცხოვროს როგორც ქალმა.

ქროსდრესერი (Crossdresser) – ტერმინი აღწერს ადამიანებს, რომლებიც საპირისპირო სქესის ტანსაცმელს ატარებენ, რაც მათ ემოციურ ან სექსუალურ სიამოვნებას ანიჭებს. სიტყვა **„ტრანსვესტიტი“** აღარ გამოიყენება ამ ადამიანების აღსანიშნავად და შეიძლება ზოგისთვის შეურაცხმყოფელი იყოს.[29]

დრეგ ქუინი (Drag Queen) – ამ ტერმინს ისტორიულად იყენებენ გეი კაცები, რომელთა ტანსაცმელი, როგორც წესი, ასოცირდება ქალის ტანსაცმელთან, და გამოიყენება გართობის ან პირადი სიამოვნებისთვის. არსებობს ასევე **დრეგ ქინგი (drag kings)**, ანუ ადამიანები, რომლებიც ბიოლოგიურად ქალები არიან, მაგრამ იცვამენ, როგორც კაცები.[30]

სისგენდერი (Cisgender) – ეს ტერმინი მოიცავს მათ, ვინც არ არის ტრანსგენდერი, ანუ ადამიანებს, რომელთა გენდერულ იდენტობას/როლს საზოგადოება მიიჩნევს მათი სქესისთვის შესაფერისად.[31]

გენდერქვიარი (Genderqueer) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება გენდერული ბინარულობის უარსაყოფად (კაცი/ქალი), უფრო ამორფული, არატრადიციული იდენტობის სასარგებლოდ.[32]

გენდერის ბინარულობა (Gender binary) – სოციალური კონცეფცია, რომელიც გულისხმობს, რომ არსებობს მხოლოდ ორი გენდერი: მამრობითი და მდედრობითი.

---

29. http://www.transequality.org/issues/resources/teaching-transgender-guide-leading-effective-trainings
30. http://www.transequality.org/issues/resources/teaching-transgender-guide-leading-effective-trainings
31. http://rainbowcenter.uconn.edu/terms/
32. http://rainbowcenter.uconn.edu/terms/

არაბინარული (Non-binary) აღწერს გენდერულ იდენტობას, რომელიც არც ქალს გულისხმობს და არც კაცს; ან გენდერულ იდენტობებს ქალისა და კაცის ორი ტრადიციული ცნების ფარგლებს მიღმა.[33]

ინტერსექსი: „I“ კომპონენტი

ინტერსექსი ადამიანები ქრომოსომული, გონადური, ენდოკრინული ან ანატომიური სქესის ნიშნით არ შეესაბამებიან სამედიცინო და სოციალურ ნორმებს მდედრობითი ან მამრობითი სქესის სხეულის შესახებ.

ეს უკანასკნელი ცხადდება, მაგალითად, სქესის მეორადი მახასიათებლებით, როგორებიცაა კუნთების მასა, თმის განაწილება და სხეულის აგებულება ან პირველადი სქესობრივი მახასიათებლები, როგორებიცაა შიდა და გარე სასქესო ორგანოები ან/და ქრომოსომული და ჰორმონალური სტრუქტურა.

ასევე შესაძლებელია მარტივი სამუშაო დეფინიციის გამოყენება: ინტერსექსი პირების თანდაყოლილი სქესობრივი მახასიათებლები არ არის სრულად ქალის ან კაცის; არის ერთდროულად ქალისაც და კაცისაც; ან არც ქალისაა და არც კაცის.

ინტერსექსის მრავალი ფორმა არსებობს; აღნიშნული უფრო არის სპექტრი ან ქოლგა ტერმინი, ვიდრე ერთი კატეგორია. ამ სიტყვამ შეცვალა ტერმინი „ჰერმაფროდიტი“, რომელიც მე-18 და მე-19 საუკუნეებში ინტენსიურად გამოიყენებოდა სამედიცინო პრაქტიკაში. ახლა ამ ტერმინის გამოყენება უაღრესად შეურაცხმყოფელად ითვლება.

ინტერსექსი ადამიანი იბადება ინტერსექსად. ინტერსექსის განსხვავებები შეიძლება აშკარად ხილული იყოს დაბადებისას. ზოგიერთი ინტერსექს ნიშანი შეიძლება აშკარა გახდეს სქესობრივი მომწიფების პერიოდში, ბავშვის ჩასახვის მცდელობისას ან შემთხვევით. სხვა შემთხვევები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ გვამის ექსპერტიზის დროს.

ინტერსექს ადამიანებსა და ტრანსგენდერ ადამიანებს შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ინტერსექს ნიშანს ხშირად ექიმები ამჩნევენ ადამიანის ბავშვობის ან მოზარდობის პერიოდში. არცთუ იშვიათად მათ სასქესო ორგანოებზე ოპერაცია უტარდებათ ან მათი რეპროდუქციული ორგანოების ამოკვეთა ხდება მანამდე, სანამ ოპერაციაზე თანხმობის/უარის თქმის ასაკს მიაღწევენ.

ყველაზე დაბალი სტატისტიკური მონაცემებით, ყოველ 200 ადამიანზე 1 ინტერსექსი პირი მოდის (დაბადებულთა 0.5%). ხშირად კიდევ უფრო დაბალი სტატისტიკა მოჰყავთ, რომლის შესაბამისადაც, ინტერსექს ადმიანთა თანაფარდობა ყოველ 2000 ადამიანზე ერთს უტოლდება. თუმცა ეს მაჩვენებელი მოიცავს მხოლოდ იმ ინტერსექს პირებს, რომლებსაც ბავშვობაში ოპერაცია ჩაუტარდათ. სხვადასხვა სააგენტოს, მაგალითად, გაეროს სტატისტიკის შესაბამისად, ინტერსექს ადამიანთა რიცხვი საერთო მოსახლეობის, დაახლოებით, 1,7%-ს შეადგენს.

ეს ნიშნავს, რომ ინტერსექსი პირების წილი უფრო მაღალია, ვიდრე დაბადებიდან სმენადაქვეითებული ან წითური ადამიანების რაოდენობა.[34]

ნათელია, რომ ინტერსექსი ადამიანები იყვნენ და რჩებიან დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მაღალი რისკის ქვეშ. ზოგიერთ ქვეყანაში აღიარებულია

33. https://lgbt.wisc.edu/documents/Trans_and_queer_glossary.pdf
34. http://www.ilga-europe.org/what-we-do/our-advocacy-work/trans-and-intersex/intersex

მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საფრთხეც. შესაბამისად, ისინი დისკრიმინაციისგან დაცულ კატეგორიას მიეკუთვნებიან (მაგ.: ევროპის საბჭოს შემადგენლობაში მსგავსი ქვეყნებია შოტლანდია და მალტა). თავად ევროპის საბჭომ ხაზი გაუსვა სქესის მახასიათებლის, როგორც დაცული საფუძვლის ჩართვის მნიშვნელობას, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონტექსტში (ჩასვით რეფერენცია).

კომპლექსური თემი და საერთო გამოცდილებები

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია აჩვენებს, რომ ლგბტ ქოლგის ქვეშ საკმაოდ კომპლექსური თემი ერთიანდება.

ლგბტ თემები ბინარული სქესისა და გენდერული ნორმების მიღმა არიან. ხშირ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ცალკეული ქვეჯგუფების წარმომადგენლებს არ აქვთ რაიმე საერთო სხვა ქვეჯგუფების წარმომადგენლებთან. ბევრი ლგბ პირი ვერ ხედავს ბუნებრივ კავშირს ტრანსგენდერ ადამიანებთან; ასევე ბევრი ტრანსგენდერი თვლის, რომ მისი გენდერული იდენტობის საკითხი განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან და, მათი აღიარების კამპანიების ფარგლებში, ცალკე მიდგომების დანერგვას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ადამიანი შეიძლება იყოს ერთზე მეტი ქვეჯგუფის წევრი (მაგ.: ტრანს პირი, რომელიც თავს ლესბოსელად მიიჩნევს).

ლგბ (სექსუალური ორიენტაცია), ტრანსგენდერ (გენდერული იდენტობა და გამოხატვა) და ინტერსექს ადამიანებს შორის (სქესობრივი მახასიათებლები) მკაფიო განსხვავებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ჯგუფების წარმომადგენელთა ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ამ ჯგუფებს ხშირად ერთი ქოლგა ტერმინის ქვეშ აერთიანებენ, რათა უფრო გასაგები გახდეს, რომ ჩამოთვლილი ჯგუფები მსგავსი ტიპის დისკრიმინაციას განიცდიან. მათ შორისაა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.

ინფორმაცია ინტერსექს ადამიანებზე, რომლებიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ, საკმაოდ მწირია და სამართალდამცავი ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ ახლა იწყებენ ამ გამოცდილების იდენტიფიცირება-აღრიცხვას.

ინტერსექციურ (ურთიერთგადამკვეთ) დისკრიმინაციაში იგულისხმება დისკრიმინაციის ის რამდენიმე სახე, რომლებსაც შეიძლება დაექვემდებაროს უმცირესობათა ესა თუ ის ჯგუფი. ურთიერთგადამკვეთი საკითხები შეიძლება კიდევ უფრო ამწვავებდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ლგბტ პირები დგანან (მაგ.: შავკანიანი გეი ქალი შეიძლება იყოს რასიზმის, ჰომოფობიისა და სექსიზმის მსხვერპლი). დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეიძლება არ მოდიოდეს მხოლოდ უმრავლესობის მხრიდან: რასიზმი არსებობს ლგბტ თემებშიც, ხოლო ჰომოფობია გვხვდება რასობრივ უმცირესობებშიც.

მუსლიმი ტრანს პირი შეიძლება გახდეს რელიგიური დისკრიმინაციისა და ტრანსფობიის სუბიექტი, როგორც თავისი რელიგიური თემის, ისე მის მიღმა არსებული ადამიანების მხრიდან.

ძირითადი განმარტებები – ჰომოფობია, ტრანსფობია, სტერეოტიპირება და დისკრიმინაცია

ჰომოფობია განისაზღვრება, როგორც ირაციონალური შიში და სიძულვილი ჰომოსექსუალობის მიმართ და მიემართება ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ადამიანებს და ეფუძნება წინასწარგანწყობას.

მარტივი დეფინიცია იქნებოდა *„ლგბ პირებისადმი უარყოფითი განწყობა და შიში“*.

ტრანსფობია განისაზღვრება, როგორც წინასწარ განწყობაზე დაფუძნებული ირაციონალური შიში და სიძულვილი ტრანსგენდერი პირებისადმი მათი გენდერული შეუსაბამობის გამო.

მარტივი დეფინიცია იქნებოდა *„ტრანსგენდერი პირებისადმი უარყოფითი განწყობა და შიში“*.

ჰომოფობია და ტრანსფობია შეიძლება გამოვლინდეს სოციალური თვალსაზრისით, როგორც თავის არიდება, სოციალური გარიყვა, დისკრიმინაცია, შეურაცხმყოფელი მოპყრობა, ძალადობა და მკვლელობაც კი.

ჰომოფობია და ტრანსფობია შეიძლება წარმოიშვას დამოკიდებულებისა და შეხედულებების შედეგად, რომლებსაც ვითვისებთ მშობლებისგან, მეგობრებისგან, სკოლაში, თემში, რელიგიური ლიდერებისა და სოციალური გავლენის მქონე პირებისგან (პოლიტიკოსები/ცნობილი სახეები). ჰომოფობია და ტრანსფობია სხვადასხვა ხარისხით ყველა ქვეყანაში გვხვდება.

სტერეოტიპი არის დამოკიდებულება ან რწმენა პირ(ებ)ის შესახებ, რომელიც ეფუძნება ასეთი პირების ან მათი ჯგუფების თვისებებსა და მახასიათებლებს.[35]

სტერეოტიპი ალტერნატიულად შეიძლება ასე განიმარტოს:

წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული ან ზედმეტად მარტივი განზოგადება ადამიანთა ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალურ განსხვავებათა გაუთვალისწინებლად.

სტერეოტიპების მაგალითებია:

- ყველა ლესბოსელი კაცურია;
- ყველა აფრიკელი ემიგრანტი კრიმინალია;
- ყველა პოლიციელი თავის უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს;
- ყველა მუსლიმი რელიგიური ექსტრემისტია.

სტერეოტიპები წინასწარ განსაზღვრული და კარიკატურული აღქმაა, რომელიც იწვევს ზოგადი მახასიათებლების გავრცელებას ცალკეული ჯგუფების ყველა წევრზე, მათი ინდივიდუალური თვისებების გაუთვალისწინებლად. სტერეოტიპებმა შეიძლება უარყოფითი წინასწარგანწყობა შექმნას სხვა ჯგუფებისადმი და, საბოლოო ჯამში, გამოიწვიოს დისკრიმინაციული ქცევა და ძალადობრივი ქმედებები მათ მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპები უმეტესწილად უარყოფითია, ისინი შეიძლება ზოგჯერ დადებითიც იყოს. დადებით სტერეოტიპებსაც კი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ გულისხმობს ფართო განზოგადებას, ეს კი ინდი-

35. OSCE (2014) TAHCLE სამართალდამცველთა ტრენინგ სახელმძღვანელო, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე ტრენინგების ჩასატარებლად ტრენერთა კურიკულუმის შემუშავებისთვის.

ვიდუალური რეალობის უგულებელყოფას ნიშნავს.[36] ამის მაგალითია შეხედულება, რომ ქალები, ზოგადად, უკეთესად უვლიან ბავშვებს, ვიდრე კაცები. ამგვარი სტერეოტიპი უგულებელყოფს რეალობას, რომ შესაძლოა ბევრი ქალი ძალადობდეს ბავშვებზე, რის გამოც არ უნდა ჰქონდეთ მათზე ზრუნვის უფლება.

ცრუ წარმოდგენების ცნება უკავშირდება სტერეოტიპის ცნებას.

ცრუ წარმოდგენა არის წინასწარგანწყობა, შეხედულება ან დამოკიდებულება სხვა პირის/პირთა ჯგუფის მიმართ. ცრუ წარმოდგენა ხშირად უარყოფითია და, როგორც წესი, ეყრდნობა ჭორებს, ვარაუდებს, გრძნობებსა და შეხედულებებს და არა – ცოდნასა და ფაქტებს. ცრუ წარმოდგენები გავლენას ახდენს ჩვენს ქმედებებზე და ჩვენ მიერ სხვათა ქმედებების ინტერპრეტაციაზე.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ:

ტრენინგის დაწყებამდე უნდა შეისწავლოთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი კანონმდებლობა და განმარტებები. საჭიროების შემთხვევაში, ეს უნდა აისახოს ტრენინგის მასალებში. მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ განმარტებები დისკრიმინაციისა და კანონმდებლობით დაცული ჯგუფების შესახებ.

დისკრიმინაცია: ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს დისკრიმინაციის სამართლებრივი განმარტება. ასეთი დეფინიციები ხშირად მოიცავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას. ქვემოთ მოცემულია დისკრიმინაციის უფრო ფართო განმარტება, რომელიც ასახავს ლგბტ ჯგუფებისა და სხვა უმცირესობების გამოცდილებას ბევრ ქვეყანაში:

„დისკრიმინაციაა, როდესაც უფრო ძლიერი/დომინანტური სოციალური ჯგუფის წევრები უსამართლოდ ან სასტიკად ექცევიან ნაკლებად ძლიერი/არადომინანტური სოციალური ჯგუფის წევრებს. ის შეიძლება მრავალი ფორმით გამოვლინდეს, მათ შორის, სიძულვილის ან უსამართლობის ინდივიდუალური აქტებით და იმ პრივილეგიების ინსტიტუციური უარყოფით, რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვა ჯგუფებს ენიჭებათ.“[37]

დისკრიმინაციის სამართლებრივი განმარტება

დისკრიმინაცია სამართლებრივად განსაზღვრულია, როგორც გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობა:

1. პირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც ერთი ან მეტი აკრძალული საფუძვლით პირის ან პირთა ჯგუფისადმი მოპყრობა არის, იქნება ან შესაძლებელია იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებსა თუ ჯგუფებთან შედარებით; ან როდესაც ასეთი მოპყრობით ზიანი ადგება მათ.

უფრო მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ: პირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც პირის ან პირთა ჯგუფისადმი მოპყრობა, მოსახლეობის უმეტეს ნაწილთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელია, მათი უმცირესობისადმი კუთვნილების გამო.

ამის მაგალითია პოლიციის ოფიცრის მხრიდან უარის თქმა დანაშაულის მსხვერპლისთვის ჩვენების ჩამორთმევაზე, რადგან მსხვერპლი ტრანსგენდერი, ბოშა ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელია.

36. https://lgbtrc.usc.edu/education/terminology/
37. https://lgbtrc.usc.edu/education/terminology/

2. ირიბი დისკრიმინაციაა, როდესაც დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა გარკვეულ პირებს, ერთი ან მეტი დაცული საფუძვლით (მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით), არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს და აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, გამოყენებული საშუალებები კი აუცილებელი და თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

უფრო მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ: **ირიბი დისკრიმინაციაა,** როდესაც გარკვეული პრაქტიკა, წესები ან პოლიტიკა პირს ან პირთა ჯგუფს, მოსახლეობის უმეტეს ნაწილთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. ზოგჯერ ირიბი დისკრიმინაციის გამოვლენა უფრო რთულია, ვიდრე პირდაპირი დისკრიმინაციის.

ამის მაგალითია, სპეციალური წლიური შვებულების უფლების მინიჭება პოლიციის დაქორწინებული ოფიცრებისთვის, როდესაც პოლიტიკა ან/და კანონმდებლობა არ აღიარებს ერთი და იმავე სქესის ურთიერთობებს.

კიდევ ერთი მაგალითია, როცა არ აღიარებენ იმ ქვეყნის გარეთ მიღებულ კვალიფიკაციას, სადაც პოლიციის კონკრეტული დანაყოფი მოქმედებს, თუნდაც უფრო მაღალი ხარისხის იყოს ადგილობრივ განათლებასთან შედარებით. ეს არის ირიბი დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის პირს უზღუდავს პოლიციაში დასაქმების შესაძლებლობას.

დისკრიმინაცია კანონმდებლობით დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში. იგი აკრძალულია როგორც საერთაშორისო ნორმებით, ასევე შიდა სამართლებრივი აქტებით. ყველა საერთაშორისო დეკლარაცია თუ კონვენცია, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, შიდა კანონმდებლობით უზრუნველყონ თანასწორობაც და დისკრიმინაციის დაუშვებლობაც.

ასეთი საერთაშორისო აქტებიდან აღსანიშნავია:

- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
- ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტების გარდა, დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს კონსტიტუციაც და ადგენს თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.
3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.
4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიახლეა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 2 მაისს. მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორი სარგებლობა. ეს კანონი საკმაოდ ფართო ჩამონათვალს გვთავაზობს ნიშნებისა, რომელთა საფუძველზეც დაუშვებელია დისკრიმინაცია. ესენია:

- რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი;
- მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი;
- ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა;
- ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება;
- პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- შეზღუდული შესაძლებლობა;
- სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა;
- პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება ან სხვა ნიშანი;

მიუხედავად ამისა, ამომწურავი არ არის იმ ნიშნების სია, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დაირღვეს კანონის წინაშე თანასწორობის უფლება. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.



„პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, სხვადასხვა ნიშნის გამო (რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი და სხვა) არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს“.

მაგალითი: ექიმი პირდაპირ უარს აცხადებს პაციენტის მკურნალობაზე, პაციენტის სექსუალური ორიენტაციის მიზეზით. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმა, ექიმის განმარტებით, განპირობებულია ტრადიციული შეხედულებებით. იგი აღნიშნავს, რომ ჰომოსექსუალობა გადახრაა და საჭიროა მათი იძულებითი მკურნალობა საჭირო სხვა მიმართულებით.

„ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს რომელიმე ნიშნის გამო (რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი და სხვა) არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს“.

მაგალითი: თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მისაღებად დადგენილია ერთი და იგივე ნორმატივები ქალებისა და კაცებისთვის, ასეთ ნეიტრალურ დებულებას რიგ შემთხვევაში შეუძლია ქალები არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს, მათი ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლების გამო.

ეს არის ზოგადი მაგალითი, თუ რა შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ ირიბ დისკრიმინაციაზე, თუმცა კი ამჟამად ქალებისა და მამაკაცებისთვის განსაზღვრულია ერთნაირი მინიმალური სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საპოლიციო ფუნქციების შესასრულებლად ნებისმიერი კანდიდატი.

მნიშვნელოვანია, განვმარტოთ დისკრიმინაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა სექსუალური შევიწროება

- სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

- მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო.
- აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ აღნიშნული ხასიათის დისკრიმინაციის განსახორციელებლად.
- დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – **გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ.**

გასათვალისწინებელია, რომ დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასა ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

მაგალითი: კონკრეტული სამუშაოს შესრულება უკავშირდება ძლიერ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სხვაგვარად წარმოუდგენელია მისი შესრულება. ამ შემთხვევაში, შესაბამისი შესაძლებლობის არმქონე პირზე უარის თქმა არ არის დისკრიმინაცია.

ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შეისწავლის სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი, როგორც განცხადების/საჩივრის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შეუძლია, შესაბამის კერძო და საჯარო დაწესებულებებსა და ფიზიკურ პირებს მიმართოს რეკომენდაციითა და ზოგადი წინადადებებით.

დისკრიმინაცია კანონმდებლობით დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში. იგი აკრძალულია როგორც საერთაშორისო ნორმებით, ასევე შიდა სამართლებრივი აქტებით. ნებისმიერი საერთაშორისო დეკლარაცია თუ კონვენცია, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს დისკრიმინაციის დაუშვებლობას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ შიდა კანონმდებლობით უზრუნველყონ თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

როდესაც საქმე ეხება დისკრიმინაციას, სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული ვალდებულება, გამოიძიოს მსგავსი საქმეები და იყოს აქტიური და ეფექტიანი.

დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები:

- **სპეციალური ღონისძიებები.** „კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას, სახელდობრ, ადამიანთა მოპყრობას ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გაუთვალისწინებლად. იგი ასახიერებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, თანაბარ პირობებში მყოფ პირებს თანასწორად უნდა მოეპყრონ, არათანაბრ პირობებში მყოფთ კი – განსხვავებულად.“[38] ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს სახელმწიფოთა ფართო პასუხისმგებლობა და ვალდებულებათა სახეები დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოებს ეკისრებათ, როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს), რათა ადამიანებს თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე.
- **შედარების ობიექტი.** როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, დისკრიმინაციის გამოსავლენად, აუცილებელია, არსებობდეს ე.წ. „შედარების ობიექტი“, რათა შეფასდეს, განიცდიან თუ არა ანალოგიურ უარყოფით ეფექტს იმავე მდგომარეობაში მყოფი სხვა პირები ან პირთა ჯგუფები.
- **დასაბუთებულობა.** გარემოება, რომელიც ფასდება დისკრიმინაციის დასადგენად, არის განსხვავებული მოპყრობის დასაბუთებულობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაადგინა შემდეგი კრიტერიუმები: **განსხვავებული მოპყრობა დასაბუთებულია, თუ ის არის ობიექტური და გონივრული, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აკმაყოფილებს პროპორციულობის ტესტს.** ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს ფართო შეფასების ფარგლები. სასამართლომ განაცხადა, რომ დისკრეციის საზღვრები დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, დავის (შესწავლის) საგანზე. შესწავლის საგანი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განისაზღვროს წევრი სახელმწიფოს შეფასების ფარგლები, ასევე, რამდენად იოლია დისკრიმინაციული ქმედების გამართლება და დასაბუთება.
- **დაცული საფუძვლები.** დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (გაერო) 26-ე მუხლში არ არის ამომწურავი. **შესაბამისად, იგი დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა და დაფარა ისეთი საკითხები, როგორებიცაა სექსუალური ორიენტაცია, ასაკი და ა.შ.** მსგავსი სიტუაციაა ევროპის საბჭოს კონვენციის მე-14 მუხლშიც. დაცული საფუძვლებია: რასა, კანის ფერი, სქესი, ეთნიკურობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, გენდერული იდენტობა, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი და სხვა ნიშანი.

ევროპული სასამართლო სხვა სტატუსში (ნიშანში) მოიაზრებს სექსუალურ ორიენტაციას, ასაკს და შეზღუდულ შესაძლებლობას. ამას გარდა, სასამართლომ აღიარა ისეთი დაცული საფუძვლებიც, როგორებიცაა მამობა, ოჯახური სტატუსი, ორგანიზაციის წევრობა და სამხედრო წოდება.

38. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე ტანაკას მოსაზრება დასავლეთ აფრიკის საქმეზე (Judge Tanaka in the South West Africa case (ICJ Rep. 1966, 4).

- **მტკიცების ტვირთი.** როგორც წესი, პირი რომელიც წარადგენს საჩივარს, ამტკიცებს დისკრიმინაციის ფაქტს, თუმცა შესაძლებელია, რთული იყოს ჩვენება, რომ განსხვავებული მოპყრობა განხორციელდა კონკრეტულ დაცულ საფუძველზე დაყრდნობით. სასამართლოს ენით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეთანხმება ფაქტებს, რომლებიც „დგინდება მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასებით, მათ შორის, დასკვნას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეების მიერ წარდგენილი ფაქტებიდან... მტკიცება შეიძლება ეყრდნობოდეს საკმარისად ძლიერ, ნათელ და შეთანხმებულ დასკვნებს ან მსგავს უტყუარ ვარაუდებს. მეტიც, აუცილებელია დამაჯერებლობის გარკვეული დონე კონკრეტული დასკვნის გასაკეთებლად და მტკიცების ტვირთის გადანაწილება, რაც არსობრივად უკავშირდება ფაქტების სპეციფიკას, ბრალდების ბუნებას და [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ] უფლებას.
- **ფაქტორები, რომლებსაც არ სჭირდება მტკიცება.** დისკრიმინაციის ფაქტის თანმხლები გარკვეული საკითხები, როგორებიცაა ცრურწმენა ან დისკრიმინაციის განზრახვა, არ არის მნიშვნელოვანი იმის დასადგენად, რამდენად დაკმაყოფილდა დისკრიმინაციის სამართლებრივი ტესტი. დისკრიმინაციის დასადგენად, მარტივად უნდა დამტკიცდეს განსხვავებული მოპყრობა დაცული საფუძვლით, ამავდროულად ისიც, რომ ამგვარი მოპყრობა დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ არ არის საჭირო, დამტკიცდეს დამნაშავის მოტივირება ცრურწმენით. შესაბამისად, არ არის აუცილებელი მისი რასისტული ან სექსისტური შეხედულებების დადასტურება რასიზმის ან სექსიზმის ნიადაგზე დისკრიმინაციის დასამტკიცებლად. ზოგადად, კანონს არ შეუძლია ინდივიდთა დამოკიდებულების რეგულირება, ვინაიდან ეს მათი შინაგანი განცდაა. შესაძლებელია მხოლოდ იმის მართვა, რაც ქმედებით ვლინდება; მეორე, არ არის აუცილებელი ჩვენება, რომ სადავო წესი ან პრაქტიკა მიზნად ისახავს განსხვავებულ მოპყრობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუნდაც საჯარო მოხელემ/კერძო პირმა მიუთითოს, რომ აღნიშნული განხორციელდა კეთილი განზრახვით ან გულწრფელობით, თუ ეს პრაქტიკა იწვევს კონკრეტული ჯგუფის გარიყვას და ზიანს აყენებს მათ, ფაქტი ჩაითვლება დისკრიმინაციად. საქმეში *D.H. and Others v. the Czech Republic* სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სპეციალური სკოლები შექმნილი იყო ბოშა ბავშვების განათლების ხელშესაწყობად, კერძოდ, მათ დასახმარებლად ენობრივი ბარიერის გადალახვასა და სკოლამდელი განათლების დეფიციტის შევსებაში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია ბოშა ბავშვებთან მიმართებით.
- **სტატისტიკისა და სხვა ტიპის მონაცემების მნიშვნელობა** – სტატისტიკურმა მონაცემებმა შეიძლება უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს დისკრიმინაციის დადგენაში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

დასარიგებელი მასალა 2.1(ა): მიაქციეთ ყურადღება!

ვის აერთიანებს ლგბტ თემი? — ძირითადი ცნებები და დეფინიციები

სექსუალური ორიენტაცია	
LGB	L – G – B –
გენდერული იდენტობა	
გენდერული გამოხატვა	
ტრანსგენდერი ან „T“	
ინტერსექსი	

საზიანო სოციალური ქცევა – ძირითადი ცნებები და დეფინიციები

ჰომოფობია	
ტრანსფობია	
სტერეოტიპი	
დისკრიმინაცია	პირდაპირი – ირიბი –

დასარიგებელი მასალა 2.1(ბ): ძირითად ცნებებთან დაკავშირებით დასარიგებელი მასალა

წარმოდგენილი ფიგურა დაგეხმარებათ ამ მოდულში განხილული ცნებების იდენტიფიცირებასა და გამოვლენაში, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სავარჯიშო არ უნდა გამოიყენოთ ინტერსექს ადამიანებზე დისკუსიისთვის, რადგან იგი არ ასახავს ინტერსექსის განმარტებით გათვალისწინებულ სქესის მახასიათებლების მრავალფეროვნებას. ინტერსექსთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, იხ. აქტივობა 2.1 და დასარიგებელი მასალა 2.1(ა).[39]



სექსუალური ორიენტაცია: რას ვგრძნობთ სხვათა მიმართ, ვინც ემოციურად და ფიზიკურად გვიზიდავს; რა ხდება ჩვენს გულებში, როცა ხარ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ჰეტეროსექსუალი.

გენდერული იდენტობა: როგორ მოვიაზრებთ და ვგრძნობთ საკუთარ გენდერს; რა დევს ჩვენს გონებაში (მაგ.: თავს ვგრძნობ ქალად, კაცად, ორივეს კომბინაციად ან არც ერთად).

გენდერული გამოხატულება: როგორ გამოვხატავთ საკუთარ თავს ქცევის და ფიზიკური გარეგნობის მეშვეობით. ჩვენი ჩაცმულობა, თმა, ძვირფასეულობა, მანერები და სხვა. როდესაც ხარ ტრანსი, სისგენდერი, ქროსდრესერი სხვა ჯგუფებს შორის.

ჩვენი სქესი: ქრომოსომებისა და ფიზიკური ორგანოების ბიოლოგიური ნაერთი. რა გვაყალიბებს კაცად, ქალად, ორივედ ან არც ერთად.

ლესბოსელი: ქალი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას, ძირითადად, სხვა ქალებისადმი განიცდის.

გეი კაცი: კაცი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას, ძირითადად, სხვა კაცებისადმი განიცდის.

ბისექსუალი: ადამიანი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რომანტიკული, ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის ადამიანებისადმი.

ჰეტეროსექსუალი: ადამიანი, რომელიც ემოციურ, რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობას განიცდის საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი.

ტრანსგენდერი: ადამიანი, ვისი გენდერული იდენტობაც განსხვავდება დაბადებისას განსაზღვრული სქესისგან ან ვისაც სურს თავისი გენდერული იდენტობის წარმოჩენა დაბადებისას განსაზღვრული სქესისგან განსხვავებულად.

39. http://itspronouncedmetrosexual.com/2012/03/the-genderbread-person-v2-0/

აქტივობა 2.2: სტერეოტიპების გაგება 1: ჯგუფური სამუშაო, შემდეგ – პრეზენტაცია და დისკუსია პლენარულ სესიაზე (20 წუთი)

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ:

ამ სავარჯიშოს ფასილიტაციისას საჭიროა სიფრთხილე, რათა ლგბტ პირთა მიმართ გაჟღერებული უარყოფითი სტერეოტიპები არ იქცეს ჰომოფობიის/ტრანსფობიის გამოხატვის შესაძლებლობად. მისი განხორციელება შეიძლება შეუფერებელი იყოს რთულ ან ისეთ სამუშაო გარემოში, როდესაც ფასილიტატორი გამოუცდელია წინააღმდეგობრივი დისკუსიების მართვაში.

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;

ოთახები ჯგუფებში მუშაობისთვის ან სივრცე ტრენინგის ოთახში.

1. დაყავით მონაწილეები ოთხ ჯგუფად.

2. დაავალეთ თითოეულ ჯგუფს შეძლებისდაგვარად მეტი სტერეოტიპის დასახელება:

- პირველი ჯგუფი – უარყოფითი სტერეოტიპები ლგბტ პირების შესახებ;
- მეორე ჯგუფი – უარყოფითი სტერეოტიპები პოლიციის შესახებ;
- მესამე ჯგუფი – დადებითი სტერეოტიპები ლგბტ პირების შესახებ;
- მეოთხე ჯგუფი – დადებითი სტერეოტიპები პოლიციის შესახებ.

3. მიეცით ჯგუფებს ხუთი წუთი შესაბამისი სტერეოტიპების გამოსავლენად. შემდეგ მონაწილეები გააერთიანეთ და სთხოვეთ ჯგუფებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი დასკვნები. განათავსეთ შედეგები ოთხ ფლიპჩარტზე.

4. ზოგადი დისკუსიის ფარგლებში, დასვით შეკითხვები:
   - სტერეოტიპები ზუსტად აღწერს ამ ჯგუფებს?
   - რა ზიანის მოტანა შეუძლია სტერეოტიპებს ამ ორი ჯგუფისთვის?

ამ სავარჯიშომ უნდა გამოამჟღავნოს ცრუ წარმოდგენები და აჩვენოს, რომ ყველა ჯგუფს ადგება ზიანი სტერეოტიპებით. ლგბტ პირებისა და პოლიციის პარალელური გამოკვლევა ხელს შეუწყობს პოლიციასა და ლგბტ თემს შორის კავშირის დამყარებას.

[წყარო: Polack, R. and LeDeroff, J. (2010) ILGA Europe-ის ინსტრუმენტების წყება პოლიციის ოფიცრებისთვის, ჰომოფობიურ დანაშაულთან ბრძოლის ხელშესაწყობად ILGA Europe.]

აქტივობა 2.3(ა): სტერეოტიპების გაგება: ინდივიდუალური სამუშაო, რასაც დისკუსია მოჰყვება (20 წუთი).

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები.

1. დაავალეთ მონაწილეებს დამოუკიდებლად მუშაობა და სთხოვეთ, გაიხსენონ სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომელიც გამოვლინდა მათ მიმართ ან ოჯახის წევრის, ნაცნობისა თუ მეგობრისადმი. სთხოვეთ, დაწერონ, რა ზეგავლენა ჰქონდა ასეთ სტერეოტიპიზაციას.

2. რამდენიმე წუთის შემდეგ, სთხოვეთ რამდენიმე მონაწილეს, მოკლედ ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე.

აქტივობა 2.3(ბ): სტერეოტიპების გაგება 2: ჯგუფური დისკუსია (15 წუთი)

ზემოხსენებულ დისკუსიაზე დაყრდნობთ, დაუსვით ჯგუფს შემდეგი შეკითხვები და მათი იდეები ჩაწერეთ ფლიპჩარტზე:

- სტერეოტიპების თქვენეული გაგების გათვალისწინებით, რა რისკების წინაშე შეიძლება დადგნენ ცალკეული პირები, ოჯახები და თემები, თუკი სტერეოტიპიზაცია არ დაიძლევა?
- რა რისკები იარსებებს, თუ პოლიციის თანამშრომლები ასეთ სტერეოტიპიზაციას თავად შეუწყობენ ხელს?

მოდული 2(ბ): ძირითადი ცნებები და დეფინიციები – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

სწავლების შედეგები

ტრენინგების შედეგად მონაწილეები შეძლებენ:

- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმარტების გაგებას;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ინციდენტების დიფერენცირებას;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებლის გააზრებას, რაც პოლიციის კომპეტენციაში შედის;
- ადგილობრივი/ეროვნული საპოლიციო კონტექსტის გაგებას;
- ტერმინოლოგიის გამოყენებას ტრენინგებისა და მათი მუშაობის ფარგლებში;
- გააზრებას, რომ შესაბამისი კანონმდებლობის გარეშეც, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული არსებობს, როგორც სოციალური კონცეფცია და პრაქტიკული საპოლიციო ზომების გატარების საფუძველი.

აქტივობებისა და მათი განხორციელების ხანგრძლივობის მიმოხილვა:

- აქტივობა 2.4: რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული? პრეზენტაცია და დისკუსია (20 წუთი);
- აქტივობა 2.5: განმარტების ტესტი (10 წუთი);
- აქტივობა 2.6: სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის იდენტიფიცირება (10 წუთი).

აქტივობა 2.4: რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული? პრეზენტაცია და დისკუსია (30 წუთი).

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ

ადგილობრივი კანონმდებლობა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის/სიძულვილის ინციდენტის/სიძულვილის ენის სამართლებრივი განმარტებები უნდა შეისწავლოთ ტრენინგის დაწყებამდე. მონაწილეებს უნდა მიაწოდოთ დეფინიციები კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცული ჯგუფების შესახებ.

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;
დასარიგებელი მასალა 2.4(ა);
დასარიგებელი მასალა 2.4(ბ).

ამ აქტივობის ფარგლებში ტრენერი პლენარულ სესიაზე გააცნობს მონაწილეებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმარტებას და ძირითად ცნებებს. მათ დაურიგდებათ დასარიგებელი მასალა 2.4(ა) (ადგილობრივ კონტექსტზე მორგების შემდეგ). 2.4(ბ)-ის გამოყენება მონაწილეებს შეუძლიათ ძირითადი ცნებების გაგების შესამოწმებლად.

ძირითადი განმარტებები:

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული: სისხლის სამართლის ქმედება შეუწყნარებლობის მოტივით.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მოიცავს მუქარას, ქონების დაზიანებას, მკვლელობას ან ნებისმიერ სხვა სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, როდესაც მსხვერპლის, დანაშაულის ადგილის ან სამიზნის შერჩევა განპირობებულია მსხვერპლის რეალური ან აღქმული კავშირით (მიკუთვნება, წევრობა, მხარდაჭერა) რომელიმე დაცულ ჯგუფთან.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ორი ძირითადი კომპონენტია:

ა) **სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა;** და

ბ) **შეუწყნარებლობის მოტივი.**

რომელიმე ზემოხსენებული კომპონენტის არარსებობისას, ინციდენტი ვერ დაკვალიფიცირდება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არის ქმედებები, რომლებიც ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით. სიძულვილით მოტივირებულია ქმედება, როდესაც მსხვერპლის, დანაშაულის ადგილის ან სამიზნის შერჩევა განპირობებულია მსხვერპლის ან სამიზნის რეალური ან აღქმული კავშირით (მიკუთვნება, წევრობა ან მხარდაჭერა) ლგბტ ჯგუფთან. უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ დამნაშავის მოტივი არის: სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული გამოხატვა ან დაზარალებულის სქესობრივი მახასიათებლები.

სიძულვილით მოტივირებული ინციდენტები არის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებები ან გამოხატულებები. ამ ქმედებებმა შეიძლება არ მიაღწიოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კვალიფიკაციის ზღვარს, თუ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება შეუწყნარებლობით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის დასადგენად ან ეს ქმედება ეროვნული კანონმდებლობით არ მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად.

ქუჩაში პირის მიმართ ტრანსფობიური შინაარსის შეძახილები შეიძლება იყოს სიძულვილით მოტივირებული ინციდენტი, თუ ეს გამოხატულება და მასთან დაკავშირებული საშიში ქცევა არ არის საკმარისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომლებიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას, მაგ.: პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა განცხადებები, პრესით ან ინტერნეტით გავრცელებული სხვა მოსაზრებები, რომლებიც მიზნად ისახავს სიძულვილს გაღვივებას.

სიძულვილის ენა შეიძლება ეროვნული კანონმდებლობით არ მოიაზრებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულად.

გენოციდი გულისხმობს განზრახ ქმედებას, რომელიც მიემართება ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სოციალური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურებისკენ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეიძლება იყოს იმ პროცესის ნაწილი, რომელსაც გენოციდამდე მივყავართ. გენოციდის ცალკეული ქმედებები შეიძლება განიხილებოდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის უმთავრესი თვისებაა ვითარების **გამწვავება,** თუ არ გატარდება ზომები ამ დანაშაულის აღსაკვეთად. თუ სიძულვილის ენა არ დაიძლევა, მას შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლის დანაშაული ან/და ძალადობრივი ქმედებები. ასეთმა დანაშაულმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ კონკრეტულად სამიზნე პირზე, არამედ მისი ოჯახის ან ადგილობრივი თემის წევრებსა და მთელ საზოგადოებაზე.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სკოლებმა, თემებმა, მთავრობებმა და პოლიციამ სათანადო რეაგირება მოახდინონ მსგავს ინციდენტებზე, რათა ხელი შეუშალონ დისკრიმინაციული ქცევის გამწვავებას.

დაცული მახასიათებელი (დისკრიმინაციის ნიშანი) არის ჯგუფის ფუნდამენტური ნიშნები, როგორებიცაა რასა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, სქესობრივი მახასიათებლები ან მსგავსი საერთო ფაქტორები, რომლებიც მათი იდენტობის ფუნდამენტური მახასიათებელია. ასეთი მახასიათებლები ჩვენი იდენტობის შემადგენელი ნაწილია, რომლის შეცვლაც ადვილი არ არის. ანუ არსებობს გარკვეული ნიშნები, რომელთა გამოც, დროის პერიოდისა და კულტურის ფარგლებში, დისკრიმინაციის მკაფიო ტენდენცია გამოიკვეთა.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დასახელება ქვეყანათა დისკრიმინაციის ამკრძალავ კანონმდებლობებში გულისხმობს მათ განსაზღვრას დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძვლებად. დაცული საფუძველი ადამიანის პირადი მახასიათებელია, რომელიც, როგორც წესი, არ იცვლება (მაგ.: რასა, როგორც შავკანიანი ადამიანის დაცული საფუძველი, ლესბოსელი ქალის სექსუალური ორიენტაცია და ა.შ.). ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას ისტორიული ფესვები აქვს: ის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა საზოგადოებისა და კულტურისთვის, მათ შორის, ადრეულ საუკუნეებშიც, თუმცა მსგავს პრაქტიკას და ძალადობის სხვადასხვა ფორმას ვხვდებით დღესაც, თანაც ისეთი მძიმე ფორმებით, როგორიცაა ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაცია.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ხშირად უწოდებენ **„გზავნილის შემცველ დანაშაულსაც“**, რადგან დანაშაულის ჩამდენის მიზანი არცთუ იშვიათად არის გზავნილის მიწოდება ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოებისთვის, რომ ისინი არ არიან მისაღებები და საფრთხე ემუქრებათ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლების, მათ შორის, პოლიციის პასუხისმგებლობა კი ის არის, რომ დამნაშავეებს მიაწოდოს **გზავნილი** საზოგადოების შეუგუებლობაზე ასეთი დანაშაულების მიმართ.

ლგბტ სათემო ცენტრის კედელზე ისეთი წარწერის გაკეთება, როგორიცაა „სიკვდილი ყველა ჰომოსექსუალს“, გზავნილის მიმწოდებელი სამართალდარღვევაა. ამ ქმედებით გზავნილის ავტორს სურდა, მთელი ადგილობრივი ლგბტ საზოგადოებისთვის ეთქვა, რომ ისინი არ არიან უსაფრთხოდ.

გაითვალისწინეთ: **არ არის აუცილებელი** დამტკიცება, რომ დამნაშავეს სძულდა ჯგუფი, რომლისკენაც მიემართებოდა ქმედება. საკმარისია ჩვენება, რომ მსხვერპლი შეირჩა

დაცული ჯგუფის წევრობის ნიშნით **(შეუწყნარებლობის მოტივით)**. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იმავე ჯგუფის წევრი იყოს.

დამნაშავეები ხშირად ირჩევენ გეი კაცებს შანტაჟის სამიზნედ – იმედი აქვთ, რომ მათგან ფულის გამოძალვას შეძლებენ, რადგანაც საზოგადოებისა და ინსტიტუციების მხრიდან ჩაგვრის გამო, ლგბტ ადამიანები ძალადობისა და გარიყვის რისკქვეშ დგანან თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამოაშკარავების შემთხვევაში. შესაბამისად, დამნაშავეებს შეიძლება არ ჰქონდეთ წინასწარგანწყობა კონკრეტული გეი კაცების მიმართ, მაგრამ ფულის მარტივი გზით შოვნის სურვილი ამოძრავებდეთ.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანას არ აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ამ ქვეყნებში შეიძლება სასარგებლო იყოს ცალკეულ ინციდენტებზე საუბარი, როდესაც პოლიციასთან ერთად **სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს** განიხილავთ.

არ არის სავალდებულო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი დაცული ჯგუფის წარმომადგენელი იყოს: ის შეიძლება შეირჩეს დაცული ჯგუფის **მხარდაჭერის** გამო ან შეცდომით მიაკუთვნონ ასეთ ჯგუფს (მაგ.: მსხვერპლი იყოს: ჰეტეროსექსუალი კაცი, რომელმაც გეიების ბართან ჩაიარა და შეცდომით ამ ბარის კლიენტი ეგონათ, რის გამოც სცემეს; ან სატელევიზიო სახე, რომელიც მხარს უჭერს ლგბტ ადამიანთა უფლებებს და ამის გამო მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების სამიზნე ხდება).

პირი შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლია ან არ ესმოდეს, რას **გულისხმობს აღნიშნული ცნება.** ეს არ გამორიცხავს ფაქტს, რომ ინციდენტი შეიძლება იყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.

მსხვერპლმა შეიძლება იცოდეს/არ იცოდეს, რომ დანაშაულის ობიექტი გახდა უმცირესობათა ჯგუფთან მიკუთვნების გამო. პოლიციის პასუხისმგებლობაა, გაარკვიოს, არსებობს თუ არა მიკერძოებული მოტივი და, საჭიროების შემთხვევაში, განუმარტოს ეს მსხვერპლს. მსხვერპლის აღქმა არის მხოლოდ ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა (იხ. მოდული 4 – „მიკერძოებულობის ინდიკატორები“).

დასარიგებელი მასალა 2.4(ა) — სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საინფორმაციო ფურცელი

განმარტება:

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული: სისხლის სამართლის ქმედება, ჩადენილი შეუწყნარებლობის მოტივით. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მოიცავს მუქარას, ქონების დაზიანებას, თავდასხმას, მკვლელობას ან ნებისმიერ სხვა სისხლის სამართლის დანაშაულს, როდესაც მსხვერპლის, დანაშაულის ადგილის ან სამიზნის შერჩევა განპირობებულია მსხვერპლის აღქმული ან რეალური კავშირით (მიკუთვნება, წევრობა, მხარდაჭერა) რომელიმე დაცულ ჯგუფთან.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული არის ქმედება შეუწყნარებლობის მოტივით, როდესაც მსხვერპლის, დანაშაულის ადგილის ან სამიზნის შერჩევა განპირობებულია მსხვერპლის ან სამიზნის რეალური ან აღქმული კავშირით (მიკუთვნება, წევრობა, მხარდაჭერა) ლგბტ ჯგუფთან. უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დამნაშავის მოტივი იყო სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული გამოხატვა ან დაზარალებულის სქესობრივი მახასიათებლები.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ორი ძირითადი კომპონენტია:

ა) **სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა;** და

ბ) **შეუწყნარებლობის მოტივი.**

სიძულვილით მოტივირებული ინციდენტები არის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებები ან გამოხატულებები. ამ ქმედებებმა შეიძლება არ მიაღწიოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კვალიფიკაციის ზღვარს, თუ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება შეუწყნარებლობით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის დასადგენად ან ეს ქმედება ეროვნული კანონმდებლობით არ მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად.

სიძულვილის ენა ლგბტ პირთა მიმართ გულისხმობს გამოხატვის ყველა ფორმას, რომლებიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს ასეთი პირებისადმი სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას (მაგ.: პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა განცხადებები ან პრესით თუ ინტერნეტით გავრცელებული სხვა მოსაზრებები, რომლებიც მიზნად ისახავს სიძულვილის გაღვივებას).

გენოციდი გულისხმობს განზრახ ქმედებას, რომელიც მიემართება ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სოციალური ჯგუფის მთლიანი თუ ნაწილობრივი განადგურებისკენ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეიძლება იყოს იმ პროცესის ნაწილი, რომელსაც გენოციდამდე მივყავართ. გენოციდის ცალკეული ქმედებები შეიძლება განიხილებოდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის უმთავრესი თვისებაა ვითარების **გამწვავება,** თუ არ გატარდება ზომები ამ დანაშაულის აღსაკვეთად. თუ სიძულვილის ენა არ დაიძლევა, მას შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლის დანაშაული ან/და ძალადობრივი ქმედებები. ამ დანაშაულმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ კონკრეტულად სამიზნე პირზე, არამედ მისი ოჯახის ან ადგილობრივი თემის წევრებსა და მთელ საზოგადოებაზე.

დაცული მახასიათებელი არის ჯგუფის ფუნდამენტური ნიშანი, როგორიცაა რასა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, სქესობრივი მახასიათებლები ან მსგავსი საერთო ფაქტორები, რომლებიც მათი იდენტობის ფუნდამენტური მახასიათებელია. ასეთი მახასიათებლები ჩვენი იდენტობის შემადგენელი ნაწილია, რომლის შეცვლაც ადვილი არ არის. ანუ, არსებობს გარკვეული ნიშნები, რომელთა გამოც, დროის პერიოდისა და კულტურის ფარგლებში, დისკრიმინაციის მკაფიო ტენდენცია გამოიკვეთა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ხშირად უწოდებენ **„გზავნილის შემცველ დანაშაულსაც“,** რადგან არცთუ იშვიათად დანაშაულის ჩამდენის მიზანია გზავნილის მიწოდება ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოებისთვის, რომ ისინი არ არიან მისაღებები და საფრთხე ემუქრებათ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლების, მათ შორის, პოლიციის პასუხისმგებლობა კი ის არის, რომ დამნაშავეებს მიაწოდოს გზავნილი საზოგადოების შეუგუებლობაზე ასეთ დანაშაულთან.

გაითვალისწინეთ, **არ არის აუცილებელი დამტკიცება,** რომ დამნაშავეს სძულდა ჯგუფი, რომელსაც მიემართებოდა ქმედება. საკმარისია ჩვენება, რომ მსხვერპლი შეირჩა დაცული ჯგუფის წევრობის ნიშნით **(მიკერძოებული დამოკიდებულების გამო)**. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იმავე ჯგუფის წევრი იყოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანას არ აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ამ ქვეყნებში შეიძლება სასარგებლო იყოს ცალკეულ ინციდენტებზე საუბარი, როდესაც პოლიციასთან ერთად **სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს** განიხილავთ.

არ არის სავალდებულო, მსხვერპლი დაცული ჯგუფის წარმომადგენელი იყოს. ის შეიძლება შეირჩეს დაცული ჯგუფის **მხარდაჭერის** გამო ან **შეცდომით მიაკუთვნონ** ასეთ ჯგუფს.

მსხვერპლი შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის **მსხვერპლია**, ან არ ესმოდეს, რას **გულისხმობს აღნიშნული ცნება.** ეს არ გამორიცხავს ფაქტს, რომ ინციდენტი/ქმედება შეიძლება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაული იყოს.

დასარიგებელი მასალა 2.4(ბ) — სწრაფი ტესტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ

1	შეავსეთ თავისუფალი ადგილები (იგივე პასუხი ორივე შემთხვევაში) სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ––––––––––––––––– დანაშაულს. ეს განპირობებულია დამნაშავის სურვილით, თემს მიაწოდოს ––––––––––––––––––––––, რომ მისი წევრები არ არიან უსაფრთხოდ.
2	უნდა შეატყობინოს თუ არა მსხვერპლმა პოლიციას სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, რათა ინციდენტი გამოიძიონ, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული? მოკლედ განმარტეთ პასუხი.
3	რა ტენდენცია შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირება ადრეულ ეტაპზევე არ მოხდება?
4	რომელი ორი ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს სახეზე, რომ შემთხვევა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად ჩაითვალოს? 1) –– 2) –––
5	უნდა იყოს თუ არა პირი ლგბტ თემის წარმომადგენელი, რომ დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად ჩაითვალოს?
6	არის თუ არა აუცილებელი, ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცესში დამტკიცდეს, რომ დამნაშავეს სძულდა მსხვერპლი?
7	არის თუ არა სიძულვილის ენა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული?
8	დაასახელეთ დაცული ჯგუფების მახასიათებლები თქვენი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც არეგულირებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს.
9	დაასახელეთ დაცული მახასიათებლების ორი საერთო თვისება: 1) –– 2) –––

აქტივობა 2.5: განმარტების ტესტი (5 წუთი)

საჭირო მასალები:
კალმისტრები;
დასარიგებელი მასალები 2.5ა (ტესტი) და 2.5(ბ) (პასუხები)

თითოეულ მონაწილეს გადაეცით დასარიგებელი მასალები. განუმარტეთ მონაწილეებს, რომ სავარჯიშოების მიზანია ძირითადი ცნებისა და განმარტების მისადაგება. 5 წუთის შემდეგ, მიაწოდეთ მონაწილეებს პასუხები და სთხოვეთ საკუთარი ქულების დაჯამება. განიხილეთ მცირე პრიზის დაწესება იმ პირისთვის, რომელიც ყველაზე მაღალ ქულას დააგროვებს.

დასარიგებელი მასალა 2.5(ა) — განმარტებების ტესტი

ძირითადი ცნება	ჩასვით ასო		განმარტება
დისკრიმინაცია		A	სიტყვები, რომლებიც გამოიყენება პირისთვის მიმართვისას ან მისი სახელის ნაცვლად (მაგ.: ის/მას/ისინი (მდედრობითი/მამრობითი).
ჰომოფობია		B	ადამიანის უნარი, ჰქონდეს ღრმა ემოციური, სასიყვარულო თუ სექსუალური მიზიდულობა და ინტიმური/სექსუალური კავშირი სხვა ადამიანებთან.
ტრანსი		C	წინასწარ განწყობილი ირაციონალური შიში და სიძულვილი ჰომოსექსუალი და ლგბ ადამიანების მიმართ.
ინტერსექსი		D	პირები, რომელთა გენდერული იდენტობა არ შეესაბამება დაბადებისას განსაზღვრულ სქესს და, სხეულის გარეგნული მხარეებისა და ფუნქციების გარდაქმნის მიზნით, სქესის კვლავმინიჭების ოპერაციას იკეთებენ.
ტრანზიცია		E	კაცი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას ძირითადად სხვა კაცებისადმი განიცდის.
სტერეოტიპი		F	ჩვენი ყოველდღიური არჩევანი ჩაცმისა თუ ქცევის თვალსაზრისით, რომელიც ჩვენს სქესზე მიანიშნებს.
გენდერული იდენტობა		G	სოციალური, იურიდიული ან/და სამედიცინო ცვლილებების პროცესი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ გარეგნობას, ტანსაცმელს და სოციალურ ურთიერთობებს.
ბისექსუალი		H	გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობა.
ლესბოსელი		I	ადამიანი, რომელიც ღრმა ემოციურ, რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობას განიცდის/საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი.
ნაცვალსახელები		J	ირაციონალური შიში და სიძულვილი ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას.

ტრანსსექსუალი		K	ქოლგა ტერმინი, რომელიც ფარავს გარკვეული ადამიანების მიერ ფართო მოსახლეობისგან განსხვავებული გენდერის იდენტიფიცირების მრავალფეროვან ფორმებს.
სექსუალური ორიენტაცია		L	ადამიანის მიერ კაცის, ქალის ან სხვა სქესისადმი კუთვნილების ინდივიდუალური შინაგანი აღქმა.
ჰეტეროსექსუალი		M	ადამიანი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რომანტიკული, ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის ადამიანებისადმი.
ტრანსფობია		N	წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული ან ზედმეტად მარტივი განზოგადება ადამიანთა ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალურ განსხვავებათა გაუთვალისწინებლად.
გენდერული გამოხატვა		O	ქალი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას ძირითადად სხვა ქალებისადმი განიცდის.
გეი		P	სქესის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები (მაგ.: მდედრობითი/მამრობითი, ქალბატონი/ბატონი), რომლებიც ხშირად გვხვდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში
გენდერის ნიშანი		Q	ადამიანი, რომლის თანდაყოლილი ფიზიკური, ჰორმონული ან გენეტიკური მახასიათებლები არ არის სრულად ქალის ან კაცის; არის ერთდროულად ქალისაც და კაცისაც; ან არც ქალისაა და არც კაცის.

დასარიგებელი მასალა 2.5(ბ) — განმარტებების ტესტის პასუხები

ძირითადი ცნება	ჩასვით ასო		დეფინიცია
დისკრიმინაცია	H	A	სიტყვები, რომლებიც გამოიყენება პირისთვის მიმართვისას ან მისი სახელის ნაცვლად (მაგ.: ის/მას/ისინი (მდედრობითი/მამრობითი).
ჰომოფობია	C	B	ადამიანის უნარი, ჰქონდეს ღრმა ემოციური, სასიყვარულო თუ სექსუალური მიზიდულობა და ინტიმური/სექსუალური კავშირი სხვა ადამიანებთან.
ტრანსი	K	C	წინასწარ განწყობილი ირაციონალური შიში და სიძულვილი ჰომოსექსუალი და ლგბ ადამიანების მიმართ.
ინტერსექსი	Q	D	პირები, რომელთა გენდერული იდენტობა არ შეესაბამება დაბადებისას განსაზღვრულ სქესს და სხეულის გარეგნული ნიშნებისა და ფუნქციების გარდაქმნის მიზნით, სქესის კვლავმინიჭების ოპერაციას იკეთებენ.
ტრანზიცია	G	E	კაცი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას ძირითადად სხვა კაცებისადმი განიცდის.
სტერეოტიპი	N	F	ჩვენი ყოველდღიური არჩევანი ჩაცმისა თუ ქცევის თვალსაზრისით, რომელიც ჩვენს სქესზე მიანიშნებს.

გენდერული იდენტობა	L	G	სოციალური, იურიდიული ან/და სამედიცინო ცვლილებების პროცესი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ გარეგნობას, ტანსაცმელს და სოციალურ ურთიერთობებს.
ბისექსუალი	M	H	გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობა.
ლესბოსელი	O	I	ადამიანი, რომელიც ემოციურ, რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობას განიცდის საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი.
ნაცვალსახელები	A	J	ირაციონალური შიში და სიძულვილი ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას.
ტრანსსექსუალი	D	K	ქოლგა ტერმინი, რომელიც ფარავს გარკვეული ადამიანების მიერ ფართო მოსახლეობისგან განსხვავებული გენდერის იდენტიფიცირების მრავალფეროვან ფორმებს.
სექსუალური ორიენტაცია	B	L	ადამიანის მიერ კაცის, ქალის ან სხვა სქესისადმი კუთვნილების ინდივიდუალური შინაგანი აღქმა.
ჰეტეროსექსუალი	I	M	ადამიანი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რომანტიკული, ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის ადამიანებისადმი.
ტრანსფობია	J	N	წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული ან ზედმეტად მარტივი განზოგადება ადამიანთა ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალურ განსხვავებათა გაუთვალისწინებლად.
გენდერის გამოხატვა	F	O	ქალი, რომელიც რომანტიკულ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ლტოლვას ძირითადად სხვა ქალებისადმი განიცდის.
გეი	E	P	სქესის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები (მაგ.: მდედრობითი/მამრობითი, ქალბატონი/ბატონი), რომლებიც ხშირად გვხვდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში.
გენდერის ნიშანი	P	Q	ადამიანი, რომლის თანდაყოლილი ფიზიკური, ჰორმონული ან გენეტიკური სქესობრივი მახასიათებლები არ არის სრულად ქალის ან კაცის; არის ერთდროულად ქალისაც და კაცისაც ან არც ქალისაა და არც კაცის.

აქტივობა 2.6: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობის კონტექსტის იდენტიფიცირება (30 წუთი)

საჭირო მასალები:
ქაღალდი და კალმისტრები.

ამ აქტივობის ფარგლებში ჯგუფმა უნდა განიხილოს ეროვნული კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ და გაიაზროს, თუ როგორ არის ის განსაზღვრული. მონაწილეებს დაუსვამენ კითხვას, აქვთ თუ არა გამოცდილება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მხრივ და როგორ მუშაობს პრაქტიკაში გამოძიება და პროკურატურა.

განსახილველია შემდეგი სფეროები:

- რა ტიპისაა კანონი (კონკრეტული სანქციები, ზოგადი სანქციები, კონკრეტული დანაშაულები)?

- რომელი დაცული მახასიათებლებია გათვალისწინებული?
- როგორია პოლიციის პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით?
- რა როლი გეკისრებათ, როგორც გამომძიებელს?
- თქვენი აზრით, რა როლი ეკისრება პროკურორს?
- თქვენი აზრით, რა როლი ეკისრება სასამართლოს?
- როგორია თქვენი გამოცდილება არსებული კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით?
- როგორ ფიქრობთ, კანონმდებლობა ეფექტიანია?

III მოდული: საპოლიციო ღონისძიებები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად: ადამიანის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე დაფუძნებული მიდგომა

შესავალი და წინაპირობები

ადამიანის უფლებები შეიძლება ხშირად „რეალური საპოლიციო საქმიანობისგან“ განყენებულად აღიქმებოდეს, თუმცა სინამდვილეში მათ კავშირი აქვს პოლიციის თითოეული ოფიცრის ძირითად ვალდებულებებთან, დაწყებული დაზარალებულთა უსაფრთხოებიდან და დამთავრებული ეფექტიანი გამოძიებით. ამ სტანდარტების შეუსრულებლობას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. დაზარალებულებს შეიძლება გაუცრუვდეთ ნდობა და მიიჩნიონ, რომ პოლიცია არ იცავს მათ. შესაძლებელია შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ დამნაშავეები დაუსჯელები რჩებიან და თავისუფლად შეძლებენ დანაშაულის ჩადენას შემდგომშიც. ასევე, შესაძლებელია პოლიციის სამსახურების წინააღმდეგ აღიძრას სარჩელები დისკრიმინაციის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის საფუძველზე.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ყოველდღიურად ხდება, რისი მიზეზიცაა ცრუ წარმოდგენები და დისკრიმინაცია. კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტ ადამიანების მიმართ საჯაროდ გამოიხატება მტრული დამოკიდებულება და ძალადობა; ისინი დისკრიმინაციას განიცდიან სამუშაო ადგილზე, სკოლაში, საცხოვრებლის ძიებისას ან როდესაც ჯანდაცვის სამსახურებს მიმართავენ. ზოგიერთი ლგბტ ადამიანი პოლიციის მხრიდანაც განიცდის შევიწროებასა და ძალადობას. ყოველივე ეს მთლიანობაში ლგბტ პირებს ბარიერებს უქმნის ისეთ საკითხებში, როგორებიცაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შეტყობინება პოლიციისთვის ან თანამშრომლობა გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში. დანაშაულის გაუცხადებლობის ყველაზე გავრცელებული მიზეზები ასეთია:

დაზარალებულები შიშობენ, რომ:

ა) პოლიცია მათ საჩივარს სერიოზულად არ მიიღებს;

ბ) ასეთი ინციდენტები ძალიან ხშირად ხდება და აზრი არა აქვს მათ გაცხადებას;

გ) დამნაშავეებმა შეიძლება შური იძიონ მათზე.

ეს ნიშნავს, რომ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას, პოლიციის ოფიცრები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა თავიდან აიცილონ ამ პირების ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაცია. როგორც მე-2 მოდულში აღვნიშნეთ, მარტივი ზომების გატარება იმისათვის, რომ პოლიციის განყოფილებები და პერსონალი ლგბტ პირთა მიმართ უფრო კეთილგანწყობილი იყოს, მნიშვნელოვნად გაზრდის შანსს, რომ დაზარალებულები მზად იქნებიან გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში თანამშრომლობისათვის.

ამ მოდულში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა სტანდარტები, რომლებიც პოლიციელებისთვის ყველაზე რელევანტურია ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონტექსტში. მოდული შეიცავს სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას პოლიციის ოფიცერთა მხრიდან და დაეხმარება მათ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანად გამოძიებაში. დასარიგებელ მასალაში 3.3(ბ) მიმოხილულია ყველაზე რელევანტური საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტიანი საპოლიციო ზომების გატარებას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად.

საჭიროების შემთხვევებში – და როდესაც მიზანშეწონილია – ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უნდა მიიწვიონ პრეზენტაციების გასაკეთებლად, ასევე, მონაწილეებთან კონსტრუქციული დიალოგის გასამართად დისკრიმინაციის საკითხებზე, რომელსაც ლგბტ პირები განიცდიან ეროვნულ კონტექსტში. ამ მოდულში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვის შესაძლებლობები.

სწავლების შედეგები

შედეგად, მონაწილეები:

- გააცნობიერებენ ცრუ წარმოდგენების, მტრული განწყობისა და დისკრიმინაციის ფართო კონტექსტს, რომელსაც ლგბტ პირები და თემები აწყდებიან (ცოდნა); გამოავლენენ კონკრეტულ ბარიერებს, რომელთა გამოც ლგბტ თემები არ აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს; უკეთ გაიაზრებენ პოლიციის შესაბამის მოვალეობებს (უნარი);

- გაეცნობიან ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკვანძო გადაწყვეტილებებს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე; გაიგებენ, თუ რატომ არის ეს სტანდარტები მნიშვნელოვანი მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად (ცოდნა);
- გააცნობიერებენ პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევებს (უნარი);
- გაეცნობიან ევროპის საბჭოს სტანდარტებს და სხვა ძირითად საერთაშორისო სტანდარტებს.

აქტივობებისა და მათთვის განკუთვნილი დროის მიმოხილვა

- აქტივობა 3.1: დისკრიმინაციის უფრო ფართო კონტექსტის გაგება, რომელსაც ლგბტ პირები და თემები აწყდებიან (30 წუთი);
- აქტივობა 3.2: კონკრეტული ბარიერების გამოვლენა, რომელთა გამოც ლგბტ თემები არ აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს; ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) ანგარიშის გაცნობა (30 წუთი).
- აქტივობა 3.3: ევროპის საბჭოს ძირითადი სტანდარტების, ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებისა და ეროვნული სტანდარტების გაცნობა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ; ECHR-ის გადაწყვეტილებების გააზრება; გაცნობიერება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეს სტანდარტები პოლიციის ოფიცრის პასუხისმგებლობათა უკეთ შესრულებისთვის (ცოდნა) (60 წუთი).

აქტივობა 3.1: დისკრიმინაციის უფრო ფართო კონტექსტის გაგება, რომელსაც ლგბტ პირები და თემები აწყდებიან (30 წუთი)

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;
დასარიგებელი მასალა 3.1.

1. სესიის დაწყებამდე, მოამზადეთ ფლიპჩარტის ორი ფურცელი:
   - ცხრილი სახელწოდებით: „ცრუ წარმოდგენები (წინასწარგანწყობები) და დისკრიმინაცია ლგბტ პირთა მიმართ“. ფლიპჩარტზე მოამზადეთ ცხრილი ოთხი სვეტით: საჯარო სივრცეები, საჯარო მომსახურებები (სერვისი) (საცხოვრებელი, განათლება), პირადი ცხოვრება, სამუშაო ადგილი. შეგიძლიათ, ეს კატეგორიები დიაგრამის სახითაც აჩვენოთ. მთავარია, ოთხი კატეგორია ნათლად ჩანდეს და საკმარისი სივრცე რჩებოდეს სიტყვების დასამატებლად.
   - ფურცელი სათაურით „ლგბტ პირთა პოლიციასთან კონტაქტის გამოცდილება“.

„ცრუ წარმოდგენები და დისკრიმინაცია ლგბტ პირთა მიმართ“.

საჯარო სივრცე (ქუჩა, რესტორნები, ბარები)	**საჯარო მომსახურებები (ჯანდაცვა, საცხოვ-რებელი, განათლება)**	**პირადი ცხოვრება (ოჯახი)**	**სამუშაო ადგილი**

2. სესიის დაწყებამდე, მოიძიეთ ლგბტ პირთა მიმართ ცრუ წარმოდგენებისა და მტრული დამოკიდებულებების მტკიცებულებები იმ ქვეყნის კონტექსტში, სადაც ტრენინგი მიმდინარეობს (მაგ.: მოძებნეთ მონაცემები TGEU და ILGA-Europe-ის ვეგ-გვერდებზე; შეგიძლიათ, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დაუკავშირდით ამ ინფორმაციის მისაღებად). უკეთესი იქნება, თუ მივუთითებთ მაგალითებს ქართული რეალობიდან – ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისას, როდესაც დაზარალებულს უწოდებენ „პედერასტს“, „ქათამს“, „უჯიშოს“ „ეშმაკის მოციქულს“ „პედოფილს“, „ბავშვების გამრყვნელს“ და ა.შ. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური უმცირესობის წევრებთან ურთიერთობის შემთხვევაში, ეს „დაავადება“ გადაედებათ. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ასეთი პირების ყურება იწვევს მიმბაძველობას და არსებობს საფრთხე, რომ მათი შემხედვარე არასრულწლოვნებიც გახდნენ „მათნაირები“ (იხ. ქვემოთ 3.2(ა)).

3. 5 წუთი: გააცანით მონაწილეებს აქტივობა და განმარტეთ, რა სახის ცრურწმენებს, მტრულ დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციას აწყდებიან ლგბტ პირები თავიანთი ცხოვრების ბევრ სფეროში. აუხსენით მონაწილეებს, რომ ზოგიერთ მაგალითს გაეცნობიან აქტივობის მომდევნო ნაწილში. ასევე, განუმარტეთ, რომ ამ ეტაპზე გსურთ, მათ გაგიზიარონ მტრული დამოკიდებულება და ცრუ წარმოდგენები, რომლებსაც აწყდებიან ლგბტ ადამიანები. მონაწილეების მიერ მოყვანილი მაგალითები შეიტანეთ შესაბამის სვეტში. თუ არ გაგიზიარებენ მოსაზრებებს, შეგიძლიათ, თქვენ მიაშველოთ ერთი ან ორი მოსაზრება და, საჭიროების შემთხვევაში, წინა დისკუსია შეახსენოთ. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ:

საჯარო სივრცე (ქუჩა, რესტორნები, ბარები)	**საჯარო მომსახურებები (ჯანდაცვა, საცხოვრებელი, განათლება)**	**პირადი ცხოვრება (ოჯახი)**	**სამუშაო ადგილი**
შეურაცხმყოფელი სახელების დაძახება დაჟინებული მზერა	სკოლაში ჩაგვრა სამედიცინო პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობა ბინის მფლობელების მიერ უკანონო გამოსახლება	ოჯახიდან გაგდების მუქარა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ოჯახის წევრების მხრიდან	დაცინვა, შეურაცხმყოფელი კომენტარები, დაწინაურებაზე უარის თქმა

4. დაყავით მონაწილეები 4-5-კაციან ჯგუფებად. დარწმუნდით, რომ ადამიანები, რომლებიც ერთად მუშაობენ, სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდნენ (თუ შესაძლებელია, ჯგუფებში დაიცავით სათანადო გენდერული თანაფარდობა).

5. მიაწოდეთ ჯგუფებს დასარიგებელი მასალა 3.1; სთხოვეთ, გაეცნონ მას და განიხილონ რამდენიმე წუთის განმავლობაში. შეახსენეთ, რომ ისინი მზად უნდა იყვნენ ცხრილში შესაბამისი ინფორმაციის შესატანად.

6. მიეცით ჯგუფს 10-15 წუთი ამ მასალის წასაკითხად და იმ საკითხების შესათანხმებლად, რომლებიც ცხრილში უნდა შეიტანონ. პერიოდულად შეამოწმეთ, რამდენად სწორი მიმართულებით მიმდინარეობს დისკუსია.

7. კვლავ მოიწვიეთ ჯგუფები პლენარულ სესიაზე და სთხოვეთ, შეთანხმებული საკითხები ცხრილში შეიტანონ. წაახალისეთ, რომ ვიზუალურად ან სხვა ფორმით გამოხატონ საკუთარი აზრი. წარდგენილ წინადადებებზე დაყრდნობით, ჰკითხეთ სხვა მონაწილეებს, რას ფიქრობენ ამ იდეებზე.

8. შეაჯამეთ შემდეგი ძირითადი საკითხები: ლგბტ ადამიანები ცრუ წარმოდგენებსა და დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა სფეროში აწყდებიან.

9. ფლიპჩარტზე მიამაგრეთ მეორე ფურცელი, სათაურით „ლგბტ პირთა პოლიციასთან ურთიერთობის გამოცდილება“. თუ მონაწილეები პასუხს არ გასცემენ ამ საკითხს, შეგიძლიათ, შესთავაზოთ საუბარი ქვემოთ მოყვანილ გამოცდილებებზე:

- გაცხადებულ ინციდენტებზე შემდგომი ზომების გაუტარებლობა;
- პოლიციის მხრიდან შევიწროება;
- დისკრიმინაცია პოლიციის მხრიდან რეაგირებისას;
- ძალადობა, მათ შორის ფიზიკური შეურაცხყოფა.

10. დაასრულეთ აქტივობა ძირითად საკითხებზე ყურადღების გამახვილებით და განუმარტეთ მონაწილეებს, რომ შემდეგი აქტივობის ფარგლებში ჯგუფები უფრო სიღრმისეულად შეისწავლიან ამ საკითხებს.

დასარიგებელი მასალა 3.1: ლგბტ პირებისა და თემების მიმართ დისკრიმინაციის ფართო კონტექსტის გაგება

ლგბტ პირები მტრულ დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციას ცხოვრების ბევრ სფეროში განიცდიან. ჰომოფობიური და ტრანსფობიური ხუმრობები ძალიან ხშირია. ლგბტ ადამიანებს ქუჩაში ხშირად დაჟინებით ათვალიერებენ. ეს განსაზღვრავს მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების კონტექსტს და გავლენას ახდენს მათ ნდობაზე პოლიციის მიმართ. საბოლოო ჯამში, მათ არ სჯერათ, რომ პოლიცია სათანადო რეაგირებას მოახდენს დანაშაულის შემთხვევებზე.

გაეცანით ინფოგრამას, რომელიც ძირითად უფლებათა სააგენტომ მოამზადა ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის ფარგლებში, რომელიც ლგბტ პირებს შეეხებოდა.

https://www.dropbox.com/s/erlrz3fo1l4ppsa/eu-lgbt-survey-infographic_en.jpg?dl=0

რა შეიტყვეთ მიმოხილვიდან იმ მტრულ განწყობასა და ცრუ წარმოდგენებზე, რომლებსაც აწყდებიან ლგბტ ადამიანები? წაიკითხეთ ამონარიდები, სადაც ასახულია კვლევის

ფარგლებში გამოკითხულ პირთა მოსაზრებები. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს ეს გამოცდილება ლგბტ ადამიანთა უსაფრთხოების შეგრძნებაზე და მათ მზადყოფნაზე, რომ განაცხადონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ინციდენტები?

> „18 წლის ასაკში გავამჟღავნე, რომ ლესბოსელი ვარ. უარყოფითი კომენტარები და ხუმრობები კომუნიკაციის წესად იქცა. ნებისმიერ ადამიანს, ვინც ლგბტ პირთა უფლებებზე პოზიტიურ აზრს (ან პატივისცემას) გამოხატავდა, მარგინალიზება და შევიწროება ელოდა. ჩემ მიმართ დისკრიმინაცია არასდროს გადაზრდილა ფიზიკურ ძალადობაში, მაგრამ მუდმივად იყო ჭორები, გარიყვა, ხუმრობები, ფსიქოლოგიური ძალადობა, არაადეკვატურობის განცდა, შიში, რომ მე ან ჩემი გარემოცვა – მათ შორის, პარტნიორი, ოჯახი, მეგობრები – არ ვიყავით უსაფრთხოდ“.
>
> (იტალია, ლესბოსელი, 30)

> „ძნელია, შეინარჩუნო სამუშაო საფრანგეთში, თუ დამსაქმებელი გაიგებს, რომ გეი ხარ. თქვენ დაუყოვნებლივ მოიაზრებით სუსტ ადამიანად“.
>
> (საფრანგეთი, გეი, 33)

> „24 წლის განმავლობაში ბანკში ვმუშაობდი და მუდმივად განვიცდიდი დისკრიმინაციას ჩემი დირექტორების მხრიდან. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ჩემს სექსუალობასთან მიმართებით ასეთი გულახდილი დამოკიდებულების გამო, არ უნდა დავეწინაურებინე, რადგან არ ვიწვევდი პატივისცემას. ერთხელ ახალმა თანამშრომელმა ითხოვა, რომ მისი მაგიდა ჩემი მაგიდისგან „გონივრულ მანძილზე“ მოეთავსებინათ, რადგან ეშინოდა, რომ სექსუალურად შევავიწროებდი. მისი მოთხოვნა გონივრულად ჩაითვალა და ჩემი მაგიდა გადააადგილეს. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დამაწინაურეს, მითხრეს, რომ ჩემი სექსუალობა საიდუმლოდ შემენახა“.
>
> (საბერძნეთი, გეი, 53)

> „[ჩემი ქალი პარტნიორი და მე] ღამის კლუბში არ დავდივართ – ძირითადად იმიტომ, რომ ძალიან საშიშია, თუ ეს კლუბები კეთილგანწყობილნი არ არიან ლგბტ ადამიანების მიმართ (განსაკუთრებით, როცა იქ მარტონი ვართ). ჩვენ არ ვახმაურებთ ამ ურთიერთობას მეზობლების ან ბინის მეპატრონის წინაშე“.
>
> (სლოვენია, ლესბოსელი, 28)

ეროვნულ კონტექსტზე მორგება

საქართველოსთან მიმართებით, შეგიძლიათ იხილოთ საზოგადოებრივი კვლევის ანგარიში „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა“.[40]

40. https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-in-attitudes-and-awareness-g/16808ef62b

აქტივობა 3.2: კონკრეტული ბარიერების გამოვლენა, რომელთა გამოც ლგბტ თემები არ აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს; ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) ანგარიშის გაცნობა

ეს აქტივობა ითვალისწინებს წაკითხვას, მცირე ჯგუფებში განხილვასა და პლენარულ სესიაზე დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;

დასარიგებელი მასალა 3.2.

1. მოამზადეთ ფლიპჩარტის ორი ფურცელი. პირველი დაასათაურეთ შემდეგნაირად: „პოლიციისთვის დანაშაულის გაუცხადებლობის მიზეზები“. მეორე კი ასე: „რას ნიშნავს ეს პოლიციისთვის? რისი გაკეთებაა შესაძლებელი?“

2. დაყავით მონაწილეები, დაახლოებით, 4-5-კაციან ჯგუფებად. დარწმუნდით, რომ ადამიანები, რომლებიც ერთად მუშაობენ, სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდნენ (თუ ეს შესაძლებელია, დაიცავით გენდერული თანაფარდობა).

3. მიაწოდეთ დასარიგებელი მასალა 3.3 და სთხოვეთ, მიჰყვნენ ინსტრუქციებს. მიეცით 10-15 წუთი, რათა გაეცნონ მასალას და ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები დასარიგებელ მასალაში ასახულ საკითხზე.

4. მცირე ჯგუფები კვლავ გააერთიანეთ დიდ ჯგუფად. სთხოვეთ მონაწილეებს, ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები FRA-ის ანგარიშის შესახებ. გაოცდნენ იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებლით, რომლებიც პოლიციას **არ ატყობინებენ** მსგავს დანაშაულებს? მათი აზრით, რატომ არ აცხადებენ ადამიანები ასეთ დანაშაულებზე? ეს მათ კონტექსტსაც ასახავს? ჩაინიშნეთ ძირითადი ასპექტები ფლიპჩარტზე.

5. როდესაც ჯგუფთან ერთად ამ კითხვებს გაივლით, შეახსენეთ მონაწილეებს, რომ FRA-ის ანგარიში დაფუძნებულია სიღრმისეული კვლევის შედეგებზე, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვა კონტექსტშიც. თუ მონაწილეები გააპროტესტებენ დასკვნებს, აღიარეთ, რომ კვლევას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ხარვეზები, თუმცა მაინც გამოკვეთს მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გასათვალისწინებელია, როცა ვადგენთ ლგბტ პირთა მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გაუცხადებლობის მიზეზებს. თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან ჩართულნი, გამოიყენეთ მათი გამოცდილება და წვლილი, რათა განიხილოთ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ადგილობრივი მტკიცებულებები, ასევე – გაუმჟღავნებლობის მიზეზები.

6. გადადით ფლიპჩარტის მეორე გვერდზე და ჰკითხეთ ჯგუფს, რას ნიშნავს ეს პოლიციისა და მათი პრაქტიკისთვის.

7. დაასრულეთ აქტივობა ფლიპჩარტზე ასახული საკითხების შეჯამებით. ამ საკითხთან დაბრუნება შესაძლებელია ტრენინგის შემდგომ ეტაპზეც.

3.2ა. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა აქტივობებში 3.1 და 3.2 (არჩევითი)

ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობა 3.1 და 3.2 აქტივობების განხორციელებაში ხელს შეუწყობს მონაწილეთა გამოცდილების გაღრმავებას. განიხილეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოწვევის მიზანშეწონილობა პრეზენტაციის გასაკეთებლად ცრუ წარმოდგენებსა და დისკრიმინაციის ფართო კონტექსტზე, რომლებსაც ლგბტ პირები და თემები აწყდებიან; ასევე, იმ კონკრეტულ ბარიერებზე, რომელთა გამოც ლგბტ პირები და თემები არ აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეიძლება თანაფასილიტაცია გაუწიონ ჯგუფურ დისკუსიებს და მათ ხელთ არსებული კონკრეტული ინფორმაცია და მონაცემები მოიყვანონ დისკუსიის პროცესში (ამ საკითხების უფრო სიღრმისეული განხილვისთვის, იხ. მოდული 5).

დასარიგებელი მასალა 3.2: ლგბტ თემების მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გაცხადების ბარიერების გამოვლენა; FRA –ის ანგარიშის გაცნობა

1. დაუთმეთ რამდენიმე წუთი ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტოს ანგარიშს (2013) – EU LGBT კვლევა: ევროპის კავშირის ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კვლევა, ძირითადი შედეგები, კერძოდ, მისი 2.3 ნაწილის წაკითხვას.

მასში ასახულია იმ მსხვერპლთა წილი, რომლებიც აცხადებენ პოლიციაში მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულებს; ასევე, მიზეზები, რომელთა გამოც ლგბტ პირები არ აცხადებენ მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

2. ახლა წაიკითხეთ:
http://www.ilgaeurope.org/sites/default/files/womens_experience_of_homophobia_and_transphobia.pdf
ანგარიში ხაზს უსვამს ლგბტ ადამიანების, განსაკუთრებით, ქალების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ზემოქმედებას; ასევე, აჩვენებს, რომ ლგბტ ქალები ნაკლებად აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ქალები მეტად ექვემდებარებიან ძალადობრივ დანაშაულს.

3. ამ აქტივობის დასრულების შემდეგ, ჯგუფთან ერთად განიხილეთ თქვენი მოსაზრებები.

4. FRA-ის ანგარიშის შესაბამისად, მსხვერპლთა რა პროცენტული წილი აცხადებს პოლიციაში ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ?

5. რომელი ძირითადი მიზეზების გამო არ აცხადებს მსხვერპლი პოლიციაში დანაშაულის თაობაზე?

რას ნიშნავს ეს თქვენი სამუშაოსთვის?

ჯგუფში შეაჯამეთ მოსაზრებები, რომლებსაც შემდეგ თქვენს კოლეგებს გაუზიარებთ დიდ ჯგუფად გაერთიანებისას.

აქტივობა 3.3: ევროპის საბჭოს ძირითადი სტანდარტების, ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებისა და ეროვნული სტანდარტების გაცნობა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ

ამ აქტივობაში ხაზგასმულია პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური მნიშვნელობა. აქტივობა იწყება საკვანძო სიტყვებით, რომლებიც შემდეგ განმარტებულია კაზუსის – იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ – წაკითხვისას.

მასალები:
ბარათი/A4 ქაღალდი;
ფლიპჩარტი, ქაღალდი და კალმისტრები;
დასარიგებელი მასალა 3.3(ა);
დასარიგებელი მასალა 3.3(ბ).

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ

ამ სესიის მომზადებისას ყურადღებით წაიკითხეთ დასარიგებელი მასალა 3.3(ბ), რომელიც დეტალურ ინფორმაციას შეიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებზე, ასევე, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო სტანდარტებზე. ECHR-ის გადაწყვეტილებები განსაკუთრებით რელევანტურია ამ სესიის მომზადებისას.

1. სესიის დაწყებამდე, ფურცელზე ან ბარათებზე დაწერეთ შემდეგი ტერმინები და ფრაზები:
   - მუხლი 3, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
   - მუხლი 14, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
   - პოზიტიური ვალდებულებები;
   - პროცესუალური ვალდებულებები;
   - ჰომოფობიური მოტივის გამოვლენა.

   შემდეგ თითოეული ტერმინი დაწერეთ ცალკე ფურცელზე და განათავსეთ ოთახში.

2. აქტივობის დასაწყისში დაარიგეთ ფურცლები ამ ტერმინებით. განუმარტეთ მონაწილეებს, რომ დაწერილ ტერმინებსა და ფრაზებს საკვანძო მნიშვნელობა აქვს საპოლიციო საქმიანობაში ადამიანის უფლებათა მიდგომის გამოყენებისათვის.

3. სთხოვეთ მონაწილეებს, ხმამაღლა წაიკითხონ ტერმინები და გაგიზიარონ მათი მნიშვნელობა. განუმარტეთ, რომ არ მოელით სრულყოფილ პასუხს ამ ეტაპზე, უბრალოდ, გაინტერესებთ მათი მოსაზრებები. სთხოვეთ სხვა მონაწილეს, დაწეროს ფლიპჩარტზე შემოთავაზებული მოსაზრებები. მოკლედ განიხილეთ თითოეული ტერმინი, მაგრამ ჯერ არ შესთავაზოთ განმარტება. ახსენით, რომ მათ სესიის ბოლოს დაუბრუნდებით.

4. დაურიგეთ მონაწილეებს მასალა 3.3, რომელიც მიმოიხილავს საქმეს „იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ“. წარადგინეთ აქტივობის ეს ნაწილი და განუმარტეთ მონაწილეებს, რომ საქმის მოკლე შეჯამებაში უზუსტობა არ არის, თუმცა აქტივობის მიზანი არ არის სასამართლოს მიერ განხილული საქმის გარემოებებისა და საქართველოს კანონმდებლობის ამომწურავი აღწერა: მისი ამოცანაა საქართველოს ერთი მაგალითის განხილვა და ადამიანის უფლებათა საერთო პრინციპების გამოვლენა, რომლებიც ყველა პოლიციელს ეხება.

5. მიეცით მონაწილეებს 5-7 წუთი, რათა გაეცნონ 3.3. დასარიგებელ მასალას; სთხოვეთ, მოძებნონ ტერმინები, რომლებიც ახლახან განიხილეთ ჯგუფში, და კვლავ შეხედონ განმარტებებს.

6. მონაწილეები გააერთიანეთ უფრო დიდ ჯგუფში და დაიწყეთ მართული დისკუსია. დაუბრუნდით იმ დეფინიციებსა და ტერმინებს, რომლებიც ტრენინგის სესიის დასაწყისში წარადგინეთ. დაიწყეთ კონვენციის მე-3 მუხლით. ჰკითხეთ მონაწილეებს, კვლავაც ეთანხმებიან თუ არა განმარტებებს და ხომ არ დაუმატებდნენ მათ რამეს. ჰკითხეთ, რას ნიშნავს ეს მათი პრაქტიკისთვის.

7. ისაუბრეთ ტერმინზე „პოზიტიური ვალდებულება". ჰკითხეთ ჯგუფს, რას ნიშნავს ეს ტერმინი და ხომ არ დაუმატებდნენ რამეს. დისკუსიის განმავლობაში გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული საექსპერტო მოსაზრება.

მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს როგორც პრევენციული, ასევე საგამოძიებო მოქმედებები პირის მიმართ ნებისმიერი არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან პირ(ებ)ი მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედებებისაგან და გონივრული ნაბიჯები გადადგან იმ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცის (ან უნდა სცოდნოდა). გარდა ამისა, მათ უნდა ჩაატარონ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება, მაშინაც კი, თუ ის ჩადენილია კერძო პირის მიერ.
განმარტეთ, რომ ასეთი ვალდებულებები უკვე არსებობს რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით.

8. ისაუბრეთ **მე-14 მუხლის** შესახებ. ჰკითხეთ მონაწილეებს, ხომ არ დაუმატებდნენ თავიანთ განმარტებებს რამეს. დისკუსიის მსვლელობისას გამოიყენეთ შემდეგი დეფინიცია: „კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა".

9. გადადით ტერმინზე **„შეუწყნარებლობის მოტივის გამოვლენა"** და მის მნიშვნელობაზე პოლიციის პრაქტიკისთვის. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ დაუბრუნდებით ამ საკითხს, როდესაც დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორებს განიხილავთ; ახსენით მისი მნიშვნელობა პოლიციის პრაქტიკის, ოქმებისა და ტრენინგების კუთხით და რომ ეს მიმდინარე ტრენინგის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. დისკუსიის განმავლობაში გამოიყენეთ საექსპერტო მოსაზრებები:

პოლიციის პრაქტიკა: „შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება [...] და მიეღოთ ყველა გონივრული ზომა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული ჰომოფობიური მოტივის როლის გამოსავლენად. აუცილებელი იყო [...] განხორციელებული თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის სრულყოფილი გამოძიება, რათა დაედგინათ, ერთი მხრივ, ლგბტ საზოგადოების მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულება და, მეორე მხრივ, თავდამსხმელთა მიერ წარმოთქმული ცალსახად ჰომოფობიური სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზი. სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მართლმსაჯულების აღსრულებისადმი მკაცრი მიდგომის გარეშე, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები განიხილე-

ბა ჩვეულებრივ (არადისკრიმინაციული მოტივის) დანაშაულებად, რაც გაუტოლდება ოფიციალურ ან თუნდაც დუმილით გამოხატულ თანხმობას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე" (პარ. 77).

10. და ბოლოს, გადადით პროცედურული ვალდებულებების განხილვაზე. ჰკითხეთ მონაწილეებს, რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში. განმარტეთ, რომ როდესაც საზოგადოებაში იკვეთება ჰომოფობიის ნიშნები და ადამიანების ვიქტიმიზაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, პოლიცია ვალდებულია, გამოიძიოს ეს, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის პროცედურული ელემენტია. დისკუსიის განმავლობაში გამოიყენეთ საექსპერტო მოსაზრებები:
„სასამართლოს ენა სრულიად ნათელია. იგი მკაფიო და ძლიერ გზავნილს აწვდის მხარე სახელმწიფოებს: როდესაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს სექსუალური უმცირესობების მიმართ, სამართალდამცველ ორგანოებს ეკისრებათ დემონსტრაციის მონაწილეთა, მათ შორის, ლგბტ პირთა დაცვის ცალსახა პოზიტიური ვალდებულება (პარ. 80). და ბოლოს, ხელისუფლების ორგანოებს აქვთ პროცედურული (პოზიტიური) ვალდებულება, გამოიძიონ ჰომოფობიური მოტივით განპირობებული სიძულვილი, ჰომოფობიურ ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოაშკარავების ხაზგასმით" (პარ. 80). როგორც სასამართლომ აღნიშნა, სრულფასოვანი გამოძიების გარეშე, „სამომავლოდ რთული იქნება მოპასუხე ქვეყნისთვის შესაბამისი ზომების გატარება მსგავსი მშვიდობიანი დემონსტრაციების დასაცავად" (პარ. 80).[41]

11. დაბოლოს, მიაწოდეთ მონაწილეებს დასარიგებელი მასალა 3.3(ბ) და სთხოვეთ, ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. ხაზი გაუსვით, რომ ეს მნიშვნელოვანი რესურსი დაეხმარება მათ მუშაობაში.

41. http://echrso.blogspot.co.uk/2015/05/the-judgment-in-identoba-and-others-v.htm

დასარიგებელი მასალა 3.3(ა): ECHR-ის მიერ განხილული საქმის მიმოხილვა – იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ

ტრენინგის მიზნებისთვის, დასარიგებელ მასალაში მიმოხილულია საქმე „იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ“ (საქმის დეტალურად გასაცნობად იხ. ECHR-ის ვებ-გვერდი goo.gl/ddlwPG).

წინაპირობები

რა მოხდა?

საქართველოს ხელისუფლებამ „იდენტობას“ უფლება მისცა, რომ 2012 წლის 17 მაისს, თბილისის ცენტრში, მშვიდობიანი დემონსტრაცია გაემართა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ „განლაგებული პოლიციის ძალები უზრუნველყოფდნენ დემონსტრაციის მშვიდობიანად ჩატარებას“.

დემონსტრაციის დღეს, „მსვლელობის მონაწილეებს 100 ან მეტი კონტრდემონსტრანტი დახვდათ, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ“. აგრესია მსვლელობის მონაწილეთა წინააღმდეგ გამძაფრდა. კონტრდემონსტრანტებმა რამდენიმე აქტივისტს ხელიდან გამოსტაცეს ბანერები, დახიეს და მსვლელობის მონაწილეთა ხელისკვრითა და დარტყმით ფიზიკურ შეტევაზე გადავიდნენ. მსვლელობის ერთ-ერთ მონაწილეს ხელებითა და ფეხებით სცემეს, რამდენიმეს კი ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს. კონტრდემონსტრანტები იმუქრებოდნენ და იძახდნენ, რომ მსვლელობის მონაწილენი „ცოცხლად უნდა დაეწვათ“ ან „გაესრისათ“.

დაპირისპირებისას „საპატრულო პოლიცია აღმოჩნდა შემთხვევის ადგილისგან მოშორებით“. როდესაც მსვლელობის მონაწილეებმა პოლიციელებს დახმარებისთვის მიმართეს, მათ მიუგეს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ და არსებულ სიტუაციაში ჩარევა არ ევალებოდათ. მსვლელობის მონაწილეებისგან სატელეფონო ზარების მიღების შემდეგ, სხვა პოლიციელები მივიდნენ ინციდენტის ადგილას და ჩაერივნენ ცემის აღსაკვეთად, თუმცა მუქარები გაგრძელდა. პოლიციამ მსვლელობის მონაწილე რამდენიმე ლგბტ პირი დააკავა – სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ორი მიზნით: (1) აერიდებინა მომჩივნების მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა — საგზაო მოძრაობის შეფერხება; და (2) დაეცვა ისინი კონტრდემონსტრანტთა თავდასხმისგან.

ამ მოვლენების შემდეგ

მომჩივნებმა რამდენიმე დეტალური სარჩელი წარადგინეს მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და პოლიციის მხრიდან არასათანადო დაცვასთან დაკავშირებით (იხ. პარ. 20-28).

ECHR-ის გადაწყვეტილება

ჰომოფობიისა და მტრული განწყობის კონტექსტი

სასამართლომ გაითვალისწინა ლგბტ პირთა მიმართ ჰომოფობიური და უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში და განმცხადებელთა სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. მტკიცებულებები ეფუძნებოდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ვიზიტს საქართველოში და ევროპის რეგიონის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი პირების მხარდაჭერის საერთაშორისო ასოციაციის (ILGA-Europe) მტკიცებულებებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ადამიანები დაუცველები არიან,

რადგან „ლგბტ პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად გავრცელებული მიდგომაა ქართველი საზოგადოების გარკვეულ წრეებში. ეს უარყოფითი დამოკიდებულება განსაკუთრებით ნათელია იმ ფონზე, როდესაც 2012 წლის 17 მაისის ინციდენტს დისკრიმინაციული ელფერი ჰქონდა და განმცხადებლები, როგორც დისკრიმინაციის სამიზნე ჯგუფის წევრები, დაუცველნი აღმოჩნდნენ“ (პარ. 68). ზემოხსენებულის გათვალისწინებით – ერთობლიობაში მსვლელობისას პოლიციის მხარდაჭერის ნაკლებობასთან – სასამართლომ დაასკვნა, რომ „განმცხადებელთა მიმართ მოპყრობა მათში **შიშს, ტანჯვასა და დაუცველობას იწვევდა,** რაც არ შეესაბამება ადამიანის ღირსების დაცვას და რამაც კონვენციის **მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის სიმძიმის ზღვარს მიაღწია, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში**“.

პოლიციამ ვერ უზრუნველყო სათანადო დაცვა

სასამართლო მიიჩნევს რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო (ან უნდა ყოფილიყო) რისკები, რომლებიც უკავშირდებოდა საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფის მიერ საჯარო მსვლელობის ჩატარებას. შესაბამისად, მათ ჰქონდათ **გაძლიერებული** სახელმწიფო დაცვის ვალდებულება (პარ. 72). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა სათანადოდ ვერ დაიცვეს ცამეტი მომჩივანი 2012 წლის 17 მაისს კერძო პირთა მხრიდან სიძულვილით განპირობებული თავდასხმისგან“ (პარ. 74).

ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობა

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეთა ქმედებები ვიდეოკამერით დაფიქსირდა და დაზარალებულებს ხილული დაზიანებები მიადგათ, ხელისუფლებამ „მომჩივნებთან დაკავშირებული ინციდენტის გარემოებების ამომწურავი და მნიშვნელოვანი გამოძიების დაწყების სანაცვლოდ, გაურკვეველი მიზეზებით შეამცირა გამოძიების ფარგლები და აღძრა ურთიერთდამოუკიდებელი საქმეები მხოლოდ ორი მომჩივნისთვის მიყენებულ სხეულის დაზიანების ფაქტზე“ (პარ. 75). გარდა ამისა, გამოძიება ორი წელიწადი გაგრძელდა და დამნაშავეებს მხოლოდ უმნიშვნელო ადმინისტრაციულ ჯარიმები დაეკისრათ.

ხელისუფლებამ **სათანადოდ არ გამოიძია** სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და არ გამოიყენა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა. საქმის გარემოებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს არ აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა, სასამართლომ დაასკვნა:

„აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება ამ მიმართულებით და მიეღოთ ყველა გონივრული ზომა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული **ჰომოფობიური მოტივის როლის გამოსავლენად**. აუცილებელი იყო 2012 წლის 17 მაისს განხორციელებული თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის სრულყოფილი გამოძიება, რათა დაედგინათ, ერთი მხრივ, ლგბტ საზოგადოების მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულება და, მეორე მხრივ, თავდამსხმელთა მიერ წარმოთქმული ცალსახად ჰომოფობიური სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზები. **სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მართლმსაჯულების აღსრულებისადმი მკაცრი მიდგომის გარეშე, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები განიხილება ჩვეულებრივ (არადისკრიმინაციული მოტივის დანაშაულებად), რაც გაუტოლდება ოფიციალურ ან თუნდაც დუმილით გამოხატულ თანხმობას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე**“.

დასარიგებელი მასალა 3.3 (ბ): ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტები და სხვა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები

ევროპის საბჭოს სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საინფორმაციო პუბლიკაციები

ამ რესურსებში გაერთიანებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები და გადაწყვეტილებები კონვენციის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ქვემოთ შეჯამებულია ყველაზე მნიშვნელოვანი საინფორმაციო პუბლიკაციები.

„სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები“:[42]

ამ საინფორმაციო მასალაში დეტალურად არის განხილული ყველა საქმე, რომლებიც შეეხება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ლგბტ თემების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს, რაზედაც სისხლის სამართლებრივი წესით მოხდა რეაგირება. ასევე, მოცემულია დამატებითი ინფორმაცია საქმეებზე „იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ“ და M.C. and C.A. v. Romania, რომლებიც განხილულია ამ სახელმძღვანელოს მე-3 და მე-5 მოდულებში. გარდა ამისა, მასალაში აისახა ფაქტები საქართველოსა და ხორვატიის წინააღმდეგ წარდგენილი ორი საქმის შესახებ, რომლებიც განხილვის ეტაპზეა.

„ჰომოსექსუალობა: სისხლის სამართლებრივი ასპექტები“:[43]

ამ მასალაში აღწერილია მომჩივნების მიერ სასამართლოში წარდგენილი საქმეების შედეგები, რომლებიც ასახავდა სავარაუდო დისკრიმინაციულ/განსხვავებულ მოპყრობას სახელმწიფოების მხრიდან, როცა საქმე ეხებოდა გეი ადამიანებს შორის სექსუალურ ურთიერთობებს (ჰეტეროსექსუალ პირებთან შედარებით). ეს შემთხვევები ნათლად ასახავს ლგბტ პირთა გამოცდილებას, რომლებსაც ხშირად ეპყრობიან, როგორც ეჭვმიტანილებსა და დამნაშავეებს, ნაცვლად იმისა, რომ აღიარონ სიძულვილით მოტივირებული თუ სხვა დანაშაულების პოტენციურ მსხვერპლად.

„გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები“:[44]

ეს მასალა არ ეხება ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ან არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან; თუმცა ამ მასალაში შეჯამებული განჩინებები ასახავს პრობლემებს, რომლებსაც ტრანსგენდერი პირები აწყდებიან თავიანთი გენდერული იდენტობის იურიდიული და სოციალური აღიარების თვალსაზრისით. ამ მოდულში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ლგბტ პირთა მიერ განცდილი დისკრიმინაციის კონტექსტი არყევს მათ ნდობას პოლიციისადმი: ამ ადამიანებს აღარ სჯერათ მსგავსი ინციდენტების ეფექტიანად გამოძიების, რის გამოც არ აცხადებენ ასეთი დანაშაულების შესახებ.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2001)10 ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსის თაობაზე,[45] საკვანძო ამონარიდების შეჯამება

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში წარმოდგენილი პოლიციის სამსახურებისა და ინსტიტუტების მრავალფეროვნების მიუხედავად, მინისტრთა კომიტეტი აღიარებს, რომ ეთი-

42. http://www.echr.coe.int/documents/fs_sexual_orientation_eng.pdf
43. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Homosexuality_ENG.pdf
44. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Gender_identity_ENG.pdf
45. http://www.refworld.org/docid/43f5c7944.html

კის რიგი სტანდარტები ყველა სერვისის ფარგლებში საერთო უნდა იყოს. ამ კოდექსში დეტალურად არის მიმოხილული პოლიციის მიერ ძირითადი ფუნქციების შესრულებისას დასაცავი სტანდარტები. კერძოდ:

1. დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით იმართება, პოლიციის ძირითადი მიზნებია:

- საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გამყარებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- დანაშაულის პრევენცია და ბრძოლა;
- დანაშაულის გამოვლენა;
- დახმარებისა და მომსახურების გაწევა საზოგადოებისათვის.

პოლიციის ტრენინგის კონტექსტში, ყოველ ამ კონკრეტულ მიზანსა და ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიან, სამართლიან და უსაფრთხო საპოლიციო ზომებს შორის მკაფიო კავშირია. პოლიციის ვალდებულება, „შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები მიუკერძოებლობისა და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების პრინციპების შესაბამისად“, კოდექსის მთელ ტექსტშია ხაზგასმული. ეს პრინციპი ვრცელდება ისეთ სფეროებზეც, როგორებიცაა: დაზარალებულთა დახმარება და მხარდაჭერა; პოლიციის სამსახურებში დისკრიმინაციის აკრძალვის კულტურის დამკვიდრება და ინდივიდუალურ უფლებათა პატივისცემა; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნათა შესრულება; და კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან მიმართებით დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოებისადმი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ:[46]

რეკომენდაციაში განხილულია კონვენციის საკვანძო მუხლები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითადი დასკვნები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ლგბტ პირთა მდგომარეობაზე. ეს მოიცავს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას; შესაბამის და ქმედით კანონებს, რომლებიც საშუალებას მისცემს სასამართლოს, გაითვალისწინოს მიკერძოებული მოტივის არსებობა ლგბტ პირთა მიმართ; შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით, დაცვას შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას.

შესაბამისი მუხლები:

> „1. წევრმა სახელმწიფოებმა ეფექტიანად, სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები და სხვა ინციდენტები; ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამართალდამცავი ორგანოების ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირების მხრიდან სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, დამნაშავეთა ეფექტიან გასამართლებას და, საჭიროების შემთხვევაში, დასჯას, რათა თავიდან აიცილონ დაუსჯელობის სინდრომი.
>
> 2. წევრმა სახელმწიფოებმა, სასჯელის განსაზღვრისას, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი უნდა გაითვალისწინონ დამამძიმებელ გარემოებად.
>
> 13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ გამოხატვის თავისუფლებით ეფექტიანი სარგებლობა კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად და სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. აქ

46. http://www.coe.int/en/web/sogi/rec-2010-5

იგულისხმება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებაც.

14. წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობა კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად და სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

15. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა: მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა დასაცავად; ასევე, აღკვეთონ ამ დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტა ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლა.

17. ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა დონეზე უნდა მოუწოდონ, რომ საჯაროდ დაგმონ (განსაკუთრებით მასმედიაში) ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა გამოხატვის თავისუფლებასა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ/ჯგუფურ უფლებაში, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ლგბტ პირთა ადამიანის უფლებებს“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1728 (2010) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ:[47]

რეზოლუციაში აღწერილი და აღიარებულია ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციის, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. იგი ავსებს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ. რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რომ „უზრუნველყონ ლგბტ პირთა ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებათა პატივისცემა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“; ასევე, „უზრუნველყონ მსხვერპლთა ხელმისაწვდომობა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და აღკვეთონ იმ პირთა დაუსჯელობა, რომლებიც არღვევენ ლგბტ ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას“.

რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს: „დაგმონ სიძულვილის ენის გამოყენება და დისკრიმინაციული გამონათქვამები და ეფექტიანად დაიცვან ლგბტ პირები ასეთი შემთხვევებისგან; ამავდროულად, გაითვალისწინონ გამოხატვის თავისუფლების პატივისცემის ვალდებულება; დაიცვან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნები; მიიღონ და დანერგონ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც აკრძალულ საფუძვლებს შორის მოიცავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას და სანქციებს განსაზღვრავს ასეთი დარღვევებისთვის“.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ:[48]

ეს კონვენცია, ასევე ცნობილი, როგორც სტამბოლის კონვენცია, ითვალისწინებს იურიდიულად სავალდებულო ვალდებულებებს პრევენციის, დაცვის, გამოძიებისა და სასჯელის დაკისრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძა-

47. http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=17853&lang=en
48. http://www.coe.int/en/web/istanbul-convention/about-the-convention

ლადობა ამ სახელმძღვანელოს ფარგლებს სცდება, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ლგბტ პირები შეიძლება ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლნიც გახდნენ. გარდა ამისა, ლგბტ ადამიანებისადმი მიზანმიმართული ძალადობის ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად და ოჯახში ძალადობად. ტრენერისთვის სასარგებლოა ამ საკითხის შესწავლა პლენარულ დისკუსიებში და მონაწილეებისთვის კითხვის დასმა: როგორ უკავშირდება ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობა და გენდერული ძალადობა მათდამი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს.

კონვენცია მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებას, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. განმარტებითი შენიშვნები და Transgender Europe-ის მიერ განხორციელებული ანალიზი[49] და Transgender Europe-ის მიერ განხორციელებული ანალიზი[50]).

ადამიანის უფლებათა სფეროს სხვა საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2016 წლის 30 ივნისს მიღებული რეზოლუცია 32/2: დაცვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან:[51]

რეზოლუცია „კატეგორიულად გმობს სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობრივ და დისკრიმინაციულ ქმედებებს მსოფლიოს ყველა კუთხეში“. ამ რეზოლუციით, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა (რომლებმაც რეზოლუციას მოაწერეს ხელი) სამი წლის ვადით დანიშნეს დამოუკიდებელი ექსპერტი, რათა ხელი შეეწყოთ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვისათვის. ექსპერტს რამდენიმე როლი ეკისრება, მათ შორის: ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესრულების შეფასება; წევრი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა; საჯარო ხელისუფლებასთან დიალოგში ჩართვა; და ადამიანის უფლებათა საბჭოს წინაშე ანგარიშგება მათი მუშაობის პროგრესზე.

თუ გსურთ მეტი ინფორმაციის მოძიება გაეროს სტანდარტებზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, მიმართეთ SOGI UN-ის მონაცემთა ბაზას.[52]

ევროპის კავშირის დირექტივა 2012/29/EU დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის სფეროში მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ:[53]

დირექტივა მიღებულია 2012 წლის 25 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2012 წლის 15 ნოემბერს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს 2015 წლის 16 ნოემბრამდე უნდა აესახათ ეს დებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში. დირექტივა ვრცელდება დანაშაულის ყველა მსხვერპლზე, მათ შორის, ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებზე. იგი განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონკრეტულ ვალდებულებებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლს მოეპყრონ, როგორც სპეციალური დაცვის კატეგორიას; ასევე, უზრუნველყონ, რომ: ამ

49. http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210
50. http://tgeu.org/protection-of-trans-people-under-the-istanbul-convention/
51. http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/RES/32/2
52. https://www.icj.org/sogi-un-database
53. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1421925131614&uri=CELEX:32012L0029

პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური მხარდაჭერის სერვისები, მათი საჭიროებების შეფასების საფუძველზე; და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს პრაქტიკოსებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, მსხვერპლთან ექნებათ შეხება (მათ შორის, პოლიციელებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა), სათანადო მომზადება გაიარონ დაზარალებულებისადმი ღირსეულ და არადისკრიმინაციულ მოპყრობაში.

ამონარიდები ყველა მნიშვნელოვანი მუხლიდან.

მუხლი 3: უფლება — გაიგოს და გააგებინოს

1. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა გაატარონ მსხვერპლის დასახმარებლად, რათა მას ესმოდეს და მისი ესმოდეთ პირველი კონტაქტიდან დაწყებული ნებისმიერი აუცილებელი შეხებისას კომპეტენტურ ორგანოებთან (სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში), მათ შორის, როდესაც სახელისუფლებო ორგანოსგან მიეწოდებათ ინფორმაცია.

2. წევრმა სახელმწიფოებმა მსხვერპლთან კომუნიკაცია უნდა უზრუნველყონ მარტივ და გასაგებ ენაზე, ზეპირად ან წერილობით. ასეთი კომუნიკაციისას უნდა გაითვალისწინონ დაზარალებულის პირადი მახასიათებლები, მათ შორის, ნებისმიერი უნარშეზღუდულობა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მისი გაგების/გაგებინების უნარზე.

3. თუკი, დანაშაულის ზეგავლენის გამო, მსხვერპლს დახმარება ესაჭიროება გაგების/გაგებინების თვალსაზრისით, წევრმა სახელმწიფოებმა ნება უნდა დართონ, რომ თანმხლები პირები თავად აირჩიონ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში პირველი კონტაქტისას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მსხვერპლთა ინტერესებს ეწინააღმდეგება ან საზიანო იქნება სამართალწარმოების პროცესისთვის).

მუხლი 8: მსხვერპლის უფლება მხარდამჭერ მომსახურებათა ხელმისაწვდომობაზე

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლს, თავისი საჭიროებების შესაბამისად, უფასოდ მიუწვდებოდეს ხელი დახმარების კონფიდენციალურ მომსახურებებზე, რომლებიც მის ინტერესებში იმოქმედებს სისხლის სამართალწარმოების პროცესში. მსხვერპლის ოჯახის წევრებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მხარდაჭერის სერვისებზე, მათი საჭიროებებისა და მსხვერპლის მიმართ ჩადენილი დანაშაულით მიყენებული ზიანის შესაბამისად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მსხვერპლთა გადამისამართებას მხარდაჭერის სამსახურებში, საჩივრის მიმღები კომპეტენტური ორგანოსა და სხვა შესაბამისი უწყებების მეშვეობით.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა ჩამოაყალიბონ მსხვერპლთა დახმარების უფასო და კონფიდენციალური სპეციალიზებული მომსახურებები, გარდა მხარდაჭერის ზოგადი მომსახურებებისა; ან უზრუნველყონ, რომ მსხვერპლთა მხარდაჭერის ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდეთ, მიმართონ სპეციალიზებულ მომსახურებათა ორგანიზაციებს სპეციალისტთა მხარდაჭერის მისაღებად. მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ამგვარ მომსახურებებზე, მათი საჭიროებებისა და ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულით მიყენებული ზიანის შესაბამისად.

4. მსხვერპლთა მხარდაჭერა და ნებისმიერი სპეციალიზებული მომსახურება შეიძლება გასწიოს საჯარო ან არასამთავრობო ორგანიზაციამ და განისაზღვროს პროფესიულ ან ნებაყოფლობით საფუძველზე.

5. წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევით, მსხვერპლთა მხარდაჭერის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დამოკიდებული კომპეტენტურ ორგანოში საჩივრის შეტანაზე სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით.

მუხლი 20: მსხვერპლის უფლება, იყოს დაცული სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში

1. დაცვის უფლების დაურღვევლად და სასამართლოს შეხედულებისამებრ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცესში:

ა) მსხვერპლი გამოიკითხება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, მას შემდეგ, რაც შესაბამის საჩივარს შეიტანს კომპეტენტურ ორგანოში;

ბ) მაქსიმალურად შემცირდება მსხვერპლთა გამოკითხვების რაოდენობა, რომლებიც ჩატარდება მხოლოდ აუცილებლობისას და გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე;

გ) მსხვერპლს ნება მიეცემა, თან ახლდეს მის მიერ არჩეული იურიდიული წარმომადგენელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გონივრული დასაბუთების საფუძველზე მიღებულია საწინააღმდეგო გადაწყვეტილება;

დ) მაქსიმალურად შემცირდება სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც ჩატარდება მხოლოდ აუცილებლობისას და სისხლის სამართალწარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 22: მსხვერპლთა ინდივიდუალური შეფასება მათი დაცვის საჭიროებათა გამოსავლენად

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დროულად, ინდივიდუალურად და ეროვნული პროცედურების შესაბამისად შეფასდეს მსხვერპლთა დაცვის კონკრეტული საჭიროებები და განისაზღვროს, რამდენად აუცილებელია საჭირო სპეციალურ ღონისძიებათა გატარება სისხლის სამართალწარმოების პროცესში (23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად), მათი კონკრეტული მოწყვლადობის, მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების გამო.

2. ინდივიდუალური შეფასებისას გასათვალისწინებელია:

ა) მსხვერპლის პირადი მახასიათებლები;

ბ) დანაშაულის სახე ან ბუნება;

გ) დანაშაულის გარემოებები.

3. ინდივიდუალური შეფასების კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: მძიმე დანაშაულის მსხვერპლს, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა; პირს, ვის მიმართაც დანაშაული ჩადენილია მიკერძოებული ან დისკრიმინაციული მოტივით, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მის პირად მახასიათებლებს; მსხვერპლს, რომელიც განსაკუთრებით დაუცველია დამნაშავესთან ურთიერთობისა და მასზე დამოკიდებულების გამო. ამ თვალსაზრისით, სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, გენდერული ნიშნით ან ახლობელთა მხრიდან ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა საჭიროებები.

4. ამ დირექტივის მიზნებისთვის, მიიჩნევა, რომ მსხვერპლ ბავშვებს სპეციფიკური დაცვა ესაჭიროებათ, რადგან განსაკუთრებით მოწყვლადები არიან მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების თვალსაზრისით. იმის დასადგენად,

საჭიროა თუ არა და რამდენად მოუტანს ბავშვ მსხვერპლს სარგებელს 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციალური ზომები, მათ ინდივიდუალური შეფასება ჩაუტარდებათ, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად.

5. ინდივიდუალური შეფასების მასშტაბი შეიძლება მოერგოს დანაშაულის სიმძიმესა და მსხვერპლის მიერ განცდილ ზიანს.

6. ინდივიდუალური შეფასებები ჩატარდება მსხვერპლის ჩართულობით და მისი სურვილების გათვალისწინებით, მათ შორის, თუ არ სურთ სარგებლობა სპეციალური ზომებით, რომლებიც გათვალისწინებულია 23-ე და 24-ე მუხლებით.

7. თუ მნიშვნელოვნად შეიცვლება ელემენტები, რომლებსაც ინდივიდუალური შეფასება ეყრდნობა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი განახლება სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.

მუხლი 25: სპეციალისტთა ტრენინგი

1. წევრმა სახელმწიფოებმა მსხვერპლთან კონტაქტში მყოფი პერსონალისათვის (მაგ.: პოლიციისა და სასამართლოების თანამშრომლები) უნდა უზრუნველყონ როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული ტრენინგები, ამ კონტაქტის ბუნებისა და მოცულობის შესაბამისად. ტრენინგების მიზანია ცნობიერების ამაღლება მსხვერპლთა საჭიროებებზე და მიუკერძოებელი, ღირსეული და პროფესიული მოპყრობა მათ მიმართ.

2. წევრი სახელმწიფოები ითხოვენ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ჩართულ მოსამართლეთა და პროკურორთა სწავლებაზე პასუხისმგებელმა პირებმა ჩაატარონ როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული ტრენინგები მსხვერპლთა საჭიროებებზე მათი ცნობიერების ასამაღლებლად, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სასამართლო დამოუკიდებლობას, ასევე, განსხვავებებს ევროპის კავშირის მასშტაბით სასამართლოთა ორგანიზებას შორის.

3. იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისადმი სათანადო პატივისცემით, წევრი სახელმწიფოები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ადვოკატთა სწავლებაზე პასუხისმგებელმა პირებმა ჩაატარონ როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული ტრენინგები მსხვერპლთა საჭიროებებზე მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

4. წევრი სახელმწიფოები, საჯარო სამსახურების მეშვეობით და მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციების დაფინანსებით, ხელს შეუწყობენ ინიციატივებს მსხვერპლთა დახმარებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სამსახურების ტრენინგთა შესახებ. აღნიშნული ტრენინგები მოერგება მსხვერპლთან მათი კონტაქტის ბუნებასა და მასშტაბს, ასევე, ხელს შეუწყობს პროფესიული სტანდარტების დაცვას, რათა ეს მომსახურებები მიეწოდოთ მიუკერძოებელი, ღირსეული და პროფესიული გზით.

5. სპეციალისტთა მოვალეობების შესაბამისად, ასევე, მსხვერპლთან კონტაქტის ბუნებისა და დონის გათვალისწინებით, ტრენინგი მიზნად ისახავს მათ დახმარებას, რომ გამოავლინონ მსხვერპლი და მოეპყრონ პატივისცემით, პროფესიულად და არადისკრიმინაციულად.

IV მოდული: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება

შესავალი და წინაპირობები

პოლიციის ოფიცერთა უპირველესი პასუხისმგებლობაა დანაშაულის აღკვეთა, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – მისი გამოძიება, და დანაშაულებრივი ქცევის გამოვლენა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სფეროში, მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების[54] და იმის გათვალისწინებით, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეიძლება გამწვავდეს და ზეგავლენა იქონიოს მთელ ლგბტ თემზე. ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სათანადოდ არ აღიკვეთა, მას შეიძლება მოჰყვეს უფრო მძიმე დანაშაული. პოლიციის არაეფექტიანი რეაგირება შელახავს რწმენას მისი კომპეტენტურობის შესახებ და ზიანს მიაყენებს მის ურთიერთობებს საზოგადოებასთან.

როგორც წინა თავებში განვიხილეთ, პოლიციას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რომ პროფესიულად და გულდასმით შეასრულოს საკუთარი ფუნქციები. ეს მოდული

54. ევროსაბჭო აღიარებს, რომ ტერმინი „მსხვერპლი“ მიუღებელია ბევრი ადამიანისთვის, ვინც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე გახდა. ვაღიარებთ, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანები ამჯობინებენ ტერმინს „გადარჩენილი“, რადგან კარგად ასახავს მათ გამოცდილებას. ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია ტერმინი „მსხვერპლი“, რადგან ყველაზე უკეთ შეესაბამება იმ პირის იურიდიულ და ტექნიკურ სტატუსს, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე გახდა და შეხება აქვს პოლიციასა თუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს სხვა სტრუქტურებთან. წინამდებარე სახელმძღვანელოში არაერთგზის გაესვა ხაზი, რომ პოლიციამ დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომა უნდა დანერგოს: კერძოდ, ჰკითხოს მას, თუ როგორ სურს, მიმართონ, და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი სურვილები.

მიზნად ისახავს პოლიციელთა აღჭურვას ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რათა ხელი შეეწ-ყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება რთულია: აღნიშნული გულისხმობს მტკიცებულებათა მოპოვებას მოწყვლადი მსხვერპლისგან, რომელიც ხშირად სტრესულ მდგომარეობაშია; ასევე, ისეთი ინფორმაციის გამჟღავნე-ბას, რომელზე საუბარიც დაზარალებულს დისკომფორტს უქმნის.

საზოგადოება და მსხვერპლი პოლიციისგან სწრაფ და პროფესიულ რეაგირებას მოე-ლიან. თუ პოლიცია ამას თავს ვერ ართმევს, საზოგადოების ნდობა ირყევა, თემების-თვის კი ეს გზავნილია, რომ პოლიცია სერიოზულად არ ეკიდება სიძულვილით მოტი-ვირებულ დანაშაულს, ან უარესიც – თავად წაახალისებს მას.

მოდული იწყება წინა ხაზზე მომუშავე პოლიციელებისთვის განკუთვნილი სავარჯიშო-თი, რომელიც დაეხმარება მათ იმ ნაბიჯების გააზრებაში, რომლებიც უნდა გადაიდგას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტზე თავდაპირველი რეაგირებისას. აღნიშნული გულისხმობს მსხვერპლისგან დეტალური ინფორმაციის მიღებას, ფიზიკუ-რი მტკიცებულებების შეგროვებასა და დანაშაულის ოფიციალურ დოკუმენტირებას.

მოდულის შემდეგი ნაწილი ძირითადად მიემართება სიძულვილით მოტივირებული და-ნაშაულის გამოძიებაზე მსხვერპლზე ორიენტირებული პერსპექტივიდან. აღნიშნული გულისხმობს დაზარალებულის მხარდაჭერას დანაშაულის ადგილზე, ტელეფონით ან პოლიციის განყოფილებაში. მოდულში განხილულია ჩვენების ჩამორთმევის იდეალური გზა და ყურადღება გამახვილებულია მსხვერპლის მხარდაჭერაზე ამომწურავი ანგარი-შის შედგენის შემდეგ.

შემდეგ დეტალურად არის განხილული ტრანსგენდერ მსხვერპლთა სპეციფიკური საჭიროებები. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან პოლიციელებს ხშირად მწირი ცოდნა აქვთ ტრანსგენდერი პირების და ამ ჯგუფის მიერ განცდილი ვიქტიმიზაციის მაჩვენებლებზე.

შემდეგ მოდულში განხილულია დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები, ასევე, მტკიცებულებები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დასასაბუთებლად. შემ-დეგ მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები, სადაც მონაწილეთა ყურადღება გამახვილ-დება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენისა და დამტკიცებისთვის აუცილებელ ფაქტორებზე წინა ხაზის პოლიციელთა პერსპექტივიდან.

და ბოლოს, მონაწილეებს სთხოვენ, გააანალიზონ პოლიციასა და ადგილობრივ ლგბტ თემებს შორის არსებული ურთიერთობები. ბოლო მოდულში ყურადღება გამახვილდება ნდობის მნიშვნელობაზე – ძირითად ფაქტორზე, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ანგარიშგების წასახალისებლად, ასევე სისხლის სამართლებრივი დევნისთვის საჭირო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

ძალადობრივი ინციდენტები, მათ შორის, რომლებიც ევროკავშირის ლგბტ კვლევაში აღწერეს რესპონდენტებმა, როგორც წესი, დანაშაულებრივ ქმედებებად განიხილება ევროკავშირში და, ჩვეულებრივ, უნდა ეცნობოს პოლიციას. ამ საკითხზე ინფორმაცი-ის შესაგროვებლად, რესპონდენტებს დაუსვეს კითხვები, შეატყობინეს თუ არა მათ ან სხვებმა პოლიციას ბოლო ან ყველაზე მძიმე სიძულვილით მოტივირებული დანაშაული,

რომლის მსხვერპლნიც გახდნენ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, სთხოვდნენ მიზეზის მითითებას. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია დასკვნების გასაკეთებლად, ვინაიდან გვაძლევს საშუალებას, სრულად დავინახოთ სურათი და განვსაზღვროთ მომხდარი ინციდენტებისა და პოლიციაში დარეგისტრირებული ფაქტების პროპორციული წილი. შედეგები მნიშვნელოვანია იმ მიზეზების დასადგენად, რომელთა გამოც დაზარალებულები თავს იკავებენ სიძულვილით მოტივირებული ძალადობის შემთხვევათა შეტყობინებისგან. სიტუაციის სრული და მოცულობითი სურათის შესაქმნელად, რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს, აცნობეს თუ არა სიძულვილით მოტივირებული ძალადობის სერიოზული ინციდენტები სხვა ორგანიზაციებსაც (პოლიციის გარდა). კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მომხდარი სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების მთლიანი რაოდენობის 1/5-ზე ნაკლები (17%) გაცხადდა პოლიციაში; რაც შეეხება სიძულვილით მოტივირებულ მძიმე დანაშაულებს, მხოლოდ 1/4-მდე (22%-მდე) შეატყობინეს ამ უწყებას. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველა ჯგუფში, ასევე, ბოლო და ყველაზე მძიმე ძალადობრივი ინციდენტების შემთხვევებში, რესპონდენტები პოლიციას ატყობინებენ საერთო რაოდენობის 1/4-ზე ნაკლებ შემთხვევაში.

> „როდესაც გავხდი სექსუალური შევიწროებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი, მოვახერხე პოლიციაში დარეკვა დახმარების მისაღებად. პოლიციელმა დაიწყო სიცილი და ხუმრობდა ჩემს მდგომარეობაზე, შემდეგ კი ტელეფონი საერთოდ გამითიშა. ეს იყო აშკარა დისკრიმინაცია ზოგადად გეი პირების და კაცის გაუპატიურების შემთხვევათა მიმართ. როგორც წესი, პოლიცია უკიდურესად დისკრიმინაციულია ლგბტ ადამიანების მიმართ“ (საფრანგეთი, გეი კაცი, 25 წლის).

საერთო ჯამში, ძალადობის მუქარის ფაქტებს პოლიციას უფრო იშვიათად ატყობინებენ, ვიდრე საკუთრივ ძალადობის ინციდენტებს (მაგ.: უკანასკნელ პერიოდში, ძალადობის მუქარის ფაქტების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 11% დაფიქსირდა პოლიციაში მაშინ, როცა იმავე საანგარიშო პერიოდში ფიზიკური თავდასხმების 29% ეცნობათ სამართალდამცველებს.

როგორც მიმდინარე წელს, ასევე 5 წლის წინ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლ რესპონდენტებს შორის ლესბოსელი და, განსაკუთრებით, ბისექსუალი ქალები გაცილებით ნაკლებად მიმართავენ პოლიციას, ვიდრე გეი ან ბისექსუალი კაცები და ტრანსგენდერი პირები. ეს ეხება სიძულვილით მოტივირებულ ბოლოდროინდელ ინციდენტებსაც და ყველაზე მძიმე შემთხვევებსაც.

მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ქალი რესპონდენტები, კაცებთან შედარებით, უფრო ხშირად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და, როგორც წესი, სექსუალური ძალადობის შემთხვევებს გაცილებით იშვიათად ატყობინებენ პოლიციას, ვიდრე ფიზიკური ძალადობის ფაქტებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სექსუალური ძალადობის ინციდენტების მხოლოდ 17% დაფიქსირდა პოლიციაში მაშინ, როცა ამავე პერიოდში ფიზიკური თავდასხმის ფაქტების 32% გახდა ცნობილი სამართალდამცველთათვის.

მიმართვიანობა სიძულვილით მოტივირებული ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევებზე ლგბტ ჯგუფში (%)



მიმართვიანობა სიძულვილით მოტივირებული ძალადობის ინციდენტთა ტიპების მიხედვით (%)



სურათი 44: ბოლო სიძულვილით მოტივირებული ინციდენტი, რომელიც პოლიციას შეატყობინეს ქვეყნის და ლგბტ ჯგუფის მიხედვით (%)



კითხვა: *FA1_5: ფიქრობთ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ფიზიკური/სექსუალური თავდასხმის ან ძალადობის ბოლო ინციდენტი ნაწილობრივ/სრულად უკავშირდება ფაქტს, რომ აღიქმებით A3 ან A4 კატეგორიად? დიახ.*

FA1_11: *თქვენ ან სხვამ შეატყობინეთ პოლიციას? დიახ.*

შენიშვნა: *A3 ან A4-ში თვითიდენტიფიკაციის კატეგორიებში ერთიანდება: ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, ქალი ტრანსსექსუალური წარსულით, კაცი ტრანსსექსუალური წარსულით, გენდერული ცვალებადობა, ქროს-დრესინგი, ქვიარი, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ა.შ.*

ბაზა: *ევროკავშირის ლგბტ კვლევის რესპონდენტები, რომელთა მიმართაც ნაწილობრივ/სრულად განხორციელ-და ფიზიკური/სექსუალური თავდასხმა ან ძალადობის მუქარა ბოლო 12 თვის განმავლობაში, რადგან ისინი ლგბტ თემის წევრებად აღიქმებოდნენ.*

წყარო: *FRA, ევროკავშირის ლგბტ კვლევა, 2012.*

როგორც კვლევებმა აჩვენა, მიმართვიანობის რაოდენობა ხშირად დამოკიდებულია და-ზარალებულთა საცხოვრებელ ადგილზე (მაგ.: დიდ ბრიტანეთში, ბელგიასა და საფრან-გეთში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შეტყობინებათა რიცხვი, დაახლოე-ბით, 4-ჯერ მეტია, ვიდრე საბერძნეთში).

რესპონდენტებს, რომლებიც გახდნენ სერიოზული ინციდენტების მსხვერპლნი, თუმცა არ მიმართეს სამართალდამცველებს, ჰკითხეს ამ გარემოების მიზეზები. ყველაზე ხში-რად ისინი პასუხობდნენ, რომ პოლიციას არაფრის გაკეთება არ შეუძლია მათ დასახ-მარებლად (50% – ბოლოდროინდელ შემთხვევაში და 43% – სერიოზული ძალადობრივი ინციდენტებისას). გარდა ამისა, რესპონდენტთა, დაახლოებით, მესამედი მიუთითებს, რომ პოლიცია გულგრილად მოეკიდა მის პრობლემას და არაფერი გააკეთა რეაგირების მიზნით (37% – უახლესი, 32% – სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში). გამოკითხულ-თა, დაახლოებით, მესამედის მითითებით, ინციდენტი არ გახლდათ იმდენად სერიოზუ-ლი, რომ პოლიცია ჩარეულიყო. შესაბამისად, არავისთვის მიუმართავთ (38% – ახალი ინციდენტის, 30% – სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში). რესპონდენტთა მესამედი ამბობს, რომ მათი არჩევანი (არ მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის) განაპი-რობა პოლიციის მხრიდან ტრანსფობიური ან ჰომოფობიური დამოკიდებულების შიშმა.

ცხრილი 6: სიძულვილით მოტივირებული ძალადობის ინციდენტთა პოლიციისთვის შეუტყობინებლობის მიზეზები

	ბოლო (%)	ყველაზე მძიმე (%)
არ ვფიქრობ, რომ ისინი რამეს გააკეთებდნენ	50	43
ძალიან უმნიშვნელოა/არ არის საკმარისად სერიოზული/არასდროს გადამხდენია	38	30
არ მიფიქრია, რომ მათ რამის გაკეთება შეეძლოთ	37	32
პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური დამოკიდებულების შიში	34	29
სირცხვილი, უხერხულობა, არ მინდოდა, ვინმეს გაეგო	26	29
დამნაშავის შიში, საყვედურის შიში	25	25
თვითონ გავუმკლავდი/მეგობარს ვუთხარი/ოჯახის საქმე იყო	19	20
ემოციურად ძალიან დათრგუნვილი ვიყავი, პოლიციისთვის რომ მიმემართა	16	18
არ დაიჯერებდნენ	16	14
არ მინდოდა, დამნაშავე დაეკავებინათ, ან მას პოლიციასთან ჰქონოდა რამე პრობლემა	6	5
მეგონა, ჩემი ბრალი იყო	6	7
შემაჩერეს და მოტივაცია არ მქონდა	5	5
სხვაგან წავედი დასახმარებლად	5	4
პირდაპირ მოსამართლესთან მივედი ინციდენტის შეტყობინებისთვის	0	0
სხვა მიზეზი	8	8

კითხვა: *FA1_12: რატომ არ შეატყობინე პოლიციას?*

ბაზა: *ევროკავშირის ლგბტ კვლევის რესპონდენტები, რომელთა მიმართაც ნაწილობრივ/სრულად განხორციელდა ფიზიკური/სექსუალური თავდასხმა ან ძალადობის მუქარა გასული 12 თვის (ბოლო ინციდენტი) ან 5 წლის განმავლობაში (ყველაზე მძიმე შემთხვევა), რადგან ლგბტ თემის წევრებად აღიქმებოდნენ.*

წყარო: *FRA, ევროკავშირის ლგბტ კვლევა, 2012*

სწავლების შედეგები

შედეგად, მონაწილეები შეძლებენ:

- ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირებას (როგორც პოლიციის გამოძიების ტექნიკური პერსპექტივიდან, ასევე დაზარალებულზე ორიენტირებული კუთხით);
- ტრანსგენდერი თემის წინაშე არსებული კონკრეტული გამოწვევების უკეთ გაგებას; გააზრებას, თუ როგორ შეიძლება ყველაზე ეფექტიანად დანაშაულის მსხვერპლ ტრანსგენდერ პირთა მხარდაჭერა პოლიციის პერსპექტივიდან;
- დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორთა იდენტიფიცირებას; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წარმატებული გამოძიებისა და დევნისთვის საჭირო მიკერძოებული მოტივის მტკიცებულებათა უკეთ მოპოვებას;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებას;
- პროაქტიული პოლიციური საქმიანობის როლის გააზრებას ნდობის მოპოვების კონტექსტში, რაც ეფექტიანი საპოლიციო ზომების გატარების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

აქტივობებისა და მათთვის განკუთვნილი დროის მიმოხილვა

- აქტივობა 4.1: მტკიცებულებების შეგროვება: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტ პირთა მიმართ – მოქმედებები შემთხვევის ადგილზე და შემდგომი გამოძიება (30 წუთი).
- აქტივობა 4.2: მტკიცებულებების შეგროვება: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტ პირთა მიმართ – მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა (30 წუთი).
- აქტივობა 4.3: მტკიცებულებების შეგროვება: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტ პირთა მიმართ – ტრანსგენდერთა სპეციფიკა (60 წუთი).
- აქტივობა 4.4: მტკიცებულებების შეგროვება: დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები – დისკრიმინაციული დამოკიდებულების/მოტივის დამტკიცება (30 წუთი).
- აქტივობა 4.5: მტკიცებულებების შეგროვება: დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები – ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენა (30 წუთი).
- აქტივობა 4.6(ა): ნდობის მნიშვნელობა: პოლიციის მხრიდან რეაგირება და ლგბტ თემები (30 წუთი).

აქტივობა 4.1: მტკიცებულებების შეგროვება: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტ პირების მიმართ – შემთხვევის ადგილზე განსახორციელებელი მოქმედებები და შემდგომი გამოძიება

ეს აქტივობა მოიცავს წაკითხვას, მცირე ჯგუფებში განხილვას და პლენარულ სესიაზე დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;
დასარიგებელი მასალები;
ოთახები ჯგუფებში მუშაობისთვის ან სივრცე ტრენინგის ოთახში;
დასარიგებელი მასალა 4.1(ა) და 4.1(ბ).

1. მოამზადეთ ფლიპჩარტის ფურცლები და დაასათაურეთ ასე:

- პირველი ფურცელი:
  „ზეპირი ინფორმაციის მიღება: ზეპირი ინფორმაცია მსხვერპლისა და თვითმხილველებისგან“.
- მეორე ფურცელი:
  „რა მტკიცებულებები უნდა შეაგროვოთ: ბიოლოგიური კვალი და ნივთიერი მტკიცებულებები შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის“.
- მესამე ფურცელი:
  „გამომძიებლის მოქმედებები პოლიციის განყოფილებაში“.
- მეოთხე ფურცელი:
  „შემდგომი გამოძიება: ყველა მიმართულების/ვერსიის შესწავლა“.

2. დაყავით მონაწილეები ოთხ ჯგუფად. დარწმუნდით, რომ ადამიანები, რომლებიც ერთად მუშაობენ, სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდნენ (თუ შესაძლებელია, ჯგუფებში დაიცავით სათანადო გენდერული თანაფარდობა).

3. მიაწოდეთ მონაწილეებს დასარიგებელი მასალა 4.1(ა) და სთხოვეთ, დაიცვან მითითებები. მიეცით ჯგუფს 10-15 წუთი სცენარის გასაცნობად და ზემოთ მითითებული სახელწოდებების მიხედვით განიხილეთ ყველა საკითხი, რომლებიც პოლიციელმა უნდა შეისწავლოს დანაშაულის გამოძიებისას. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ჩაინიშნოს გამოთქმული მოსაზრებები.

4. მცირე ჯგუფები გააერთიანეთ უფრო დიდ ჯგუფად. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის მიერ არჩეულ წარმომადგენელს იმ საკვანძო საკითხების წარდგენა, რომლებიც ჯგუფმა გამოავლინა. შემდეგ ჰკითხეთ ყველა მონაწილეს, ხომ არ სურს რამის დამატება.

5. როდესაც ამ საკითხებს გაივლით, მიუთითეთ კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს 4.1(ბ) მასალა; ხაზი გაუსვით საკვანძო ასპექტებს და ყველა გამოტოვებულ საკითხს.

დასარიგებელი მასალა 4.1(ა):

მტკიცებულებების შეგროვება: ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები – შემთხვევის ადგილზე განსახორციელებელი მოქმედებები და შემდგომი გამოძიება.

ეს აქტივობა მოიცავს წაკითხვას, მცირე ჯგუფებში განხილვას და პლენარულ სესიაზე დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

- რომელიმე მონაწილეს უნდა დაევალოს ჯგუფისთვის სცენარის წაკითხვა;
- ერთ მონაწილეს უნდა დაევალოს ჩანაწერების წარმოება.

სცენარი:

თავდასხმა ქალაქის ცენტრში:

ორი ლესბოსელი ქალი ტოვებს ლგბტ პირთა თავშეყრის ადგილს ქალაქის ცენტრში. ამ ადგილიდან 100 მეტრის მოშორებით, ქალებს თავს დაესხმება კაცების ჯგუფი (რამდენიმე მათგანი – ჯოხით). ორივე ქალი მძიმედ ნაცემია როგორც ჯოხებით, ისე წიხლებითა და მუშტებით. დამნაშავეები შეურაცხმყოფელი ჰომოფობიური შეძახილებით მიმართავენ ქალებს თავდასხმისას. გამვლელი ურეკავს პოლიციას და თქვენ დანაშაულის ადგილას მიდიხართ.

ზემოთ მოყვანილი სცენარის წაკითხვის შემდეგ, გაეცანით ქვემოთ მოცემულ დავალებას, რომელიც თქვენს ჯგუფს შეხვდა. განიხილეთ იდეები 10-15 წუთის განმავლობაში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები, რომლებიც დაგეხმარებათ პლენარულ სესიაზე პრეზენტაციის გაკეთებაში.

I ჯგუფი – დავალება:
ზეპირი ინფორმაციის მიღება: მსხვერპლისა და თვითმხილველებისგან.
რომელი ძირითადი ასპექტები უნდა გაითვალისწინოთ, როდესაც დანაშაულის ადგილას მსხვერპლისა და მოწმეებისგან იღებთ ინფორმაციას დეტალების შესახებ?

II ჯგუფი – დავალება:
მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეაგროვოთ: ბიოლოგიური კვალი და ნივთიერი მტკიცებულებები შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის.
რა ძირითადი სირთულეები უკავშირდება ამ პროცესს? რომელი მნიშვნელოვანი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ მათი შეგროვებისას?

III ჯგუფი – დავალება:
ოფიცრის მოქმედებები პოლიციის განყოფილებაში.
რა ძირითადი ასპექტები უნდა გაითვალისწინოს პოლიციელმა, როდესაც პოლიციის განყოფილებაში დაბრუნდება? რის გაკეთებას მოითხოვს პოლიციის უწყება პოლიციელისგან და რატომ?

IV ჯგუფი – დავალება:
შემდგომი გამოძიება: ყველა მიმართულების/ვერსიის შესწავლა.
აღწერეთ გამოძიების პროცესი, რომელიც მოჰყვება პირველად შეხებას შესაძლო დანაშაულთან და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენას. რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება შეგიძლიათ საწყის ეტაპზე, როდესაც სავარაუდო დამნაშავე უცნობია?

დასარიგებელი მასალა 4.1(ბ): ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: შემთხვევის ადგილზე მისვლა, ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება, მოწმეთა გამოკითხვა, მტკიცებულებათა შემდგომი ანალიზი

დანაშაულის ადგილზე თავდაპირველი მოქმედებები უაღრესად მნიშვნელოვანია წარმატებული გამოძიებისთვის. თუ არ გამოკითხავენ/დაკითხავენ პირებს და ჩატარებულ საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებებს არ აღბეჭდავენ შესაბამის ოქმებში, სისხლის სამართლის გამოძიება შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს.

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის პირველი კონტაქტი მსხვერპლთან ან/და მოწმეებთან: ამ მოქმედებების შედეგად, შეიძლება, მოიპოვონ ან გაუმჟღავნებელი დარჩეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც, ასევე, მივყავართ პირის წარმატებულ/წარუმატებელ სისხლის სამართლებრივ დევნამდე მძიმე დანაშაულისთვის.

მოწოდებული მასალები შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს პოლიციის თანამშრომელთა მოქმედებებზე დანაშაულის/შემთხვევის ადგილას (კერძოდ: მოწმეთა ჩვენებების აღებასა და ნივთიერი თუ ბიოლოგიური მტკიცებულებების შეგროვებაზე). შემდეგ განხილულია დანაშაულის შეტყობინება პოლიციისათვის (სამართალდამცავი სტრუქტურის ოფიციალური არხების მეშვეობით), ასევე, შემდგომ გამოძიებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები არ არის ამომწურავი. ამ საკითხის სიღრმისეულ განხილვამდე საჭიროა ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკისა და რეგულაციების შესწავლა.

A) ზეპირი ინფორმაციის მიღება: მსხვერპლის, მოწმისა და იმ პირის გამოკითხვა, რომლის შესაძლო დანაშაულის ჩადენაზეც მიმდინარეობს გამოძიება.

რომელი ძირითადი ასპექტები უნდა გაითვალისწინოთ, როდესაც დანაშაულის ადგილას მსხვერპლისა და მოწმეებისგან იღებთ ინფორმაციას დეტალების შესახებ?

B) მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეაგროვოთ: ბიოლოგიური კვალი და ნივთიერი მტკიცებულებები შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის.

რომელი მნიშვნელოვანი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ შემთხვევის ადგილზე მტკიცებულებათა შეგროვებისას?

C) ოფიცრის მოქმედებები პოლიციის განყოფილებაში.

რა ძირითადი ასპექტები უნდა გაითვალისწინოს პოლიციელმა, როდესაც პოლიციის განყოფილებაში დაბრუნდება? რის გაკეთებას მოითხოვს პოლიციის უწყება პოლიციელისგან და რატომ?

D) შემდგომი გამოძიება: ყველა მიმართულების შესწავლა.

აღწერეთ გამოძიების პროცესი, რომელიც მოჰყვება დანაშაულთან პირველ შეხებასა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენას. რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება შეგიძლიათ საწყის ეტაპზე, როდესაც სავარაუდო დამნაშავე უცნობია?

▶ დანაშაულის ადგილას ზეპირი ინფორმაციების მიღება მოწმეებისა და მსხვერპლისგან

ძირითადი საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია დანაშაულის ადგილას მსხვერპლისა და მოწმეებისგან ინფორმაციის მოპოვებისას.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის/შემთხვევის ადგილზე გაკეთებული შენიშვნები მხოლოდ პირველადი ჩანაწერებია, **ისინი შეიძლება მნიშვნელოვნად დაეხმაროს გამომძიებელს საქმის სწორი მიმართულებით წარმართვაში, ასევე, შესაძლო მტკიცებულებათა მოსაძიებელი ადგილებისა და თვითმხილველთა წრის განსაზღვრაში. შესაბამისად, ჩანაწერების გამოყენება შეიძლება შემდგომი გამოძიების დაგეგმვის პროცესშიც**. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მაქსიმალურად დეტალურად დოკუმენტირება.

საქმის მასალები, მოწმეთა გამოკითხვის ოქმები და სხვა ინფორმაცია საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რათა, თუ ის შემდგომში გადაეცემა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებულ გამომძიებელს, მან შეძლოს საქმის ეფექტიანად წარმართვა.

- თუ მოწმემ ან დაზარალებულმა არ იცის ქართული ენა, პოლიციის ოფიცერმა უნდა გამოიძახოს თარჯიმანი, რათა ხელი არ შეეშალოს მტკიცებულებათა საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებას.
- პოლიციელმა უნდა გამოიყენოს ღია და ინკლუზიური ენა, მაგალითად:
  - როგორ გირჩევნიათ, მოგმართოთ (ხშირად ტრანსგენდერ ადამიანებს დოკუმენტებში სახელი არ აქვთ შეცვლილი და ურჩევნიათ, საპირისპირო სქესის სახელით მიმართონ)?
  - გყავთ პარტნიორი? (ნაცვლად კითხვისა „დაქორწინებული ხართ?“)
  - სასიყვარულო ურთიერთობა გაქვთ? (ნაცვლად კითხვისა „გყავთ მეგობარი ქალი/კაცი?“)
- მსხვერპლს უნდა ჰქონდეს საშუალება, საკუთარი სიტყვებით განმარტოს მომხდარი, რისთვისაც საკმარისი დრო უნდა მისცეთ. მსხვერპლისადმი მოთმინების გამოჩენამ შეიძლება საკვანძო მტკიცებულებათა მოპოვების საშუალება მოგცეთ, რაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ვერ მიიღოთ.
- თუ მსხვერპლი მძიმე ტანჯვას განიცდის ან სერიოზულადაა დაშავებული, დეტალური გამოკითხვა უნდა გადაიდოს მანამდე, სანამ ის უკეთ იგრძნობს თავს სასაუბროდ (საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაეხმაროთ სათანადო მკურნალობის მიღებაში).
- მსხვერპლმა უნდა ისაუბროს საკუთარი სიტყვებით და არა პოლიციის ენით. თუ რაღაც ინფორმაცია ბუნდოვანია, შეიძლება დამატებითი განმარტებების მოთხოვნა.
- სავარაუდო დამნაშავის მიერ მოწმეებისთვის ნათქვამი ნებისმიერი ინფორმაცია **სიტყვასიტყვით** უნდა იყოს დოკუმენტირებული.
- თუ სავარაუდო დამნაშავე დანაშაულის ადგილზეა და არსებობს მისი დაკავების საფუძველი, დამკავებელი პირი ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა ედება ბრალად და აცნობოს, რომ აქვს ადვოკატის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება, ასევე, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული სასამართლო-

ში. დაუშვებელია იმ განცხადებების გამოყენება მტკიცებულებად, რომლებიც დაკავებულმა აღნიშნული განმარტების გაცნობამდე გააკეთა. მისი ნებისმიერი განცხადება განმარტების შემდგომ უნდა აისახოს დაკავების ოქმში.

▶ დანაშაულის ადგილას ბიოლოგიური კვალისა და ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის/შემთხვევის ადგილზე ბიოლოგიური და ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და გასათვალისწინებელია ადგილობრივ ექსპერტთა მოსაზრებები და სახელმძღვანელო დირექტივები.

- სათანადოდ დაიცავით დანაშაულის ადგილი, განათავსეთ პოლიციის კორდონი როგორც დანაშაულის/შემთხვევის ადგილას, ასევე იმ ტერიტორიებზე, სადაც სავარაუდო დამნაშავეები შეიძლება იმყოფებოდნენ ან გაიქცნენ.
- დააფიქსირეთ, ამოიღეთ, დალუქეთ და შესაბამისი წესით შეინახეთ ნებისმიერი მტკიცებულება, გადაიღეთ ყველა შესაბამისი ტერიტორიის და ნიმუშის/მტკიცებულების ფოტოები. განიხილეთ ვიდეოების გადაღების შესაძლებლობა, თუ ამის რესურსი ხელმისაწვდომი და მისაღებია. შეაგროვეთ შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები (მაგ.: ჰომოფობიური გრაფიტის ფოტოს გადაღება).
- შეინახეთ დანაშაულის ნებისმიერი კვალის მტკიცებულებები, რომლებიც არსებობს მსხვერპლზე; გახსოვდეთ, რომ ყველა კონტაქტი ტოვებს კვალს და დამნაშავის მამხილებელი მტკიცებულება შეიძლება იყოს მსხვერპლის კანსა და ტანსაცმელზე (სისხლი, ნერწყვი, ტანსაცმლის ბოჭკოები, თმა, დნმ და ა.შ.).
- თუ მისაღებია, აიღეთ ნაცხის ნიმუში და ამოიღეთ მსხვერპლის ტანსაცმელი, მას შემდეგ, რაც მას სხვა ტანსაცმელს მიაწოდებთ.
- გადაიღეთ მსხვერპლის დაზიანებათა ფოტოები (თუ შესაძლებელია, მისგან თანხმობის მიღების შემდეგ). შესაძლოა, ფოტოების გადაღებამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მოგიწიოთ, როდესაც სისხლნაჟღენთები უფრო ხილული გახდება.
- დანაშაულის/შემთხვევის ადგილას გამოიძახეთ შესაბამისი ექსპერტ-კრიმინალისტები ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები.
- შეაგროვეთ ყველა ფიზიკური მტკიცებულება ადგილობრივი რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
- შეეცადეთ დანაშაულის/შემთხვევის ადგილას დნმ-ის შემცველი მტკიცებულებების მოპოვებას. დნმ-ის წყაროები შეიძლება იყოს იარაღი/ინსტრუმენტები/საგნები, რომლებსაც შეიძლება შეეხნენ (მაგ.: ჭიქა, საიდანაც დალიეს); ასევე, სისხლი, ნერწყვი, თმა ან სხეულის სხვა სითხეები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სავარაუდო დამნაშავის დნმ-ის კვალი შეიძლება იყოს მსხვერპლის სხეულზე.
- თუ ინციდენტზე შეტყობინება ტელეფონით შემოდის, ურჩიეთ მსხვერპლს/მოწმეს, მაქსიმალურად შეიკავოს თავი ნებისმიერ მტკიცებულებასთან კონტაქტისა და შეხებისგან; ასევე, შეძლებისდაგვარად დაიცვას შემთხვევის ადგილი გარეშე პირთა ზემოქმედებისგან.

- მიმართეთ დახმარებისთვის გამომძიებელს, რომელსაც სათანადო მომზადება აქვს გავლილი.
- შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შემთხვევაში, შეაგროვეთ უშუალოდ დანაშაულის ადგილას და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ობიექტების გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დანაშაულის/შემთხვევის ადგილამდე მისასვლელ გზებს.
- სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირებისა და დაკავების შემთხვევაში, ამოიღეთ ტანსაცმელი და ფეხსაცმელები, რომელზეც შეიძლება დანაშაულის კვალი იყოს დარჩენილი; ასევე, აიღეთ დნმ-ის ნიმუში და თითის ანაბეჭდები; გადაიღეთ ფოტოები (მაგ.: ტატუირების სურათები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს რომელიმე ჯგუფის წევრობაზე).
- დანიშნეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გამოსაკვლევი პირები წარადგინეთ შესაბამის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში. მსხვერპლისგან მოიპოვეთ წერილობითი თანხმობა სამედიცინო დაწესებულებებიდან სამედიცინო შემოწმების დასკვნების გამოთხოვაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- ივარაუდეთ, რომ საქმე სასამართლოს წარედგინება განსახილველად და ყველა მტკიცებულება შესაბამისი წესით დაამაგრეთ საქმეზე.

▶ ოფიცრის მოქმედებები პოლიციის განყოფილებაში

- შესაბამისი ბაზებით გამოიკვლიეთ, სავარაუდო დამნაშავეს აქამდე ხომ არ ჩაუდენია მსგავსი ტიპის დანაშაული.
- შეისწავლეთ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე პოლიციის ერთიან ელექტრონულ ბაზებში არსებული ჩანაწერები, რათა გამოავლინოთ ვიქტიმიზაციის ტენდენცია.
- შეისწავლეთ პოლიციის ერთიან ელექტრონულ ბაზებში არსებული ჩანაწერები, რათა დაადგინოთ, მსხვერპლის მიმართ მანამდეც ხომ არ მოხდა მსგავსი დანაშაული. აღნიშნული მნიშვნელოვანია შესაძლო ხელახალი ვიქტიმიზაციის იდენტიფიცირებისთვის.
- შეატყობინეთ ინციდენტის შესახებ შესაბამის ხელმძღვანელ პირს ადგილობრივი პოლიტიკის/წესების შესაბამისად.
- თუ ინციდენტის გამოძიება სხვა გამომძიებელს/განყოფილებას დაევალება, მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ ეს შეიძლება იყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.
- საჭიროების შემთხვევაში, ინციდენტზე ინფორმაცია მიაწოდეთ შესაბამის მენეჯერს/პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელ პირს.
- თუ გამოვლინდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის ტენდენცია, შეატყობინეთ ამის შესახებ შესაბამის პირს, რათა სათანადო რეაგირება/ჩარევა დაიგეგმოს.
- საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლისთვის/მოწმისთვის/ბრალდებულისათვის უზრუნველყავით თარჯიმანი.
- დაგეგმეთ მტკიცებულებათა გადაცემა სხვა გამომძიებლისთვის/საგამოძიებო ჯგუფისთვის.

▶ შემდგომი გამოძიება: ყველა მიმართულების/ვერსიის შესწავლა.

პირველადი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა უფრო სიღრმისეული გამოძიების ჩატარება, განსაკუთრებით, როდესაც სავარაუდო დამნაშავე(ები) არ არიან დადგენილნი. ქვემოთ მოყვანილი საგამოძიებო პრაქტიკა არ არის ამომწურავი და უნდა გაფართოვდეს ადგილობრივი პრაქტიკის/პროცედურების გათვალისწინებით. პოლიციის ოფიცერთა კეთილსინდისიერი ძალისხმევა, რომელიც მიემართება დამნაშავეთა იდენტიფიცირებისკენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში, უმცირესობათა თემების ნდობის განმტკიცების წინაპირობაა. როდესაც პოლიციისადმი ნდობა დაბალია, ლგბტ მოწმეები შეიძლება პოლიციელთან საუბრისას კომფორტულად არ გრძნობდნენ თავს. ასეთ დროს საჭიროა დამატებითი ძალისხმევის გამოჩენა მოწმეთა წასახალისებლად, რათა პოლიციას მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გაუმჟღავნონ.

პოლიციის ოფიცრებმა:

- მედიის, სოციალური მედიის და სხვა არხების მეშვეობით უნდა სთხოვონ მოწმეებს ინფორმაციის გაზიარება;
- გამოავლინონ სხვა ადგილებში/უბნებში მომხდარი მსგავსი ინციდენტები;
- მოძებნონ მოწმეები, რომლებიც შეიძლება რეგულარულად დადიოდნენ კონკრეტულ ადგილებში/დანაშაულის ადგილას (ფოსტის ან დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, ავტობუსების მგზავრები, რომლებიც შესაბამისი მარშრუტებით გადაადგილდებიან). შეიძლება დახმარება შეძლონ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმაც;
- სთხოვონ გამოცდილ ოფიცერს შეკრებილ მტკიცებულებებთან გაცნობა, რათა გამოავლინონ გამოძიების ახალი მიმართულებები;
- გამოითხოვონ და შეისწავლონ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში (112) დაფიქსირებული სატელეფონო ზარების ჩანაწერები ინციდენტის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩართონ საქმეში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი;
- შესაბამის ტერიტორიაზე ჩაატარონ კარდაკარ გამოკითხვა;
- შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:
  - შეისწავლონ სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები;
  - დანაშაულების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში მოიძიონ და შეისწავლონ მსგავსი საქმეები; მოიპოვონ და შეაფასონ ოპერატიული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებს შორის კავშირების დასადგენად;
  - გამოითხოვონ ინფორმაცია მობილური კავშირგაბმულობის არხებიდან და, საჭიროების შემთხვევაში, შეისწავლონ სატელეფონო მტკიცებულებები;
  - თუ საჭიროა, გამოიყენონ სპეციალიზებული ერთეულების დახმარება;
  - მოითხოვონ მსგავსი სპეციფიკის დანაშაულებზე გამოძიების მწარმოებელი სპეციალიზებული დანაყოფის დახმარება (თუ ასეთი არსებობს).
- მოიძიონ ინფორმაცია იმ ადგილების უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისგან, სადაც ლგბტ პირები დადიან. აღნიშნული შეიძლება დაეხმაროს გამოძიებას: ადამიანები შეიძლება თემებში საუბრობდნენ ისეთ საკითხებზე, რომლებზეც პოლიციას არ დაელაპარაკებიან. ზოგჯერ შესაძლოა „რბილი“ დაზვერვაც

სასარგებლო იყოს, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სახით. მათ შორისაა პირების ოპერატიული გამოკითხვა და ცნობების შეგროვება;

- დახმარებისთვის და საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად, მიმართონ ლგბტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს;
- გამოიყენონ ვებ-გვერდებზე არსებული მესამე მხარის ინფორმაცია (სადაც ეს ხელმისაწვდომია).

აქტივობა 4.2: მტკიცებულებების შეგროვება: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტ პირთა მიმართ – მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა (30 წუთი)

აღნიშნული აქტივობა მოიცავს წაკითხვას, მცირე ჯგუფებში განხილვასა და პლენარულ სესიაზე დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;
ოთახები ჯგუფებში მუშაობისთვის ან სივრცე ტრენინგის ოთახში;
დასარიგებელი მასალა 4.2(ა) და 4.2(ბ).

1. მოამზადეთ ფლიპჩარტის სამი ფურცელი და დაასათაურეთ ასე:
   - პირველი ფურცელი:
     „საწყისი ანგარიში: მსხვერპლის მხარდაჭერა დანაშაულის ადგილას/ტელეფონით/პოლიციის განყოფილებაში“.
   - მეორე ფურცელი:
     „მსხვერპლისგან დეტალური ინფორმაციის მიღება (გამოკითხვა)“.
   - მესამე ფურცელი:
     „მხარდაჭერა და რისკების შემცირება“.

2. დაყავით მონაწილეები სამ ჯგუფად. დარწმუნდით, რომ ადამიანები, რომლებიც ერთად მუშაობენ, სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდნენ (თუ შესაძლებელია, დაიცავით სათანადო გენდერული თანაფარდობა).

3. მიაწოდეთ მონაწილეებს დასარიგებელი მასალა 4.2(ა) და სთხოვეთ, დაიცვან მითითებები. მიეცით ჯგუფს 10-15 წუთი იდეების გამოსავლენად. ჯგუფის ერთმა წევრმა უნდა ჩაიწეროს ეს მოსაზრებები.

4. მცირე ჯგუფები გააერთიანეთ უფრო დიდ ჯგუფად. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის მიერ არჩეულ წარმომადგენელს იმ საკვანძო საკითხების წარდგენა, რომლებიც ჯგუფმა გამოავლინა. შემდეგ ჰკითხეთ ყველა მონაწილეს, ხომ არ სურთ რამის დამატება.

5. საკითხების განხილვისას, მიუთითეთ კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს 4.2(ბ) მასალა და გაამახვილეთ ყურადღება საკვანძო საკითხებსა და იმ ასპექტებზე, რომლებიც შეიძლება მათ გამორჩათ.

დასარიგებელი მასალა 4.2(ა): ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა (30 წუთი)

ერთ მონაწილეს უნდა დაევალოს ჩანაწერების გაკეთება.

ამ სავარჯიშოსთვის შესაძლებელია 4.1-ის ფარგლებში გამოყენებული სცენარით სარგებლობა.

სცენარი:

თავდასხმა ქალაქის ცენტრში:

ორი ლესბოსელი ქალი ტოვებს ლგბტ პირთა თავშეყრის ადგილს ქალაქის ცენტრში. ამ ადგილიდან 100 მეტრის მოშორებით, ქალებს თავს დაესხმება კაცების ჯგუფი (რამდენიმე მათგანი – ჯოხით). ორივე ქალი მძიმედ ნაცემია, როგორც ჯოხებით, ისე წიხლებითა და მუშტებით. დამნაშავეები შეურაცხმყოფელი ჰომოფობიური შეძახილებით მიმართავენ ქალებს თავდასხმისას. გამვლელი ურეკავს პოლიციას და თქვენ დანაშაულის ადგილას მიდიხართ.

ზემოთ მოყვანილი სცენარის წაკითხვის შემდეგ გაეცანით დავალებას, რომელიც თქვენს ჯგუფს შეხვდა (იდეები განიხილეთ 10-15 წუთის განმავლობაში):

I ჯგუფი – დავალება:
თავდაპირველი რეაგირება: მსხვერპლის მხარდაჭერა დანაშაულის ადგილზე, როდესაც შეტყობინება ტელეფონით შედის; ან პოლიციის განყოფილებაში, სადაც ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული გაცხადდება. რა უნდა გაითვალისწინოს პოლიციამ?

II ჯგუფი – დავალება:
ოფიციალური გამოკითხვა: სარწმუნო მტკიცებულებების შეგროვება და დაზარალებულის მხარდაჭერა მისგან დეტალური ჩვენების აღებისას.
რა უნდა გაითვალისწინოს პოლიციამ?

III ჯგუფი – დავალება:
თავდაპირველი მტკიცებულებების შეკრების შემდეგ: მსხვერპლისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება და მისი მხარდაჭერა. ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის რისკის შემცირება.
რა უნდა გაითვალისწინოს პოლიციამ?

დასარიგებელი მასალა 4.2(ბ): ლგბტ პირების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა

რა ძირითადი მოსაზრებები უნდა გაითვალისწინოს პოლიციამ: მსხვერპლის მხარდაჭერისას დანაშაულის ადგილას, მოწმეებისგან დეტალური ჩვენების აღებისას და ზოგადად მუშაობისას? წინამდებარე მასალაში ასახულია სახელმძღვანელო მითითებები შემდეგი სამი მიმართულებით:

A) მსხვერპლთა მხარდაჭერა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საწყის ეტაპებზე.

B) მსხვერპლისგან/მოწმისგან დეტალური ჩვენების აღება და მტკიცებულებათა შეგროვებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

C) მსხვერპლის უწყვეტი მხარდაჭერა და რისკების შემცირება.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები არ არის ამომწურავი და უნდა მოერგოს ადგილობრივ კანონმდებლობას, პოლიტიკასა და პროცედურებს.

▶ მსხვერპლთა მხარდაჭერა სისხლის სამართლის გამოძიების საწყის ეტაპებზე

მსხვერპლთან პოლიციის პირველი კონტაქტის დროს შექმნილი შთაბეჭდილება გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა მოსაზრებები და მოლოდინები უყალიბდებათ მათ პოლიციასთან დაკავშირებით. ცუდი დასაწყისის შედეგად შეიძლება დაიკარგოს მოწმის თანამშრომლობის შანსი.

ქვემოთ შეჯამებულია ძირითადი ასპექტები, რომლებიც გასათვალისწინებელია გამოძიების საწყის ეტაპზე.

დანაშაულის ადგილას

- საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების გაწევა, როგორც პირველი პრიორიტეტი.
- მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მისი მოშორება დანაშაულის ადგილიდან, თუკი საფრთხე ემუქრება.
- ტრავმის მინიმუმადე შესამცირებლად, მსხვერპლი ერთმა პოლიციელმა უნდა გამოკითხოს; თუ საჭიროა, გამოკითხვას შეიძლება ესწრებოდეს მეორე ოფიცერიც, მაგრამ, იდეალურ შემთხვევაში, მან არ უნდა დასვას კითხვები.
- მსხვერპლის დარწმუნება, რომ რაც მოხდა, მისი ბრალი არ არის.
- პოლიციელმა უნდა გამოიყენოს ღია და ინკლუზიური ენა, რომელიც ითვალისწინებს თემის თავისებურებებს. მაგალითად:
  - გყავთ პარტნიორი? (ნაცვლად კითხვისა: „დაქორწინებული ხართ?“)
  - სასიყვარულო ურთიერთობა გაქვთ? (ნაცვლად კითხვისა: „გყავთ მეგობარი ქალი/კაცი?“)
- გამოიჩინეთ მოთმინება და მიეცით მსხვერპლს საშუალება, გამოხატოს თავისი გრძნობები.
- დაიცავით მსხვერპლის ვინაობა არასაჭირო გამჟღავნებისგან. შეატყობინეთ მსხვერპლს, რომ პოლიცია მაქსიმალურად დაიცავს კონფიდენციალურობას (კანონის შესაძლებლობების ფარგლებში).
- შეატყობინეთ მსხვერპლს, რომ ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ შეიძლება საჯარო გახდეს/მედიით გაშუქდეს. დარწმუნდით, რომ ეს ინფორმაცია მართებული გზით გადაეცით: კერძოდ, მსხვერპლი არ ჩათვლის, რომ პოლიციას არ სურს ამ საკითხის გამოძიება.
- გადაამისამართეთ მსხვერპლი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურში (მისი თანხმობით). მხარდაჭერის მომსახურების დეტალები უნდა გააცნოთ ზეპირად და წერილობით.

- მსხვერპლს, თუ ამის სურვილს გამოთქვამს, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე (გამომძიებლის ან საქმის საკონტაქტო პირის მეშვეობით). უნდა განიხილებოდეს მეორე საკონტაქტო პირის დანიშვნის მიზანშეწონილობა, თუ პირველი პირი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იქნება ხელმისაწვდომი.
- ჰკითხეთ მსხვერპლს, ჰყავს თუ არა მეგობარი/პარტნიორი, რომელთან დაკავშირებაც სურს მხარდაჭერისთვის.
- აწარმოეთ ჩანაწერები მსხვერპლის ემოციურ მდგომარეობაზე (მაგ.: ისინი შოკში არიან?).
- ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეაფასეთ დაუყოვნებელი რისკი, რომლის წინაშეც დაზარალებული ან მისი პარტნიორი/ოჯახის წევრები არიან. ამასთანავე, დაადგინეთ: მიუღია თუ არა მსხვერპლს რაიმე მუქარა; მოხდა თუ არა მსგავსი ინციდენტები წარსულში; და ხომ არ ჩაუდენია სავარაუდო დამნაშავეს (თუ იგი ცნობილია) მსგავსი დანაშაული ადრე. შეფასებაზე დაყრდნობით, დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები შესაბამისი დაცვისათვის (რისკის დეტალური შეფასების მაგალითის გასაცნობად, იხ. ჰემპშირის პოლიციის მიერ შემუშავებული სიძულვილის ინციდენტის შეფასების მოდელი[55]).

შეტყობინების მიღება ტელეფონით

- დაადგინეთ, ხომ არ არის საჭირო სამედიცინო დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.
- დასვით კითხვები იმის დასადგენად, უსაფრთხოდ არის თუ არა მსხვერპლი დანაშაულის/შემთხვევის ადგილას; ურჩიეთ, დატოვოს დანაშაულის/შემთხვევის ადგილი, თუ საფრთხე ემუქრება და ამის შესაძლებლობა აქვს.
- თუ მსხვერპლი საფრთხეშია და ვერ ტოვებს დანაშაულის/შემთხვევის ადგილს, მიავლინეთ გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების ოფიცრები.
- გამოიჩინეთ მოთმინება და მიეცით მსხვერპლს საშუალება, განმარტოს მომხდარი; ჩაინიშნეთ რაც შეიძლება მეტი დეტალი.
- მსხვერპლს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ოფიციალური განცხადების წარდგენაზე; ასევე, დეტალურად განემარტოს, თუ ვის როდის და სად უნდა დაუკავშირდეს. უნდა გატარდეს ზომები, რათა მსხვერპლს, ადგილობრივი პოლიციის პოლიტიკის შესაბამისად, დაუკავშირდეს გამომძიებელი.
- გადაამისამართეთ მსხვერპლი დაზარალებულთა დახმარების ადგილობრივ სამსახურში (მისი თანხმობით). მხარდაჭერის მომსახურების დეტალები უნდა გააცნოთ ზეპირად და წერილობით.
- გააკეთეთ ჩანაწერები მსხვერპლის ემოციური მდგომარეობის შესახებ (მაგ.: ის შოკშია?).
- შეაფასეთ მსხვერპლის რისკები და დაუყოვნებლივ მიიღეთ მისი დაცვისთვის საჭირო ზომები (რისკის შეფასების შესახებ იხ. ზემოთ).

55. http://www.hampshire.police.uk/internet/asset/de7ad9c0-8783-4cae-9cb9-2bc004ab0eal/hc-002299-15.%20additional%20information.pdf

თუ მსხვერპლი პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდება

- საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით სამედიცინო დახმარებას.
- ტრავმის მინიმუმამდე შესამცირებლად, მსხვერპლი ერთმა პოლიციელმა უნდა გამოკითხოს. თუ საჭიროა, გამოკითხვას შეიძლება ესწრებოდეს მეორე ოფიცერიც, მაგრამ იდეალურ შემთხვევაში, მან არ უნდა დასვას კითხვები.
- დაარწმუნეთ მსხვერპლი, რომ რაც მოხდა, მისი ბრალი არ არის.
- პირველ დეტალებზე მსხვერპლი გამოკითხეთ ცალკე ოთახში და არა საჯაროდ, პოლიციის მისაღებ განყოფილებაში.
- პოლიციელმა უნდა გამოიყენოს ღია და ინკლუზიური ენა, მაგალითად:
  - გყავთ პარტნიორი? (ნაცვლად კითხვისა „დაქორწინებული ხართ?“);
  - სასიყვარულო ურთიერთობა გაქვთ? (ნაცვლად კითხვისა: „გყავთ მეგობარი ქალი/კაცი?“).
- დაიცავით მსხვერპლის ვინაობა არასაჭირო გამჟღავნებისგან. შეატყობინეთ მსხვერპლს, რომ პოლიცია მაქსიმალურად დაიცავს კონფიდენციალურობას (კანონის შესაძლებლობების ფარგლებში).
- მსხვერპლს, თუ სურვილს გამოთქვამს, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე (გამომძიებლის ან საქმის საკონტაქტო პირის მეშვეობით). უნდა განიხილებოდეს მეორე საკონტაქტო პირის დანიშვნის მიზანშეწონილობაც, თუ პირველი პირი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იქნება ხელმისაწვდომი.
- გადაამისამართეთ მსხვერპლი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურში (მისი თანხმობით). მხარდაჭერის მომსახურების დეტალები უნდა გააცნოთ ზეპირად და წერილობით.
- შეატყობინეთ მსხვერპლს, რომ ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ შეიძლება საჯარო გახდეს/მედიით გაშუქდეს. დარწმუნდით, რომ ეს ინფორმაცია მართებული გზით გადაეცით: კერძოდ, მსხვერპლი არ ჩათვლის, რომ პოლიციას არ სურს ამ საკითხის გამოძიება.
- გამოიჩინეთ მოთმინება და მიეცით მსხვერპლს საშუალება, განმარტოს მომხდარი; ჩაინიშნეთ რაც შეიძლება მეტი დეტალი.
- ჰკითხეთ მსხვერპლს, ჰყავს თუ არა მეგობარი/პარტნიორი, რომელთან დაკავშირებაც სურს მხარდაჭერისთვის.
- გააკეთეთ ჩანაწერები მსხვერპლის ემოციური მდგომარეობის შესახებ (მაგ.: ის შოკშია?)
- შეაფასეთ მსხვერპლის რისკები და დაუყოვნებლივ მიიღეთ მისი დაცვისთვის საჭირო ზომები (რისკის შეფასების შესახებ იხ. ზემოთ).

▶ მსხვერპლისგან/მოწმისგან დეტალური ჩვენების აღება და მტკიცებულებათა შეგროვებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა

გამოკითხვა, როგორც წესი, იმ ეტაპზე ტარდება, როდესაც საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გროვდება. გამოკითხვამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს სისხლის სამართლის საქმეზე სარწმუნო მტკიცებულებათა შეგროვებაში ან გამოძიების წარუმატებლად დასრულებაში. პოლიციამ უნდა დააბალანსოს, ერთი მხრივ, მსხვერ-

პლისგან მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მიღების აუცილებლობა და, მეორე მხრივ, მისი საჭიროებები, მათ შორის, პირადი სივრცის ხელშეუხებლობა.

- გასაუბრების ოთახში უზრუნველყავით მშვიდი გარემო: თქვენ არ უნდა შეგაწყვეტინონ მუშაობა, როდესაც მოწმისგან ჩვენებას იღებთ.
- მოათავსეთ კარზე აბრა: „არ შეაწუხოთ“.
- შექმენით მაქსიმალურად მოსახერხებელი გარემო.
- გამორთეთ მობილური ტელეფონები და შეეცადეთ, რომ არ შეგაწუხონ ამ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.
- საჭიროების შემთხვევაში, მოაწყვეთ შესვენებები.
- არ გამოიყენოთ ენა, რომელიც ქმნის განსჯის შთაბეჭდილებას; არ გამოხატოთ პირადი აზრი მსხვერპლის ინდივიდუალურ გარემოებებზე.
- გააგებინეთ მსხვერპლს, რომ გესმით მტკიცებულებათა გაზიარების სირთულე.
- გამოიყენეთ ტონი, რომელიც მსხვერპლს დაამშვიდებს.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე სხეულის ენასთან დაკავშირებით და შეინარჩუნეთ მაქსიმალურად ნეიტრალური გამომეტყველება.
- გამოიჩინეთ პატივისცემა ნებისმიერ დროს; აგრძნობინეთ მსხვერპლს, რომ გესმით მისი ტკივილი/ღელვა.
- არ მოახდინოთ მსხვერპლზე ზეწოლა.
- შეიძლება მოგვიანებით საჭირო გახდეს ჩვენების მეორედ ჩამორთმევა. თუ ეს სამართლებრივ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მსხვერპლს უნდა განემარტოს.
- მოთმინებით მოეკიდეთ მსხვერპლს, თუ იგი ბევრად მეტ საკითხს გიზიარებთ ინციდენტზე, ვიდრე ჩვენებისთვის არის საჭირო.
- საკმარისი დრო გამოყავით ამ პროცესისთვის და არ დააჩქაროთ იგი.
- თავი შეიკავეთ მსხვერპლის ქცევის კრიტიკისგან.
- თავი შეიკავეთ ვარაუდებისგან მსხვერპლის რელიგიის, ცხოვრების წესის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.
- არასდროს გამოიყენოთ დისკრიმინაციული გამოთქმები.
- არასდროს დაამცროთ დანაშაულის სერიოზულობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სავარაუდო დამნაშავეები არიან ახალგაზრდები ან საქმე ეხება ალკოჰოლის მოხმარებას.
- განიხილეთ ჩვენების აღება ნეიტრალურ ადგილას ან მსხვერპლის სახლში, თუ ეს მისაღებია საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

მსხვერპლის უწყვეტი მხარდაჭერა და რისკების შემცირება

თავდაპირველი გასაუბრებისა და ჩვენების მიღების შემდეგ, მისდიეთ ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებს:

- მსხვერპლს უნდა დაუკავშირდნენ გამოძიების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, რათა იგრძნოს, რომ მის საკითხს სერიოზულად ეკიდებიან.
- საწყისი შეფასების შემდეგ, მსხვერპლის წინაშე არსებული საფრთხეები დროდადრო უნდა გადაისინჯოს, რათა სათანადო ზომები გატარდეს გამოვლენილი რისკების შესამცირებლად.

- შეატყობინეთ სათემო ან უბნის პოლიციის ოფიცერს, რომ დაუკავშირდეს მსხვერპლს და, საჭიროების შემთხვევაში, დაამშვიდოს. ეს საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს მსხვერპლთან.
- მსხვერპლს უნდა ეცნობოს პირის დაკავება, მისთვის ბრალის წაყენება ან მისი გათავისუფლება პატიმრობიდან.
- მსხვერპლს უნდა ეცნობოს ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველი.
- მსხვერპლს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ (თუ პირველი საკონტაქტო პირი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იქნება ხელმისაწვდომი, მეორე საკონტაქტო პირის შესახებ).
- მსხვერპლი უნდა გადაამისამართოთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურში (თუ ეს ჯერ არ განხორციელებულა).
- უნდა ჩატარდეს კონსულტაციები დანაშაულის პრევენციის, ასევე, მსხვერპლის სახლისა და პირადი უსაფრთხოების შესახებ.
- მსხვერპლს უნდა ეცნობოს, თუ მედია ითხოვს ინფორმაციის მიწოდებას.
- სათანადო შემთხვევებში, რისკების შესამცირებლად, მსხვერპლის სახლში უნდა დამონტაჟდეს უსაფრთხოების სისტემა; პირადი უსაფრთხოების მოწყობილობები (მაგ.: ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაცია) უნდა გადაეცეს მას.
- საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მსხვერპლის სხვა საცხოვრებელში გადაყვანა.
- მსხვერპლთან დაკავშირებული დეტალები დაცული უნდა იყოს მატერიალური სახითაც (ფურცელზე) და, თუ საჭიროა, ელექტრონულ ბაზაშიც.
- სერიოზულ შემთხვევებში შეიძლება მსხვერპლს დასჭირდეს სახელის შეცვლა ან სრულიად ახალი იდენტობის შექმნა.
- აღნიშნული გარემოებების არსებობისას შესაძლებელია მოწმეთა დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩასმა.
- მსხვერპლს შესაფერისი მხარდაჭერა უნდა გაეწიოს სასამართლოში გამოცხადებისას, მათ შორის:
  - ჰქონდეს ხელმისაწვდომობა დამხმარე ოთახებზე/მოწმეთა მოსაცდელ ოთახებზე;
  - პროცესის გამართვამდე ორგანიზება გაეწიოს მის ვიზიტს სასამართლოში დათვალიერების მიზნით (თუ შესაძლებელია, გაეცნოს სასამართლო მომსახურებებიც);
  - გამომძიებელს ან საგანგებოდ ამ მიზნით გამოყოფილ ოფიცერს დაევალოს მსხვერპლის დახვედრა და, თუ შესაძლებელია, თანხლება. თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, დახვედრა და თანხლება უნდა დაევალოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს.
  - თუ აქედან არც ერთი არ არის ხელმისაწვდომი, შეიძლება მსხვერპლს შესთავაზოთ, რომ თან ახლდეს მეგობარი ან ოჯახის წევრი, რომელიც საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებებს არ წარადგენს.

აქტივობა 4.3: მტკიცებულებების შეგროვება: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლნი – ტრანსგენდერებთან დაკავშირებული სპეციფიკა (60 წუთი)

საჭირო მასალები:
ფლიპჩარტის ქაღალდი, კალმისტრები;
დასარიგებელი მასალები 4.3(ა) და 4.3(ბ).

ეს აქტივობა მოიცავს პრეზენტაციას ტრენერების მხრიდან (სავარაუდოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად). წარმოდგენილი იქნება ტრანსგენდერებთან დაკავშირებული საკითხები ან ვიდეომასალა მათი ცხოვრების შესახებ. აქტივობა მოიცავს ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და კარგი საპოლიციო პრაქტიკის საკითხებს, ასევე, დისკუსიებს მცირე ჯგუფებში და პლენარულ სესიაზე, ფასილიტატორის დახმარებით.

პრეზენტაციის დასაწყისში მონაწილეებს უნდა სთხოვონ საკვანძო საკითხების ჩანიშვნა შემდეგ კითხვებთან მიმართებით:

1. რატომ არიან ტრანსგენდერი ადამიანები განსაკუთრებით დაუცველნი დანაშაულისგან?
2. რისი გაკეთება შეუძლია პოლიციას დანაშაულის ტრანსგენდერ მსხვერპლთა დასახმარებლად?

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ ადგილობრივი ლგბტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ამომწურავი ბრიფინგის გასამართად ტრანსგენდერი ადამიანების გამოცდილებაზე, ასევე, რეკომენდაციების მისაწოდებლად, თუ რა უნდა გაითვალისწინონ საჯარო მოხელეებმა მათთან კომუნიკაციის საუკეთესოდ წარმართვისათვის. თუ ეს შეუძლებელია, განიხილეთ ვიდეომასალის გამოყენების შესაძლებლობა.

ტრანსგენდერ მსხვერპლთა დახმარებისთვის მრავალი ფაქტორია მნიშვნელოვანი. დასარიგებელ მასალაში 4.3(ა) მოცემულია დეტალური, მაგრამ არასრული ჩამონათვალი საკითხებისა, რომლებიც პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ ტრანსგენდერ პირებთან ურთიერთობისა და ოფიციალური მოვალეობების შესრულების პროცესში. მონაწილეებს შეიძლება მიეწოდოთ დასარიგებელი მასალა 4.3(ბ), რაც დაეხმარება მათ აქტივობის ფარგლებში გათვალისწინებულ ძირითად საკითხებზე ყურადღების გამახვილებაში.

დასარიგებელი მასალა 4.3(ა): მტკიცებულებების შეგროვება: ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლნი – ტრანსგენდერებთან დაკავშირებული სპეციფიკა

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია აღწერს სახელმძღვანელო მითითებებს და კარგ პრაქტიკას, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის მსხვერპლ ტრანსგენდერ პირებთან პროფესიულ და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ ურთიერთობას პოლიციის მხრიდან. რიგი საკითხები ასევე აქტუალურია ინტერსექს პირებთან მიმართებითაც.

1) გენდერული იდენტობა და სამართალდამცველები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრანსგენდერი პირები ფართო სპექტრის დანაშაულთა მსხვერპლნი არიან (მათ შორისაა სექსუალური ძალადობა და მკვლელობა). მსხვერპლთა რაოდენობა უფრო დიდია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და ახალგაზრდა ტრანსგენდერი პირების შემთხვევაში. სოციალური სტიგმისა და კრიმინალური ვიქტიმიზაციის მაღალი დონის გათვალისწინებით, სამართალდამცავებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს პროფესიული რეაგირება ტრანსგენდერ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულზე.

ბევრ ქვეყანაში ტრანსგენდერი პირები, განსაკუთრებით სექსმუშაკები, ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან. ამას შეიძლება მოჰყვეს ნდობის დაკარგვა პოლიციისადმი, რაც, თავის მხრივ, იწვევს მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების გაუმჟღავნებლობას. **პროფესიონალიზმის გამოვლენა და დანაშაულის მსხვერპლ ტრანსგენდერ** პირთა იდენტობის პატივისცემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პოლიციელებმა შეძლონ დაუცველი უმცირესობების ეფექტიანად დახმარება.

2) ცნობისმოყვარეობის მართვა

პოლიციის ოფიცრებს შესაძლოა არ ჰქონდეთ შეხება ტრანსგენდერ ადამიანებთან, დანაშაულის ტრანსგენდერ მსხვერპლთან ურთიერთობამდე. ისინი ბუნებრივად ცნობისმოყვარე ადამიანები არიან და შეიძლება გარკვეული კითხვები გაუჩნდეთ ტრანსგენდერი ადამიანის ცხოვრების წესთან, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ყველა ტრანსგენდერი ადამიანი არ არის თავისი თემის ინტერესების დამცველი. ისინი განიცდიან რეგულარულ შევიწროებას და განსჯას ცხოვრების მანძილზე. შესაბამისად, არ სჭირდებათ დამატებითი სტრესის შექმნა პოლიციის მხრიდან ისეთი კითხვების დასმით, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო მსხვერპლისა და პოლიციელის პროფესიულ ურთიერთობასთან. **პოლიციის ოფიცერთა მთავარი პასუხისმგებლობაა პროფესიული როლის ფარგლებში დარჩენა და მხოლოდ ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც უკავშირდება გამოძიებას.**

გამოძიების პროცესში პოლიციის ოფიცრებმა უნდა გაითვალისწინონ: სისხლის სამართლებრივი ბრალდება, რომლის დამტკიცებასაც ცდილობენ, და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად. ინციდენტის ტრანსფობიური ბუნების დამტკიცებისას შესაძლოა რელევანტური იყოს იმის გაცხადება, რომ მსხვერპლი ტრანსგენდერია. **ასევე, საჭირო გახდეს უფრო პირად ელემენტებთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენა, მათ შორის, ფიზიკური ისტორიის/ანატომიის შესახებ. თუ ინფორმაცია მკაფიოდ არ უკავშირდება დანაშაულს ან დისკრიმინაციულ მოტივს, ამაზე შეკითხვის დასმა არ არის მიზანშეწონილი.**

ტრანსგენდერ ადამიანებს ხშირად განსჯიან და კიცხავენ ოჯახის წევრები, მეგობრები და საზოგადოება. შესაბამისად, როდესაც დანაშაულზე გასაცხადებლად მიდიან პოლიციის განყოფილებაში, მნიშვნელოვანია, პოლიციის მხრიდანაც არ დაექვემდებარონ მსგავს მოპყრობას – მეორეულ ვიქტიმიზაციას. შეინარჩუნეთ სახის ნეიტრალური გამომეტყველება და ყოველთვის იყავით პროფესიონალი. ენა უნდა იყოს ნეიტრალური, ტექნიკური და არაგანმსჯელი. პროფესიონალი პოლიციელის როლი გულისხმობს ორიენტირებას დახმარებასა და თანაგრძნობაზე. **თუ დაზარალებული გრძნობს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის დროსაც განსჯიან და დისკრიმინაციულად ეპყრობიან, აღნიშნულმა შეიძლება მეორეული ვიქტიმიზაცია გამოიწვიოს.**

2ა) კონფიდენციალურობა

პოლიციელებს კონფიდენციალურობის დაცვის პროფესიული ვალდებულება ეკისრებათ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას. ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად საკუთარ წარსულს საიდუმლოდ ინახავენ ან მრავალი მიზეზის გამო არ ამჟღავნებენ, რომ ტრანსგენდერები არიან (მაგ.: ცხოვრობენ ახალი როლით, როგორც ქალი ან კაცი). მესამე მხარეებისთვის ამ ინფორმაციის გამჟღავნება მნიშვნელოვან რისკებს უქმნის ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხოებას და ფსიქიკურ კეთილდღეობას. ამან შეიძლება პრობლემები წარმოშვას ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და დაბრკოლებები შექმნას დასაქმების თვალსაზრისით. პოლიციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, დაიცვან პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გასათვალისწინებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობაც (თუ ასეთი არსებობს). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქალაქებსა და ისეთ ადგილებში, სადაც ანონიმურობის შენარჩუნება რთულია.

ზემოხსენებული როლი უნდა განიხილებოდეს რისკებთან ერთად, რომ სისხლის სამართლის საქმის დეტალები შეიძლება მედიისთვის ცნობილი გახდეს სასამართლოს წარმომადგენელთა მეშვეობით ან სხვაგვარად. მსხვერპლს უნდა შეატყობინოთ ეს რისკები, რათა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, თუ როგორ განაგრძოს მოქმედება. *ეს ინფორმაცია არასდროს მიაწოდოთ ისე, რომ მსხვერპლს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სამართალდამცველები ცდილობენ მის გადარწმუნებას საჩივრის შეტანისგან.* **და ბოლოს, იმისათვის, რომ პირმა განაცხადოს პოლიციაში შესაძლო დანაშაულზე, არასოდეს მისცეთ ისეთი დაპირებები კონფიდენციალურობის შესახებ, რომელთა შესრულებაც არ შეგიძლიათ.**

2ბ) მხარდაჭერა

როდესაც მსხვერპლი განსაკუთრებით დათრგუნვილია და ტრანსგენდერ საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთობები მთელ რიგ გამოწვევებს უკავშირდება, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მისთვის შეკითხვის დასმა, **ხომ არ სურს, მეგობარი ან ოჯახის წევრი ესწრებოდეს პოლიციასთან კომუნიკაციას.** ასეთი პირი არ უნდა უკავშირდებოდეს საქმისწარმოებას. შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს ჩვენების აღება ნეიტრალურ ადგილას, მაგალითად, სათემო ცენტრში ან მსხვერპლის სახლში. ადგილობრივმა პოლიტიკამ და კანონმდებლობამ შეიძლება ამაზე გავლენა იქონიოს, რაც გასათვალისწინებელია გადაწყვეტილებების მიღებისას.

3) ნაცვალსახელების გამოყენება

როგორც პირველ მოდულში განვიხილეთ, ნაცვალსახელებს ვიყენებთ პირისთვის მიმართვისას ან მისი სახელის ნაცვლად: ის, მისი, მას (he/she, his/her). ჩვეულებრივ, რომანულ და ინდოევროპულ ენათა ოჯახისთვის დამახასიათებელია იმგვარი ნაცვალსახელები, რომლებიც სქესზე მიუთითებს. შესაბამისად, ამ ენებზე მოსაუბრე ტრანსგენდერ პირებთან ურთიერთობისას ნაცვალსახელები სწორად უნდა გამოიყენოთ, რათა თავიდან აიცილოთ მათი გენდერის არასწორი აღნიშვნა.

როცა ტრანსგენდერ ადამიანთან ხანმოკლე კონტაქტი გაქვთ, უმჯობესია, თავი აარიდოთ ნაცვალსახელების გამოყენებას (თუ ეს შესაძლებელია). **თუ თქვენი ჩართულობა უფრო ხანგრძლივია, უნდა ჰკითხოთ პირს, რომელი ნაცვალსახელით ურჩევნია მიმართვა.**

თუ არასწორ ნაცვალსახელს გამოიყენებთ, უმჯობესია, სწრაფად მოუხადოთ ბოდიში და გააგრძელოთ საუბარი. ამ თემაზე დიდხანს შეჩერებამ შეიძლება უხერხულობა გამოიწვიოს ყველა დამსწრისთვის. ერთადერთი, რაც ასეთ ვითარებაში უნდა გააკეთოთ, არის შეცდომის აღიარება და საუბრის გაგრძელება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანი არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას კაცად ან ქალად. ისინი წარმოგვიდგებიან არაბინარულ პირებად. არაბინარულ პირებთან მიმართვისას მისაღებია ისეთი ნაცვალსახელების გამოყენება, როგორიცაა ისინი/მათი/მათ (ნაცვლად ის/მისი/მას).

შეურაცხმყოფელად მიიჩნევა განზრახ არასწორი ნაცვალსახელის გამოყენება, რადგან ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი და ტკივილი გამოიწვიოს. პოლიციის ოფიცრების მიერ სწორი ნაცვალსახელების გამოყენება და სენსიტიური კითხვების დასმა, თუ რომელ ნაცვალსახელს არჩევს პირი მიმართვისას, მეტყველებს მის კულტურულ კომპეტენტურობაზე და იწვევს ნდობას.

ქართული ენა არ განასხვავებს პირის ნაცვალსახელებს სქესის მიხედვით. ისინი ნეიტრალურია. შესაბამისად, ქართულ ენაში მსგავსი გამოწვევების წინაშე ტრანსგენდერი ადამიანები არ დგანან.

4) იურიდიული სახელი

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადამიანების მიერ სახელის შეცვლას, რათა მათთვის სასურველ სქესს დაემთხვეს. ზოგიერთ შემთხვევაში ტრანსგენდერ ადამიანს სახელის ოფიციალურად შეცვლა არ შეუძლია მაშინაც კი, როცა კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა. ამან შეიძლება მთელი რიგი გამოწვევები შექმნას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე პოლიციის ოფიცრებს ეხება, რომლებსაც შესაბამისი ტრენინგები არ აქვთ გავლილი და გამოცდილება არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებაში.

შეიძლება საჭირო გახდეს პოლიციელების მიერ პირის იურიდიული/დაბადებისას მინიჭებული სახელის გამოყენება, რომელიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს მისთვის სასურველ სქესს. ასეთი სამართლებრივი მოთხოვნის არსებობისას, მნიშვნელოვანია ახსნა, თუ **რატომ, როდის და სად იქნება გამოყენებული ეს სახელი** (ფორმები, განცხადებები, სასამართლო და სამედიცინო დოკუმენტები და ა.შ.). **პოლიციის ოფიცერმა პირს უნდა მიმართოს მისთვის სასურველი სახელით და გვარით,** როდესაც ეს შესაძლებელია.

საჩივრის მიღებისას, გაიგეთ მოწმის ვინაობა და მისთვის სასურველი სახელი და ნაცვალსახელები, რომლებსაც გამოიყენებთ მიმართვის დროს. შესაბამისად, მოწმესთან პირველივე შეხებისას, პოლიციის ოფიცერმა ყოველთვის უნდა დასვას კითხვა: *როგორ გსურთ, მოგმართოთ? ჩვენების დოკუმენტირებისას, მიუთითეთ მოწმეების ოფიციალური სახელი და სქესი, შემდეგ მიმართეთ მათ მიერ არჩეული სახელისა და სქესის მიხედვით.* აუხსენით მოწმეს, რომ ჩვენებაში მოწმის დასახელებისას გამოიყენებთ მის ოფიციალურ სახელს, მაგრამ მიმართავთ მის მიერ არჩეული სახელით. ამ საკითხის ჩვენებაში განმარტების შემდეგ, დოკუმენტებში პირის მოხსენიება უნდა გააგრძელოთ მისთვის სასურველი სახელით და ნაცვალსახელებით.

ვინაობის/სქესის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები არ უნდა იყოს მოთხოვნილი, თუ ეს აუცილებელი არ არის კონკრეტული იურიდიული მიზნებისთვის.

5) სენსიტიურობა სხეულთან მიმართებით

სექსუალური თავდასხმა უაღრესად სენსიტიური და პიროვნულად გამანადგურებელი დანაშაულია, განსაკუთრებით, იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც შეიძლება ისედაც პრობლემები აქვთ საკუთარი სხეულის მიღების მიმართ. ბევრ ტრანსგენდერ ადამიანს შეიძლება უხერხულობას უქმნიდეს საკუთარი სხეულის გარკვეული ნაწილები და არ სურდეს ამ თემაზე საუბარი. ამის გამო, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ნდობის მოპოვება.

თუ საჭიროა სხეულის ინტიმური ნაწილების შემოწმება სასამართლო ექსპერტიზის მიზნით, მსხვერპლს წინასწარ უნდა განუმარტოთ, რა პროცედურებს გულისხმობს ეს, რათა გადაწყვიტოს, როგორ იმოქმედებს. ასეთ შემთხვევებში მსხვერპლის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეთ.

6) ოჯახში ძალადობა

ზოგიერთ შემთხვევებში ტრანსფობიისა და სირცხვილის შეგრძნების გამო, ადამიანს შეიძლება დაბალი თვითშეფასება ჰქონდეს. ზოგი ტრანსგენდერი ადამიანის აზრით, შეიძლება ნებისმიერი ურთიერთობა სჯობდეს არანაირ ურთიერთობას. ეს ხშირად კარგ საფუძველს ქმნის ოჯახში ძალადობისთვის.

პოლიციელებმა უნდა იცოდნენ, რომ მსხვერპლის თანმხლები პირი შეიძლება იყოს მოძალადე. ასეთ გარემოებებში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს დაზარალებულისა და მისი პარტნიორის მცირე ხნით განცალკევება და ისეთი კითხვების დასმა, როგორებიცაა: უსაფრთხოდ გრძნობთ თავს სახლში? ვინმე თქვენი ცხოვრების განმავლობაში გემუქრებოდათ ან ტკივილს გაყენებდათ? არსებობს რაიმე მიზეზი, რომლის გამოც არ შეგიძლიათ კითხვებზე პასუხის გაცემა თქვენი თანმხლების თანდასწრებით?

7) ოჯახი

პოლიციას შეიძლება მოუწიოს მსხვერპლის ოჯახთან კომუნიკაციამ, განსაკუთრებით, როცა მსხვერპლი უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი ან მიუწვდომელია. შეეცადეთ, ფრთხილად დაადგინოთ ოჯახის წევრების მიმღებლობა და შეაფასოთ, თუ რამდენად არიან მზად გამოძიების მხარდასაჭერად. ეს შეიძლება გულისხმობდეს კითხვის დასმას, არიან თუ არა დაინტერესებულნი მედიასთან საუბრით.

ამ ადამიანებისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს ოჯახის წევრის გენდერული იდენტობა და მათთან საუბრისას საჭირო გახდეს პირის თავდაპირველი სახელით/ნაცვალსახელებით მოხსენიება ან ორი განსხვავებული წესით საუბარი: ოჯახთან და მსხვერპლთან.

დაზარალებულის ოჯახს შეიძლება არ ესმოდეს გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები და, გარკვეულ შემთხვევებში, საჭირო გახდეს მათი ინფორმირება ამ თემაზე, ასევე, მსხვერპლის მხარდაჭერის მომსახურებების მიწოდება.

8) ტრანსგენდერი პირების დაკავება

ტრანსგენდერი პირის დაკავების საჭიროებისას, პოლიციამ ფრთხილად უნდა დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. საპოლიციო ორგანოების უმეტესობას არ გააჩნია ტრანსგენდერ პირთა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ტრანსგენდერი პირების საპატიმროში მოთავსება მათი ოფიციალური/დაბადებისას განსაზღვრული სქესის ადამიანებთან, შეიძლება საშიში იყოს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ისინი შეურაცხყოფის, შევიწროებისა და სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ არიან.

თუ შესაძლებელია, მოკლე ვადით დაკავებისას ტრანსგენდერი პირები ცალკე უნდა მოთავსდნენ. გრძელვადიანი პატიმრობისათვის სასურველია განისაზღვროს პატიმრის მოთავსების შესაძლებლობა იმ სქესის პირთა დაწესებულებაში, რომელთანაც ის საკუთარ თავს აიგივებს. პატიმრის უსაფრთხოებას ყველაზე პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მოკლევადიანი პატიმრობის გარდა, ყველა შემთხვევაში, პოლიციამ უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ გადის პირი ტრანზიციის პროცესს, რათა პატიმრობის დროს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაბამისი იყოს.

9) ინტერსექს პირებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები

24-საათიან მოკლე პერიოდშიც კი ინტერსექს ადამიანებს შეიძლება სამედიცინო საჭიროებები წარმოექმნათ (მაგ.: აუცილებელი გახდეს კორტიზოლის სტეროიდული მართვა მარილის გამოდევნის თავიდან ასაცილებლად ან ეფექტიანი კონდიცირება, რათა თავიდან აიცილონ სხეულის გადაცხელება).

ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიაზე არიან ბავშვობიდან გონადექტომიის გამო, ზოგადად, მხოლოდ 24 საათის განმავლობაში ძლებენ ჰორმონების მიღების გარეშე. 24 საათის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები და გაითვალისწინონ, რამდენი დრო გავიდა უკანასკნელ დოზასა და პირის დაკავებას შორის.

ინტერსექს პირებს, რომლებსაც იმპლანტები ან ინიექციები უკეთდებათ, ზოგადად, ჰორმონებით მკურნალობა მოკლევადიან პერიოდში არ ესაჭიროებათ. თუმცა, შეიძლება დასჭირდეთ ექთნის მომსახურება ინიექციების გასაკეთებლად ან ექიმის დახმარება იმპლანტების გამო.

ინვერსიის „ქოლგის“ ფარგლებში მოქცეულ ადამიანთა ჯგუფებში ოსტეოპოროზის ან ოსტეოპონიის მაღალი რისკი არსებობს ადრეულ წლებში ჩატარებული არასწორი ჰორმონოთერაპიის გამო. ცალკეულ შემთხვევებში, ადამიანს შეიძლება არაერთხელ ჰქონდეს მოტეხილი ან გაბზარული ძვლები, რაც ნიშნავს, რომ მისი ძვლოვანი სისტემა ძალიან მყიფეა. მნიშვნელოვანია ასეთი საკითხების გათვალისწინებაც მხარდაჭერაზე ორიენტირებული ყოვლისმომცველი შეფასებისას.

დასარიგებელი მასალა 4.3: გასათვალისწინებელი საკითხები

1. რის გამო არიან ტრანსგენდერი ადამიანები განსაკუთრებით დაუცველნი დანაშაულისგან?

2. რისი გაკეთება შეუძლია პოლიციას დანაშაულის ტრანსგენდერ მსხვერპლთა მხარდასაჭერად?

აქტივობა 4.4: მტკიცებულებების შეგროვება: დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები – დისკრიმინაციული მოტივის დამტკიცება (30 წუთი)

ეს აქტივობა გულისხმობს პლენარულ პრეზენტაციებს, ინდივიდუალურ მუშაობას და ჯგუფურ დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
დასარიგებელი მასალა 4.4(ა) და 4.4(ბ).

1) დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების განსახილველად, მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ დასარიგებელი მასალა 4.4(ა).
2) ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა გადაეცეს მასალა 4.4(ა) და სთხოვონ დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მაქსიმალურად მეტი მაგალითის ჩამოწერა თითოეული დასათაურების მიხედვით.
3) საჭიროა შედეგების ერთმანეთთან შედარება ჯგუფური დისკუსიისას, დასარიგებელ 4.4(ბ) მასალაში მოცემული მაგალითების გამოყენებით, რათა გამოვლინდეს ახალი იდეები ან ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება მონაწილეებს გამორჩეთ.

დასარიგებელი მასალა 4.4(ა): დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების სავარჯიშო

მიკერძოებულობის ინდიკატორები

როგორც წინა მოდულებშია მითითებული, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული განსაზღვრულია **სისხლის სამართლის დანაშაულად, რომელსაც შეუწყნარებლობის მოტივი ახლავს.**

პოლიციის თანამშრომლები გამოცდილნი არიან **სისხლის სამართლის დანაშაულის** დასადგენად მტკიცებულებათა იდენტიფიცირებასა და შეგროვებაში. დანაშაულის მტკიცებულებათა შეგროვების მხარდასაჭერად, თითოეული სისხლის სამართლის დანაშაული განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსში. ეს დეფინიციები მოიცავს „მტკიცებულებებს“, რომელთა მოპოვება აუცილებელია პირისთვის დანაშაულში ბრალის წაყენების/დაპატიმრების/დევნისათვის.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას აუცილებელია **დისკრიმინაციული მოტივის** დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებების იდენტიფიცირება. მოტივაცია, გარკვეულწილად, სუბიექტურია და შეიძლება რთული დასადგენი იყოს. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირებისთვის. ზოგ ფაქტორებს შეიძლება უფრო ძლიერი მტკიცებითი ძალა ჰქონდეს. ამ ფაქტორების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ კატეგორიებში:

1. დაზარალებულის ან მოწმის აღქმა;
2. სავარაუდო დამნაშავის ფიზიკური, ვერბალური თუ არავერბალური ქცევა (ჟესტები, კომენტარები, წერილობითი მითითებები და სხვა);
3. ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ან მათი წევრების მონაწილეობა დანაშაულში;
4. დანაშაულის ადგილი და დრო;

5. წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება ან სიხშირე;
6. ძალადობრივი ქმედების ბუნება (მაგ.: სისასტიკე);
7. სხვა მოტივების არარსებობა.

მოტივის სუბიექტური ბუნების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ინდიკატორი უფრო ძლიერი იქნება, შეიძლება საჭირო გახდეს საქმის ფაქტების დადგენა დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორთა კომბინაციის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს ერთი ინდიკატორი, რაც შეიძლება არ კმაროდეს იმის დასამტკიცებლად, რომ ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, და საქმე ჩაითვალოს ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულად. არის თუ არა საქმე სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ამას პროკურორი ადგენს, პოლიციის მიერ წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, პოლიციამ ყველა შესაძლო მტკიცებულება შეაგროვოს და წარუდგინოს პროკურორს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლი შეიძლება არ მიაკუთვნებდეს თავს ლგბტ თემს, თუმცა ის, რომ თავდამსხმელებმა დაზარალებული ამ ჯგუფის წევრად მიიჩნიეს, მიუთითებს დანაშაულის სიძულვილის მოტივით ჩადენაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დამნაშავის მოქმედების მოტივი და არა მსხვერპლის სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა.

თითოეული შემთხვევა შესწავლილი უნდა იყოს არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით. საჭიროა სათანადო სიფრთხილის გამოჩენა და ისეთი ფაქტების გამოვლენა, რომლებმაც შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს; განსაკუთრებით, როდესაც დამნაშავეები მიზანდასახულად ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ დანაშაული ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით.

დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების უკეთ გასაგებად, წაიკითხეთ შემდეგი სცენარი და განიხილეთ პასუხები (ა)-(დ) კითხვებზე.

სცენარი:

გეიების წყვილმა ქალაქის ცენტრში არსებული გეი კლუბი ღამის 2 საათზე დატოვა. კლუბიდან გამოსასვლელი ჩაბნელებულ უკანა ქუჩაზე გადის. გზის ბოლოს ახალგაზრდების ჯგუფი შეიკრიბა. როდესაც წყვილმა ჩაუარა, ისინი თავს დაესხნენ და სცემეს, ძირს დაცემულებს კი მუშტები და წიხლები ურტყეს. თავდამსხმელები მათ უწოდებდნენ „პედერასტებს“ და „გეიებს“. შემდეგ ახალგაზრდები ადგილს გაეცალნენ. მოწმემ პოლიცია გამოიძახა.

ა) ჩადენილია თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული?
დიახ, ძალადობა ჯგუფურად, ორი პირის მიმართ (გამოიყენეთ ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი განმარტება).

ბ) ზემოხსენებული სცენარიდან იკვეთება შეუწყნარებლობის მოტივი?

დიახ, ლგბტ პირებისადმი შეუწყნარებლობა რამდენიმე გზით გამოვლინდა:

ადგილი: ინციდენტი მოხდა ლგბტ პირების შეკრების ადგილთან (გეი ბარი).

დრო: ინციდენტი მოხდა იმ დროს, როდესაც ლგბტ პირები ამ ადგილს ტოვებენ.

კომენტარები: თავდასხმის დროს გაკეთდა ჰომოფობიური კომენტარები („პედერასტები“ და „გეიები“).

დაზარალებულის/მოწმის აღქმა: ორი მსხვერპლი იყო გეი კაცი.

გ) კიდევ რა სახის მტკიცებულებების მოძიება შეუძლია პოლიციას?

ზემოთ მოყვანილი შეფასება გაკეთებულია ამ მაგალითში შემოთავაზებული შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე. პოლიციის მხრიდან შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება გამოავლინოს შემდეგი ინფორმაცია:

დაზარალებულის/მოწმის აღქმა: დაზარალებულებს მიაჩნდეთ, რომ დანაშაულის სამიზნეები გახდნენ სექსუალური ორიენტაციის გამო. მოწმის აღქმით, თავდასხმას შეიძლება ჰომოფობიური სახე ჰქონოდა.

სხვა მოტივის არარსებობა: შეიძლება სხვა მოტივები არ არსებობდეს (არაპროვოცირებული თავდასხმა ან არაფერი იყოს მოპარული და ა.შ.).

სიძულვილით მოტივირებული ჯგუფის წევრობა: ეჭვმიტანილი, თუ ის გამოვლენილია, შესაძლოა დაკავშირებული იყოს სიძულვილით მოტივირებულ ჯგუფებთან. თავდასხმის შესახებ შეიძლება პოსტები გამოქვეყნდეს სოციალურ მედიაში.

დანაშაულის ბუნება/სიხშირე: მსგავსი თავდასხმები ადრეც მომხდარა ამ უბანში? ეს თავდასხმა იმავე ბუნების იყო?

დ) ეს თავდასხმა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია?

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, შეუწყნარებლობის მოტივით.

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის ინდიკატორები

გამოიყენეთ დარჩენილი დრო შეუწყნარებლობის ზოგიერთი ინდიკატორის განსახილ-ველად, რომლებიც პოლიციის გამომძიებლებისთვის უზრუნველყოფს ჰომოფობიური/ ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებებს:

დაზარალებულის ან მოწმის აღქმა

კომენტარები, წერილობითი ჩვენებები და ჟესტები

ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ან მათი წევრების მონაწილეობა

დრო და ადგილი

წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება და სიხშირე

ძალადობის ბუნება

სხვა მოტივების არარსებობა

დასარიგებელი მასალა 4.4(ბ): დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები: ჰომოფობიური და ტრანსფობიური

განმარტების შესაბამისად, ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არის შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირების მიმართ. „ლგბტ პირებისადმი დისკრიმინაციული მოტივი“ ნიშნავს, რომ დამნაშავემ პირი სამიზნედ აირჩია მისი ფაქტობრივი ან აღქმული სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე. სამიზნე შეიძლება იყოს ლგბტ თემთან სწორად/არასწორად ასოცირებული პირი ან ქონებაც.

ძალზე მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების გამოვლენა, რომელიც განაპირობებს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს. ეს ხელს შეუწყობს შესაბამის ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებაში – გამოიძიონ თუ არა საქმე, როგორც შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ.

ქვემოთ ჩამოთვლილია შეუწყნარებელი დამოკიდებულების ინდიკატორთა არასრული სია:

მსხვერპლის ან მოწმის აღქმა:

- მსხვერპლის ან მოწმის აღქმით, ჩადენილი ქმედება მოტივირებული იყო ლგბტ პირთა მიმართ შეუწყნარებლობით? (გაითვალისწინეთ: მსხვერპლი შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლია ან უარყოფდეს, რომ ასეთ დანაშაულთან აქვთ საქმე, რადგან არ მიეკუთვნება ლგბტ ჯგუფს; ასევე, არ ფლობდეს საკმარის ინფორმაციას ამგვარ დანაშაულზე და ვერ არქმევდეს სახელს ანდა თავიდან ირიდებდეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას პოლიციის ან მესამე პირისთვის). როგორც წესი, მსხვერპლის ან მოწმის აღქმა პირდაპირ განსაზღვრავს დანაშაულის კონკრეტულ მოტივს, რადგან ის ეფუძნება დაზარალებულის პირად გამოცდილებას, თავდასხმის გარემოებებს და სხვა ფაქტორებს.
- საზოგადოების დიდი ნაწილი დანაშაულის ადგილას მიიჩნევს, რომ ინციდენტი მოტივირებული იყო შეუწყნარებლობით.
- დანაშაულის დროს მსხვერპლი იმავე სქესის პარტნიორთან ერთად იყო? ისინი ხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ ან ერთმანეთს კოცნიდნენ? ხომ არ იყო გამოსახული მათ ტანსაცმელზე ან აქსესუარებზე ლგბტ თემისთვის მნიშვნელოვანი სიმბოლიკა (ცისარტყელა/ვარდისფერი ან შავი სამკუთხედი)?
- მსხვერპლი ინციდენტის დროს ლგბტ პირთა უფლებებს იცავდა ან მათთვის აქტუალურ საკითხებზე საუბრობდა?
- მსხვერპლი აღქმული იყო, როგორც ლგბ ან ტრანსგენდერთა ჯგუფის წევრი მისი ტანსაცმლის ან ქცევის სტერეოტიპულად აღქმის გამო?
- მსხვერპლი არის საზოგადო მოღვაწე, რომელიც ღიად ლგბტ ჯგუფის წევრი ან მათი უფლებების მხარდამჭერია? (ის შეიძლება იყოს ჰეტეროსექსუალი, მაგრამ მხარს უჭერდეს ლგბტ მიზნებს)

კომენტარები, წერილობითი ჩვენებები და ჟესტები

- შესაძლო დანაშაულის ჩადენისას სავარაუდო დამნაშავე ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ენას ან ტერმინოლოგიას იყენებდა?

- სავარაუდო დამნაშავე მიუთითებდა მსხვერპლის სავარაუდო სექსუალურ ორიენტაციაზე, გენდერულ იდენტობასა ან გამოხატვაზე?
- სავარაუდო დამნაშავემ ჰომოფობიური ან ტრანსფობიური განცხადებები დაწერა ან წერილობით საუბრობდა სავარაუდო სექსუალურ ორიენტაციაზე/გენდერულ იდენტობაზე (ვთქვათ, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ წერილში/წერილში/სოციალურ ქსელში)?
- სავარაუდო დამნაშავე იყენებდა ჟესტებს, რომლებიც აშკარად გამოხატავდა მტრობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე?
- დანაშაულის/შემთხვევის ადგილას იყო ჰომოფობიური/ტრანსფობიური წარწერები კედელზე?

ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ან მათი წევრების მონაწილეობა

- სავარაუდო დამნაშავემ გამოავლინა თავი ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფის წევრად?
- სავარაუდო დამნაშავე თავისი ტანსაცმლით ან ტატუირების მეშვეობით ახდენდა დემონსტრირებას, რომ ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფის წევრია?
- სავარაუდო დამნაშავემ გამოავლინა თავი სიძულვილის ონლაინჯგუფის ან მედიაპლატფორმის წევრად?
- სავარაუდო დამნაშავე ცნობილია, როგორც პირი, რომელიც სიძულვილის ენას იყენებს საჯაროდ ან ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ განცხადებებს/კომენტარებს აკეთებს (წერილობით ან ზეპირად)?
- სიძულვილით მოტივირებულმა ჯგუფმა აიღო პასუხისმგებლობა თავდასხმაზე?
- სავარაუდო დამნაშავის კრიმინალური ისტორია (მაგ.: ის რომელიმე ქსენოფობიური ან ჰომოფობიური ჯგუფის წევრია).
- სავარაუდო დამნაშავის საჯარო გამოსვლები (მაგ.: მისი აქტივობა სოციალურ ქსელებში, სადაც ასახულია უარყოფითი განწყობა უმცირესობის მიმართ).

დრო და ადგილი

- თავდასხმა მოხდა ლგბტ პირთა დიდი ღონისძიების დროს (მაგ.: ლგბტ თემის მიერ ორგანიზებული საჯარო მანიფესტაცია, პრაიდი, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დღე (IDAHOT))?
- თავდასხმა მოხდა ლგბტ პირებისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენებისას (მიღებულია კანონი ქორწინებისა და თანასწორობის შესახებ, ქალაქში გაიხსნა ახალი ლგბტ ბარი, ჩატარდა კონფერენცია ან პირველი გეი პრაიდი)?
- სავარაუდო დანაშაული მოხდა ლგბტ თემის ოფისთან/ბართან/ცენტრთან ახლოს?
- სავარაუდო დანაშაული მოხდა ისეთ ადგილას, რომელიც ცნობილია, როგორც ლგბ ან ტრანსგენდერ პირთა შეხვედრის ადგილი?
- სავარაუდო დანაშაული მოხდა სექსმუშაკთა (გეი, მსმ და ტრანსგენდერ სექსმუშაკთა) სამუშაო სივრცეში ან მის მიმდებარედ? ინციდენტი მოხდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც ექსტრემისტული/სიძულვილის ჯგუფები იკრიბებიან?

- ადგილი ისტორიულად ლგბტ პირთა შეხვედრის ადგილი იყო, თუმცა კი იქ აღარ იკრიბებიან?
- კონკრეტულ ადგილას ერთი და იგივე დანაშაული რამდენჯერმე მოხდა?

წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება და სიხშირე

- სავარაუდო დანაშაული მოხდა იმავე ადგილას/დროს, სადაც/როცა განვითარდა წინა მოვლენები?
- გამოიკვეთა უმცირესობათა ჯგუფის წევრების მიმართ მსგავსი დანაშაულის/ კედლის წარწერების/ძალადობის ტენდენცია?
- სავარაუდო დამნაშავეს მანამდე ჩაუდენია მსგავსი დანაშაული?

ძალადობის ბუნება

- ძალადობის/სისასტიკის ან სექსუალური ძალადობის უჩვეულოდ მაღალი დონე შეუსაბამო იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე?
- ძალადობა კონცენტრირებული იყო გენიტალიებსა ან სასქესო ორგანოებზე?

კავშირი მოძალადესა და მსხვერპლს შორის

- მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ხშირად უცხო ადამიანები სჩადიან, ასეთი შემთხვევა შეიძლება მოხდეს იმ პირებს შორისაც, რომლებიც ერთმანეთს იცნობენ (მაგ.: მეგობრის, ახლობლის, ნათესავის, ოჯახის წევრის მხრიდან, რომელმაც შეიტყო პირის რეალური ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ და ჩაიდინა დანაშაული მის წინააღმდეგ).

სხვა მოტივის არარსებობა

- თავდამსხმელს არ ჰქონდა რაიმე ფინანსური ან სხვა მოტივი დანაშაულის ჩადენისას (მაგ.: თავდასხმისას არ მომხდარა ქურდობა ან ყაჩაღობა)?

აქტივობა 4.5: მტკიცებულებების შეგროვება: დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორები – ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენა (30 წუთი)

აქტივობა გულისხმობს წაკითხვას, დისკუსიებს მცირე ჯგუფებში და პლენარულ სესიაზე დისკუსიას ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
დასარიგებელი მასალა 4.5(ა) და 4.5(ბ)

1. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად. დარწმუნდით, რომ ადამიანები, რომლებიც ერთად მუშაობენ, სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდნენ (თუ შესაძლებელია, დაიცავით სათანადო გენდერული თანაფარდობა).
2. მიაწოდეთ მონაწილეებს დასარიგებელი მასალა 4.5(ა) და სთხოვეთ, მისდიონ მითითებებს. მიეცით ჯგუფებს 10-15 წუთი სცენარის გასაცნობად. შემდეგ მათ უნდა განსაზღვრონ:
   ა) ჩადენილია თუ არა დანაშაული;
   ბ) დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები წერილობით სცენარში;
   გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა ეძებოს პოლიციამ;
   დ) იყო თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.
3. მონაწილეებმა ჯგუფებში უნდა განიხილონ თითოეულ სცენართან დაკავშირებული დასკვნები, 4.5(ბ) დასარიგებელი მასალის გამოყენებით. ჩაინიშნონ ჯგუფის მიერ გამოვლენილი დამატებითი შეუწყნარებლობის ინდიკატორები, რომლებიც დასარიგებელ მასალაში არ არის ასახული.

დასარიგებელი მასალა 4.5(ა): დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების იდენტიფიცირება (30 წუთი)

სცენარი 1:

თბილისის ერთ-ერთი რესტორნიდან ღამის საათებში სამი ტრანსგენდერი ქალი გამოვიდა. მათ ერთ-ერთი კომპანიიდან ტაქსი გამოიძახეს. ტელეფონით კომპანიას დანიშნულების ადგილსა და მგზავრობის საფასურზე შეუთანხმდნენ. მძღოლი ადგილზე მივიდა და ისინი ჩასხდნენ ტაქსიში, თუმცა მძღოლმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით, სამივე მათგანი მანქანიდან გადმოათრია, ერთ-ერთ ტრანსგენდერ ქალს შეაფურთხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა (რა დროსაც ტრანსგენდერმა ქალმა განიცადა ტკივილი), ამასთანავე მიაძახა, რომ მათნაირებს თავის მანქანაში არ ჩასვამდა, მისამართზე კი საერთოდ არ გამოცხადდებოდა, რომ სცოდნოდა, იქ „კუკლები"დახვდებოდნენ.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

სცენარი 2:

გეი კაცს, რომელსაც გრძელი თმა აქვს, ფერადი ტანსაცმელი აცვია და ოქროს საყურე უკეთია, დღის საათებში სამსახურისკენ მიმავალს დაედევნა სამი კაცი, რომლებიც ეკითხებოდნენ, კაცი იყო თუ ქალი. მოძალადეებმა შეაჩერეს და ერთ-ერთმა უთხრა, რომ „პედერასტისთვის" ოქროს საყურე ზედმეტია, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩამოგლიჯეს საყურე და გაიქცნენ. მსხვერპლი მივიდა პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა ამ ფაქტის შესახებ.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

სცენარი 3:

თბილისის ერთ-ერთ უბანში, ე.წ. იტალიურ ეზოში, ტრანსგენდერმა ქალმა იქირავა ბინა. მალევე, როდესაც მეზობლებმა გაიგეს ახალი მეზობლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, საცხოვრებელი ბინის ფანჯრებს ქვებს ესროდნენ, პირის მისამართით ტრანსფობიურ ტერმინებს იყენებდნენ და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ, თუ დაუყოვნებლივ არ დატოვებდა მათ საცხოვრებელ ტერიტორიას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მან საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

სცენარი 4:

გიორგისა და კახას პარტნიორული ურთიერთობა აქვთ. ისინი ღამის კლუბს ესტუმრნენ. კლუბში შესვლის შემდეგ მათ ერთმანეთს აკოცეს, რა დროსაც დაცვის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ გეი წყვილი იყო. ერთ-ერთი მათგანი მიუახლოვდა წყვილს და უთხრა, რომ კლუბი დაეტოვებინათ, რადგან მათი ყურება სხვა სტუმრებისთვის სასიამოვნო არ იქნებოდა. გიორგიმ და კახამ უარი განაცხადეს კლუბის დატოვებაზე. დაცვასთან საუბრისას კლუბში მყოფმა რამდენიმე კაცმა ყურადღება მიაქცია მათ დიალოგს. როდესაც ცნობილი გახდა მიზეზი, ორი კაცი მოულოდნელად მიუახლოვდა მათ და დაემუქრა, რომ თუ „ქათმები“ ახლავე არ დატოვებდნენ კლუბის ტერიტორიას, სულ „ცემა-ტყეპით“ გაათრევდნენ ქუჩაში და სახალხოდ და სამაგალითოდ დასჯიდნენ; ამასთანავე, ერთ-ერთმა მათგანმა კახას ყური აუწია და საჯდომზე მსუბუქად დაარტყა დანა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

სცენარი 5:

თბილისში ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის შენობის წინ აქცია გამართეს ულტრანაციონალისტური და რელიგიური გაერთიანების წევრებმა და აპროტესტებდნენ საქართველოში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონმდებლობის მიღებას, კერძოდ, კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ისინი აცხადებდნენ, რომ ამ ორგანიზაციის დაკვეთა იყო აღნიშნული კანონის მიღება პარლამენტის მიერ; რომ ისინი ფინანსდებიან უცხოეთიდან და ყოველგვარ ეროვნულს გვართმევენ. აქციის დროს მათ შენიშნეს შენობიდან გამომავალი რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებსაც წითლად ჰქონდათ თმა შეღებილი და ცხვირზე პირსინგი ეკეთათ, ასევე, ცისარტყელას ფერების ტანსაცმელი ეცვათ. აქციის რამდენიმე მონაწილე მათ ფიზიკური განადგურებით დაემუქრა, ასევე, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და უწოდეს „ავადმყოფი“ და „ამორალური“ ადამიანები. გაისმოდა შეძახილი „ცოდვილებიც“. რამდენიმე აქტივისტმა გააკავა ერთ-ერთი მათგანი, ძალის გამოყენებით, სახალხოდ შემოახიეს ფერადი ტანსაცმელი და დანით შეჭრეს წითლად შეღებილი თმა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

სცენარი 6:

ელენეს შეუყვარდა თანაკურსელი მარიამი, რომელთან ერთადაც ძალიან დიდ დროს ატარებდა. ხშირად ღამითაც რჩებოდა მასთან. ერთ საღამოს, როდესაც ელენე შინ გვიან დაბრუნდა, მამამ ჩუმად ნახა მისი სატელეფონო მიმოწერა, საიდანაც ყველაფერი შეიტყო ელენეს სექსუალური ორიენტაციისა და სასიყვარულო ურთიერთობის

შესახებ. მამამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას, წაართვა მობილური ტელეფონი და ლეპტოპი, ჩაკეტა ოთახში და არ აძლევდა გამოსვლის უფლებას, ვიდრე ნორმალურ ცხოვრებას არ დაუბრუნდებოდა და არ დაივიწყებდა გარყვნილებას.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული;
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები;
გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

დასარიგებელი მასალა 4.5(ბ): დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორების იდენტიფიცირება (30 წუთი)

სცენარი 1:

თბილისის ერთ-ერთი რესტორნიდან ღამის საათებში სამი ტრანსგენდერი ქალი გამოვიდა. მათ ერთ-ერთი კომპანიიდან ტაქსი გამოიძახეს. ტელეფონით კომპანიას დანიშნულების ადგილსა და მგზავრობის საფასურზე შეუთანხმდნენ. მძღოლი ადგილზე მივიდა და ისინი ჩასხდნენ ტაქსიში, თუმცა მძღოლმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით, სამივე მათგანი მანქანიდან გადმოათრია, ერთ-ერთ ტრანსგენდერ ქალს შეაფურთხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა (რა დროსაც ტრანსგენდერმა ქალმა განიცადა ტკივილი), ამასთანავე მიაძახა, რომ მათნაირებს თავის მანქანაში არ ჩასვამდა, მისამართზე კი საერთოდ არ გამოცხადდებოდა, რომ სცოდნოდა, იქ „კუკლები“ დახვდებოდნენ.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული; (დიახ – ძალადობა).

ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები.

დაზარალებულის ან მოწმის აღქმა – მსხვერპლი ტრანსგენდერია; მსხვერპლს მიაჩნია, რომ ეს ტრანსფობიით მოტივირებული თავდასხმა იყო; ფიზიკური შეურაცხყოფის მოტივი გახლდათ ლგბტ პირთა მიმართ შეუწყნარებლობა.
კომენტარები: დამნაშავის მიერ მსხვერპლის მოხსენიება „კუკლებად“.
ძალადობის ბუნება: შეფურთხება მიუთითებს ძლიერ ზიზღზე.

სხვა მოტივების არარსებობა: დამნაშავე და მსხვერპლი ერთმანეთს არ იცნობდნენ.

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
ადგილი: რესტორანი, საიდანაც მსხვერპლი მიდიოდა, არის თუ არა ლგბტ პირთა თავშეყრის ადგილი; ცნობილია, რომ ლგბტ პირები ამ ტერიტორიაზე ხშირად არიან?
დანაშაულის ტენდენცია: ხომ არ მიუთითებს პოლიციის ჩანაწერები სხვა მსგავს ინციდენტებზე, რომლებიც წარსულში მოხდა ამ ტერიტორიაზე?
მოწმის აღქმა: ხომ არ შესწრებიან აღნიშნულ ფაქტს მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ სავარაუდო დამნაშავის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებასა და შეუწყნარებლობას.

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

სცენარი 2:

გეი კაცს, რომელსაც გრძელი თმა აქვს, ფერადი ტანსაცმელი აცვია და ოქროს საყურე უკეთია, დღის საათებში სამსახურისკენ მიმავალს, დაედევნა სამი კაცი, რომლებიც ეკითხებოდნენ, კაცი იყო თუ ქალი. მოძალადეებმა შეაჩერეს და ერთ-ერთმა უთხრა, რომ „პედერასტისთვის“ ოქროს საყურე ზედმეტია, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩამოგლიჯეს საყურე და გაიქცნენ. მსხვერპლი მივიდა პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა ამ ფაქტის შესახებ.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული; (დიახ – ძარცვა).
ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები.

დაზარალებულის/მოწმის აღქმა: დაზარალებული გეი კაცია, რომელსაც ეცვა ფერადი ტანსაცმელი და ჰქონდა გრძელი თმა, რაც, მისი თქმით, მიუთითებდა გეიების ჯგუფისადმი კუთვნილებაზე.
ხომ არ შესწრებიან ამ ფაქტს მოწმეები, რომელთა აღქმითაც, თავდასხმის მოტივი იყო ლგბტ პირთა მიმართ შეუწყნარებლობა?
კომენტარები: თავდასხმის დროს გამოყენებული იყო ტერმინი „პედერასტი“.

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
სიძულვილით მოტივირებულ ჯგუფებში ჩართულობა: არსებობს რაიმე მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს დამნაშავეთა ჩართულობაზე სიძულვილით მოტივირებულ ჯგუფებში? ხომ არ გამოავლინა დამნაშავემ თავი ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფის წევრად?
ადგილი: ხომ არ ხდება მსგავსი თავდასხმები ამ ტერიტორიებზე.
მოწმის აღქმა: ხომ არ შესწრებიან აღნიშნულ ფაქტს მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ სავარაუდო დამნაშავის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებასა და შეუწყნარებლობას.

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

სცენარი 3:

თბილისის ერთ-ერთ უბანში, ე.წ. იტალიურ ეზოში, ტრანსგენდერმა ქალმა იქირავა ბინა. მალევე, როდესაც მეზობლებმა გაიგეს ახალი მეზობლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, საცხოვრებელი ბინის ფანჯრებს ქვებს ესროდნენ, პირის მისამართით ტრანსფობიურ ტერმინებს იყენებდნენ და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ, თუ დაუყოვნებლივ არ დატოვებდა მათ საცხოვრებელ ტერიტორიას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მან საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული; (დიახ – მუქარა).

ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაზარალებულის ან მოწმის აღქმა: მსხვერპლი ტრანსგენდერი ქალია.
კომენტარები: სავარაუდო დამნაშავეები ღიად აფიქსირებდნენ უარყოფით დამოკიდებულებას ტრანსგენდერი პირის მიმართ, იყენებდნენ ტრანსფობიურ ტერმინებს.
სხვა მოტივის არარსებობა: თავდამსხმელებს არ ჰქონდათ რაიმე ფინანსური ან სხვა მოტივი დანაშაულის ჩადენისას.

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?
სიძულვილით მოტივირებულ ჯგუფებში მონაწილეობა: სიძულვილით მოტივირებულმა ჯგუფმა აიღო პასუხისმგებლობა თავდასხმაზე? ხომ არ ყოფილა რომელიმე მათგანი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენი დაჯგუფების წევრი?

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

სცენარი 4:

გიორგისა და კახას პარტნიორული ურთიერთობა აქვთ. ისინი ღამის კლუბს ესტუმრნენ. კლუბში შესვლის შემდეგ მათ ერთმანეთს აკოცეს, რა დროსაც დაცვის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ გეი წყვილი იყო. ერთ-ერთი მათგანი მიუახლოვდა წყვილს და უთხრა, რომ კლუბი დაეტოვებინათ, რადგან მათი ყურება სხვა სტუმრებისთვის სასიამოვნო არ იქნებოდა. გიორგიმ და კახამ უარი განაცხადეს კლუბის დატოვებაზე. დაცვასთან საუბრისას კლუბში მყოფმა რამდენიმე კაცმა ყურადღება მიაქცია მათ დიალოგს. როდესაც ცნობილი გახდა მიზეზი, ორი კაცი მოულოდნელად მიუახლოვდა მათ და დაემუქრა, რომ თუ „ქათმები“ ახლავე არ დატოვებდნენ კლუბის ტერიტორიას, სულ „ცემა-ტყეპით“ გაათრევდნენ ქუჩაში და სახალხოდ და სამაგალითოდ დასჯიდნენ; ამასთანავე, ერთ-ერთმა მათგანმა კახას ყური აუწია და საჯდომზე მსუბუქად დაარტყა დანა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული; (დიახ – ჯანმრთელობის დაზიანება (ხარისხის გათვალისწინებით)).

ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები.

დაზარალებულის ან მოწმის აღქმა – დაზარალებულები არიან გეიები; სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს მსხვერპლი იმავე სქესის პარტნიორთან ერთად იყო; ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ.

მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ ფაქტებს.

კომენტარები: თავდასხმისას გამოყენებული იყო ტერმინი „ქათმები“.

ძალადობის ბუნება: თავდამსხმელის მხრიდან ძალადობა კონცენტრირებული იყო მსხვერპლის სხეულის კონკრეტულ ნაწილზე, კერძოდ, მან საჯდომზე დაარტყა დანა.

სხვა მოტივების არარსებობა: სავარაუდო დამნაშავე და მსხვერპლი ერთმანეთს არ იცნობდნენ.

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?

წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება და სიხშირე: სავარაუდო დამნაშავეს მანამდე ჩაუდენია მსგავსი დანაშაული?

ადგილი: ხომ არ ხდება მსგავსი ინციდენტები ამ ღამის კლუბში? ხდება თუ არა კონკრეტულ ადგილას ერთი და იგივე დანაშაული?

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

სცენარი 5:

თბილისში ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის შენობის წინ აქცია გამართეს ულტრანაციონალისტური და რელიგიური გაერთიანების წევრებმა და აპროტესტებდნენ საქართველოში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონმდებლობის მიღებას, კერძოდ, კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ისინი აცხადებდნენ, რომ ამ ორგანიზაციის დაკვეთა იყო აღნიშნული კანონის მიღება პარლამენტის მიერ; რომ ისინი ფინანსდებიან უცხოეთიდან და ყოველგვარ ეროვნულს გვართმევენ. აქციის დროს მათ შენიშნეს შენობიდან გამომავალი რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებსაც წითლად ჰქონდათ თმა შეღებილი და ცხვირზე პირსინგი ეკეთათ, ასევე, ცისარტყელას

ფერების ტანსაცმელი ეცვათ. აქციის რამდენიმე მონაწილე მათ ფიზიკური განადგურებით დაემუქრა, ასევე, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და უწოდეს „ავადმყოფი“ და „ამორალური“ ადამიანები. გაისმოდა შეძახილი „ცოდვილებიც“. რამდენიმე აქტივისტმა გააკავა ერთ-ერთი მათგანი, ძალის გამოყენებით, სახალხოდ შემოახიეს ფერადი ტანსაცმელი და დანით შეჭრეს წითლად შეღებილი თმა.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული? (დიახ – მუქარა და დამამცირებელი მოპყრობა).

ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაზარალებულის ან მოწმის აღქმა – დაზარალებულები არიან გეიები, რომლებმაც აღნიშნულ ორგანიზაციას მიმართეს თავიანთი უფლებების დასაცავად. მათი ჩაცმულობა, თმა, პირსინგი მიუთითებდა კუთვნილებას ლგბტ ჯგუფისადმი.

კომენტარები: „ავადმყოფი“ და „ამორალური“ ადამიანები, ასევე გაისმოდა შეძახილი „ცოდვილები“.

დრო და ადგილი: თავდასხმა მოხდა ლგბტ პირებისათვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენებისას (დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონმდებლობის მიღების დროს), უფლებადამცველი ორგანიზაციის შენობის მიმდებარედ.

ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ან მათი წევრების მონაწილეობა – სავარაუდო დამნაშავეები ცნობილნი არიან, როგორც პირები, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ საჯაროდ ან ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ განცხადებებს და კომენტარებს აკეთებენ (წერილობით ან ზეპირად)?

სავარაუდო დამნაშავეების საჯარო გამოსვლები (მაგ.: მათი აქტივობები სოციალურ ქსელებში, სადაც ასახულია უარყოფითი განწყობა უმცირესობის მიმართ);

ძალადობის ბუნება: განსაკუთრებულად დამამცირებელი გარემოს შექმნა, სახალხოდ ფერადი ტანსაცმელის შემოხევა და დანით თმით შეჭრა.

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?

წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება და სიხშირე: სავარაუდო დამნაშავეებს მანამდე ჩაუდენიათ მსგავსი დანაშაული?

სხვა მოტივების არარსებობა: თავდამსხმელებს არ ჰქონდათ რაიმე ფინანსური ან სხვა მოტივი დანაშაულის ჩადენისას.

არსებობს მსგავსი შემთხვევა სხვა პირების მიმართ, რომელიც ამ თავდასხმას უფრო უკეთ ხსნის?

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

სცენარი 6:

ელენეს შეუყვარდა თანაკურსელი მარიამი, რომელთან ერთადაც ძალიან დიდ დროს ატარებდა. ხშირად მასთან ღამითაც რჩებოდა. ერთ საღამოს, როდესაც ელენე შინ გვიან დაბრუნდა, მამამ ჩუმად ნახა მისი სატელეფონო მიმოწერა, საიდანაც ყველაფერი შეიტყო ელენეს სექსუალური ორიენტაციისა და სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. მამამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ელენეს, წაართვა მობილური ტელეფონი და ლეპტოპი, ჩაკეტა ოთახში და არ აძლევდა გამოსვლის უფლებას, ვიდრე ნორმალურ ცხოვრებას არ დაუბრუნდებოდა და არ დაივიწყებდა ამ გარყვნილებას.

ა) დაადგინეთ, მოხდა თუ არა დანაშაული? (დიახ – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა სექსუალური ორიენტაციის გამო).

ბ) სცენარში გამოავლინეთ დისკრიმინაციული მოტივის მტკიცებულებები.

დაზარალებულის ან მოწმის აღქმა: დაზარალებული არის ლესბოსელი.

კომენტარები: მამის მხრიდან კომენტარები ნორმალური ცხოვრების დაწყების და გარყვნილების დავიწყებასთან დაკავშირებით.

კავშირი მოძალადესა და მსხვერპლს შორის: მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ხშირად უცხო ადამიანები სჩადიან, ასეთი შემთხვევა შეიძლება მოხდეს იმ პირთა შორისაც, რომლებიც ერთმანეთს იცნობენ (მაგ.: მეგობრის, ახლობლის, ნათესავის, ოჯახის წევრის მხრიდან, რომელმაც შეიტყო პირის რეალური ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ და ჩაიდინა დანაშაული მის წინააღმდეგ).

გ) კიდევ რა მტკიცებულებები უნდა მოიძიოს პოლიციამ?

ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ან მათი წევრების მონაწილეობა: სავარაუდო დამნაშავის საჯარო გამოსვლები (მაგ.: მისი აქტივობა სოციალურ ქსელებში, სადაც ასახულია უარყოფითი განწყობა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მიმართ).

წინა დანაშაულის ან ინციდენტების ბუნება და სიხშირე: სავარაუდო დამნაშავეს მანამდე ჩაუდენია მსგავსი დანაშაული?

დ) დაადგინეთ, არის თუ არა ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ა) და (ბ) პუნქტებზე დაყრდნობით.

ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, რადგან მასში ერთობლივად წარმოდგენილია სისხლის სამართლის დანაშაული და შეუწყნარებლობის მოტივი.

აქტივობა 4.6(ა): ნდობის მნიშვნელობა: პოლიციის მხრიდან რეაგირება და ლგბტ თემები (30 წუთი)

აქტივობა მოიცავს წაკითხვას და დისკუსიას პლენარულ სესიაზე, ფასილიტატორის დახმარებით.

საჭირო მასალები:
დასარიგებელი მასალა 4.6

1. წაიკითხეთ ორი მაგალითი, რომლებიც ასახულია დასარიგებელ მასალაში 4.6.
2. სთხოვეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ტრენინგს ესწრებიან, განიხილონ დასარიგებელ მასალაში ასახული საკითხები.
3. ჰკითხეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ტრენინგს ესწრებიან, მათი აზრით, რა ხარისხით არსებობს ნდობა ლგბტ თემსა და პოლიციას შორის მათი მუშაობის სფეროებში?
4. ჰკითხეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ტრენინგს ესწრებიან, რა მოხდება, თუ ასეთი ინციდენტები მათ ქალაქში დაფიქსირდება მომავალ კვირას?
5. ჰკითხეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ტრენინგს ესწრებიან, მათი აზრით, რისი გაკეთება შეუძლიათ ინდივიდუალურად ან ზოგადად პოლიციის ნდობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: შეიძლება არსებობდეს უფრო რელევანტური ადგილობრივი/ბოლოდროინდელი ინციდენტების მაგალითები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოყვანილი მაგალითების ნაცვლად.

დასარიგებელი მასალა 4.6: ნდობის მნიშვნელობა – პოლიციის რეაგირება ლგბტ თემების პრობლემებზე

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე და წარმოგვიდგენს პოლიციის ორ სრულიად განსხვავებულ რეაგირებას ლგბტ პირთა მიმართ დანაშაულებზე. მაგალითები შეჯამებულია საკვანძო სასწავლო ასპექტებზე ყურადღების გასამახვილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტები სხვადასხვა პერიოდსა და ქვეყანაში მოხდა, ეს გამოცდილებები აქტუალურია.

აქ მთავარია ცნობიერების ამაღლება იმაზე, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანად გამოძიების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც პოზიტიური ურთიერთობებია ლგბტ თემსა და პოლიციას შორის.

პოლიციის ქმედებები, რომლებიც ემსახურება ნდობის განმტკიცებას, ორი თვალსაზრისით უწყობს ხელს ქმედითი საპოლიციო ზომების განხორციელებას:

- პირველ რიგში, მათ შეუძლიათ შეაგროვონ და აწარმოონ მონაცემები და სადაზვერვო ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც პრაქტიულად იმოქმედებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.
- მეორეც, მათ შეუძლიათ შექმნან ისეთი გარემო, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ადამიანებს ჰქონდეთ მზადყოფნა, მიმართონ პოლიციას და განაცხადონ ინციდენტზე (როგორც დაზარალებულებმა ან მოწმეებმა), დანაშაულის მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ საქმეებს და განიხილეთ სადისკუსიო საკითხები.

საქმე A) გეი კაცის მკვლელობა

ცნობილი გეი კაცი ქალაქის ცენტრში არსებულ რამდენიმე ბარში ერთობოდა. ბოლო ბარის დატოვების შემდეგ, ის შინ წავიდა კაცთან ერთად, რომელსაც იმ ღამით შეხვდა. მეორე დღეს ის თავისი სახლის სასადილო ოთახში იპოვეს გარდაცვლილი, კისერზე და გულმკერდში დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით.

პოლიციამ დაიწყო გამოძიება, რომლის ფარგლებშიც ქალაქში მცხოვრები გეი კაცების მონაცემთა ბაზა შეიმუშავა. გეი კაცებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ქალაქის ცენტრალურ პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებულიყვნენ ფოტოსურათების გადასაღებად და თითის ანაბეჭდების ასაღებად. ბევრი ანგარიში დაიწერა გეი მამაკაცების დაშინებაზე პოლიციელთა მხრიდან, რათა ეიძულებინათ პოლიციის განყოფილებაში მისვლა. გამოძიების ფარგლებში, დაახლოებით, 1,500 გეი კაცი გამოიკითხა. მათ სურათები გადაუღეს და თითის ანაბეჭდები აუღეს.

ქალაქში მცხოვრებ გეიებზე ინფორმაციის შეგროვება შეჩერდა, როდესაც ამ სათემო ჯგუფებმა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ ამ თემის წარმომადგენელები გამოძიების პროცესს მხარს არ უჭერდნენ. საქმე არ გახსნილა.

საქმე B) ბომბის აფეთქება ლგბტ პირთა შეხვედრის ადგილას

მემარჯვენე ექსტრემისტებმა ლურსმნებით სავსე ხელნაკეთი ბომბი ააფეთქეს ლგბტ პირთა ბარში. აფეთქების შედეგად 3 ადამიანი გარდაიცვალა და 70 დაიჭრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლგბტ ჯგუფების მიერ ღია ცის ქვეშ ორგანიზებულ ღონისძიებას ადგილობრივი პოლიციის უფროსი დაესწრო და ამ თემს მიმართა. მან განაცხადა, რომ ქუჩაზე, სადაც აფეთქება მოხდა, მობილური პოლიციის დანაყოფს განათავსებდა, რომელიც ამ ტერიტორიაზე დარჩებოდა გამოძიების დასრულებამდე.

პოლიციის მიკროავტობუსი დაკომპლექტებული იყო ღიად ლგბტ პოლიციის თანამშრომლებით. ბევრი ლგბტ პირი თავად გამოცხადდა მობილური პოლიციის დანაყოფის მიკროავტობუსში ჩვენებების მისაცემად.

ჯგუფური დისკუსია:

საქმე A) გეი კაცის მკვლელობა

- რას მოიმოქმედებთ, თუ ზემოხსენებული საქმის მსგავს გამოძიებაზე იქნებით პასუხისმგებელი?
- რა ძირითადი ფუნქცია ჰქონდა ამ საქმეში პოლიციას?
- რა ზეგავლენა მოახდინა პოლიციის მიდგომამ ლგბტ თემსა და მის წევრებზე?
- რა ზეგავლენა მოახდინა პოლიციის მიდგომამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე?
- თუ მსგავსი მკვლელობა მოხდება თქვენს ქალაქში მომდევნო კვირას, ლგბტ მოწმეები ხელმისაწვდომნი იქნებიან თქვენთვის? გამოეხმაურებოდნენ ისინი პოლიციის საჯარო მოწოდებას განყოფილებაში გამოცხადებასა და ინფორმაციის მიწოდებაზე?

საქმე B) ბომბის აფეთქება ლგბტ პირთა შეხვედრის ადგილას

- რას მოიმოქმედებთ, თუ ზემოხსენებული საქმის მსგავს გამოძიებაზე იქნებით პასუხისმგებელი?
- რა ძირითადი ფუნქცია ჰქონდა ამ საქმეში პოლიციას?
- რა ზეგავლენა მოახდინა პოლიციის მიდგომამ ლგბტ თემსა და მის წევრებზე?
- რა ზეგავლენა მოახდინა პოლიციის მიდგომამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე?
- თუ მსგავსი მკვლელობა მოხდება თქვენს ქალაქში მომდევნო კვირას, ლგბტ მოწმეები ხელმისაწვდომნი იქნებიან თქვენთვის? გამოეხმაურებოდნენ ისინი პოლიციის საჯარო მოწოდებას განყოფილებაში გამოცხადებასა და ინფორმაციის მიწოდებაზე?

ზოგადი სადისკუსიო საკითხი:

- თუ მოწმეები ღელავენ პოლიციისთვის მტკიცებულებათა წარდგენასთან დაკავშირებით, რისი გაკეთება შეუძლია პოლიციას ლგბტ თემის ნდობის მოსაპოვებლად?

აქტივობა 4.7: ლგბტ თემების მხარდაჭერა: პოლიციის ეფექტიანი რეაგირება (15 წუთი ყოველ მაგალითზე)

ეს აქტივობა მოიცავს მოკლე მასალის წაკითხვას და მცირე ჯგუფებში კონკრეტული საკითხების განხილვას, რასაც მოჰყვება პრეზენტაცია და დისკუსია პლენარულ სესიაზე. ყველა სცენარი აღებულია რეალური ცხოვრებიდან და ასახავს პოლიციასა და ლგბტ თემს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებულ სიტუაციებს.

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: ქვემოთ მოყვანილი მაგალითების გამოყენებამდე, ტრენერებმა უნდა შეისწავლონ სცენარები, რომლებშიც ჩართულნი არიან ქვეყნის ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები. უმჯობესია, ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები და სადისკუსიო საკითხები გამოყენებული იყოს სახელმძღვანელოდ და პირდაპირ არ ითარგმნოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სცენარი ისედაც შეესაბამება ადგილობრივ საჭიროებებს. შემთხვევები უნდა მომზადდეს ისეთი ფორმით, რომ აქტუალური იყოს პოლიციის თანამშრომლებისთვის (მაგ.: გამოიყენეთ ადგილობრივი სახელები, ტერიტორიები და ა. შ., რაც ამ შემთხვევებს უფრო რეალისტურს გახდის).

საჭირო მასალები:
დასარიგებელი მასალა 4.7 (ან მსგავსი საქმეები);
ქაღალდი, კალმისტრები.

1. დაყავით მონაწილეები ოთხ ჯგუფად.
2. დაავალეთ თითოეულ ჯგუფს მოკლე კაზუსის წაკითხვა.
3. დაავალეთ ჯგუფს ყოველ სცენართან დაკავშირებულ სადისკუსიო საკითხებზე პასუხის ფორმულირება.
4. ჯგუფის ერთი წევრი უნდა შეირჩეს პასუხების ჩასანიშნად.
5. პლენარულ სესიაზე მიიწვიეთ ყველა მონაწილე და განიხილეთ კაზუსები, შესაბამის საკითხებთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, ყურადღება გაამახვილეთ პოლიციის რეაგირებაზე.

დასარიგებელი მასალა 4.7: პრაქტიკული მაგალითები (კაზუსები)

პრაქტიკული მაგალითი 1 — თავდასხმა გეიების ბარში

ავთო ქალაქის ცენტრში მდებარე იურიდიული ფირმის ადვოკატია. ერთ ღამეს იგი ცენტრში მდებარე გეი კლუბში იმყოფებოდა პარტნიორთან, რეზოსთან ერთად. მათ ღამის 2 საათზე დატოვეს კლუბი ვიწრო ქუჩაზე არსებული გასასვლელიდან. გასასვლელის ბოლოს ახალგაზრდების დაჯგუფება იყო შეკრებილი. როდესაც ავთომ და რეზომ ამ ახალგაზრდების ჯგუფს ჩაუარეს, მისი წევრები თავს დაესხნენ წყვილს და ცემა დაუწყეს. ჯგუფის წევრები მათ „გეიებს“ უწოდებდნენ. როდესაც დაჯგუფებამ დაასრულა მათი ცემა, ავთო და რეზო დაბრუნდნენ კლუბის კართან, სადაც დაცვის თანამშრომელმა პირველი დახმარება გაუწია.

ავთოს პოლიციაში უნდოდა დარეკვა, მაგრამ რეზომ ამაზე უარი განაცხადა. მას ეშინოდა, რომ საქმის დეტალები გასაჯაროვდებოდა და სასამართლოში მოუხდებოდა მისვლა, რის შედეგადაც მისი კოლეგები, პოტენციური კლიენტები ან ოჯახის წევრები შეიტყობდნენ, რომ გეია. რეზომ ავთოს უთხრა:

„ეს ხანდახან ემართებათ ჩვენნაირ ადამიანებს, უბრალოდ ამასთან შეგუება გიწევს“.

პრაქტიკული მაგალითი 1 – სადისკუსიო საკითხები

- ავთომ და რეზომ უნდა შეატყობინონ პოლიციას თავდასხმის შესახებ?
- რა სასურველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს პოლიციაში გაცხადებას წყვილისთვის?
- რა სასურველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს საჩივრის წარდგენას პოლიციისთვის?
- თუ წყვილი არ შეატყობინებს პოლიციას თავდასხმის შესახებ, რა გავლენას მოახდენს ეს: ა) წყვილზე; ბ) ადგილობრივ ლგბტ საზოგადოებაზე; გ) პოლიციაზე?
- როგორ შეიძლება პოლიციამ ხელი შეუწყოს იმას, რომ ადამიანებმა განაცხადონ მსგავსი ინციდენტების შესახებ?

პრაქტიკული მაგალითი 2 (A) – საჯარო სექსის გარემო

თქვენ პატრულირებას აწარმოებთ ლისის ტბასთან. ღამის 11 საათია და ბნელა. ხეებს შორის ხედავთ მანქანას, რომლის უკანა სავარძელშიც ახალგაზრდა კაცი და ქალი არიან. ორივე წელს ქვემოთ შიშველია. ქალი ორალური სექსითაა დაკავებული კაცთან.

პრაქტიკული მაგალითი 2 (B) – საჯარო სექსის გარემო

თქვენ პატრულირებას აწარმოებთ ლისის ტბასთან. ღამის 11 საათია და ბნელა. ხეებს შორის ხედავთ მანქანას, რომლის უკანა სავარძელში ორი ახალგაზრდა კაცია. ორივე წელს ქვემოთ შიშველია. ერთ-ერთი მათგანი მეორესთან ორალური სექსით არის დაკავებული.

პრაქტიკული მაგალითი 2 – სადისკუსიო საკითხები

- ადრე გქონიათ B სცენარის მსგავსი სიტუაცია?
- როგორ მოიქცევით ასეთ ვითარებაში?
- A და B სცენარების შემთხვევაში განსხვავებულად მოიქცეოდით?

- რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ, როდესაც ირჩევთ გარკვეულ ქმედებებს ამ სცენარის შემთხვევაში?
- თუ A ან B სცენარში აღწერილ სიტუაციას წააწყდებით და გამოვლინდება, რომ ერთ-ერთი პირი სექსმუშაკია, რომელსაც სექსუალური მომსახურებისთვის თანხას უხდიან: ა) რა მოქმედებები იქნებოდა შესაბამისი? ბ) რას ითვალისწინებს კანონმდებლობა?

პრაქტიკული მაგალითი 3 – საჯარო სექსის გარემო – სექსის შეთავაზება ქუჩაში და თავდასხმა

ნიკა მსხვილი სადაზღვევო კომპანიის შუა რგოლის მენეჯერად მუშაობს. იგი დაქორწინებულია, ჰყავს სამი შვილი და ცხოვრობს პატარა ქალაქში. მისთვის ცნობილი გახდა საავტომობილო გზისპირა მოედნის შესახებ, სადაც ადამიანები ხვდებიან ანონიმური სექსუალური ურთიერთობების მიზნით. ნიკა მიდის მოედანზე და მის ახლოს მდებარე ტყიან ტერიტორიაზე მოძრაობს. იგი ხვდება კაცს და ტყეში მიჰყვება სექსუალური კავშირის დასამყარებლად. ტყეში შესვლის შემდეგ კაცი სცემს ნიკას უგონო მდგომარეობამდე, გაძარცვავს და მიაქვს მისი საფულე და ტელეფონი. ცოტა ხნის შემდეგ მას იპოვიან. დაშავებული ნიკა სასწრაფო დახმარების მანქანით გადაჰყავთ ადგილობრივ საავადმყოფოში, სადაც გონზე მოდის. საავადმყოფომ ამის შესახებ პოლიციას შეატყობინა. პოლიცია მიდის საავადმყოფოში ნიკასგან ჩვენების ასაღებად.

პრაქტიკული მაგალითი 3 – სადისკუსიო საკითხები

- როგორ მოქმედებს პოლიცია იმ ადამიანთა უფლებების დასაცავად, რომლებიც საჯარო ადგილებში არიან დაკავებულნი სექსით, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება დანაშაული იყოს?
- თუ ნიკა არ გაუმჟღავნებს პოლიციას დეტალებს მომხდარის შესახებ, რა რისკები არსებობს პირადად მისთვის და საზოგადოებისთვის? შესაძლებელია, დამნაშავემ კვლავ ჩაიდინოს დანაშაული?
- რატომ არჩევენ დამნაშავეები ადამიანების გაძარცვას და მათზე თავდასხმას ასეთ გარემოებებში?
- პირადი ცხოვრების რა საკითხებს უკავშირდება ეს შემთხვევა?

პრაქტიკული მაგალითი 4 – სკოლა – ჩაგვრა (ბულინგი) და თავდასხმა

ზვიადი 15 წლისაა და საშუალო სკოლის მოსწავლეა. იგი წყნარი ბიჭია, კარგად სწავლობს, არ მონაწილეობს არც ერთ „მასკულინურ“ სპორტულ აქტივობაში, როგორებიცაა ფეხბურთი ან რაგბი. სხვა ბიჭებს მიაჩნიათ, რომ იგი ზედმეტად ნაზია და ხშირად უწოდებენ „გეის“ (შეურაცხმყოფელ კონტექსტში), ასევე, სხვა დამამცირებელ სახელებს, რაც გულისხმობს ჰომოსექსუალობას და შეუფერებლობას „ნამდვილი კაცის“ გაგებასთან. სკოლის მოსწავლეებმა გაიგეს, რომ ზვიადი ქალაქის ცენტრში მდებარე გეიების თავშეყრის ადგილას ნახეს.

მომდევნო დღეს სპორტის გაკვეთილზე ზვიადს ძალიან სცემენ გასახდელში, რა დროსაც ჰომოფობიურ სახელებს უწოდებდნენ. მას თავი ტუალეტში ჩააყოფინეს და წყალი ჩაუშვეს. ზვიადმა იმ დღეს დატოვა სკოლა და არასდროს დაბრუნებულა.

პრაქტიკული მაგალითი 4 – სადისკუსიო საკითხები

- აღნიშნული პოლიციის საქმეა?
- სკოლაში ქცევის გაკონტროლება სკოლის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა თუ პოლიციის?
- რა ზეგავლენა აქვს უარყოფითი კონოტაციის მქონე ჰომოფობიური ტერმინების გამოყენებას სკოლაში ან საზოგადოებაში?

  როგორ შეიძლება მსგავსი ინციდენტების პრევენცია?

პრაქტიკული მაგალითი 5 – ონლაინ პაემანი და ქურდობა

ჯონი დაწყებითი სკოლის მასწავლებელია, რომელიც პატარა ქალაქში მდებარეობს. მას არ გაუმჟღავნებია თავისი ოჯახისა თუ კოლეგებისთვის, რომ გეია, რადგან მუშაობს სკოლაში, რომელსაც რელიგიური დაწესებულება მართავს. მისი მშობლები ხანდაზმულები არიან. ამიტომ ჯონმა გადაწყვიტა, რომ არ გაამჟღავნებს თავის სექსუალურ ორიენტაციას მათ გარდაცვალებამდე, რადგან ხვდება, რომ ისინი ამას ვერასდროს გაიგებენ. იგი ღელავს სკოლაში თავისი დროებითი პოზიციის გამო და შიშობს, რომ თუ დამსაქმებლები გაიგებენ მისი ორიენტაციის შესახებ, სამუშაოს დაკარგავს.

ჯონი გეიების სოციალური ქსელით სარგებლობს სხვა გეი კაცებთან შესახვედრად. ერთ საღამოს იგი თავის ონლაინ ნაცნობს, დავითს, სახლში ეპატიჟება. დავითი ღამით მასთან რჩება, მაგრამ დილით ადრე ტოვებს სახლს. გასვლამდე იგი იღებს ჯონის სამუშაო ლეპტოპს და საფულეს. ჯონმა უნდა განაცხადოს პოლიციაში, რომ ლეპტოპი მოჰპარეს.

პრაქტიკული მაგალითი 5 – სადისკუსიო საკითხები

- გაუმჟღავნებს დაზარალებული პოლიციას საქმის ფაქტებს?
- რა უნდა იცოდეს პოლიციამ საქმის ეფექტიანად გამოსაძიებლად?
- რა სასურველი შედეგი ექნება ამას დაზარალებულისათვის?
- რა სასურველი შედეგი ექნება პოლიციისთვის?
- რა დაეხმარება დაზარალებულს, რომ პოლიციისადმი ნდობა ჰქონდეს?
- შეუძლია თუ არა პოლიციას საქმეზე მუშაობა დაასრულოს დაზარალებული მხარის სექსუალური ორიენტაციის გაუმჟღავნებლად?
- ყველა სისხლის სამართლის საქმეში, რომლებსაც პოლიცია იძიებს, სასურველი შედეგია წარმატებული სისხლის სამართლებრივი დევნა?
- როგორ უნდა იმოქმედოს პოლიციამ, რომ დაზარალებულმა მხარემ არ დამალოს/შეცვალოს ფაქტები თავისი გეიობის ან ლესბოსელობის გამჟღავნების შიშით?

პრაქტიკული მაგალითი 6 – შანტაჟი

ვიკა ლესბოსელია, მაგრამ არასდროს გაუმჟღავნებია ამის შესახებ. 16 წლის წინ იგი გივის გაჰყვა ცოლად და 14 წლის შვილი ჰყავს. ქმართან არა აქვს ახლო ურთიერთობა, მაგრამ სურს ქორწინებაში დარჩენა, თავისი ვაჟიშვილის ინტერესებიდან გამომდინარე. ვიკა მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეა სახელმწიფო დეპარტამენტში.

ვიკას კოლეგამ აღმოაჩინა, რომ ლესბოსელია. იგი ემუქრება, რომ ქმარს და მენეჯერებს გაუმჟღავნებს მის სექსუალურ ორიენტაციას, თუ დიდ თანხას არ მისცემს. ვიკას უნდა, პოლიციას შეატყობინოს შანტაჟის შესახებ, მაგრამ შიშობს, რომ არ მოეკიდებიან გაგებით მის მდგომარეობას; ასევე ეშინია, რომ პოლიცია მის სიტუაციას ქმარს აცნობებს.

პრაქტიკული მაგალითი 6 – სადისკუსიო საკითხები

- ლგბტ პირები, რომლებიც მალავენ საკუთარ ორიენტაციას, უფრო ხშირად ხდებიან შანტაჟის მსხვერპლნი?
- რატომ?
- რა გავლენას მოახდენს ვიკას ცხოვრებაზე მისი ორიენტაციის გამჟღავნება?
- პირები, რომლებსაც აშანტაჟებენ, მიმართავენ პოლიციას?
- როგორ უნდა შეუწყოს პოლიციამ ხელი შანტაჟის მსხვერპლთა მიერ დანაშაულის გაცხადებას?
- რა პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციას ვიკას პირადი ცხოვრების დაცვის მხრივ?

IV მოდულის სარეფერენციო ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა დანიის ინსტიტუტი (2011), სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინსტრუმენტები: სახელმძღვანელო პოლიციისთვის.

ILGA, ანგარიშის პროექტი ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტების შესახებ.

გამოძიების ფედერალური ბიურო (2015), სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონაცემების შეგროვების სახელმძღვანელო დირექტივები და ტრენინგის სახელმძღვანელო.

პ. ფრანეი და ი. დელ აგილა (2012), ლგბტ თემების მხარდაჭერა: ინსტრუმენტები პოლიციისთვის, UCD-ის სოციალური სამართლიანობის სკოლა, G-ძალა და გეი პოლიციელების ევროპული ასოციაცია.

რ. ლოგარი და ბ. მარვანოვე ვარგოვა (2015), ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის (ევროპის საბჭო).

ძალადობასთან ბრძოლის პროგრამების ეროვნული კოალიცია და დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის ეროვნული ცენტრი (2010); რატომ არის ეს მნიშვნელოვანი: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ლესბოსელების, გეიების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ქვიარების მხარდაჭერის ახლებურად მოაზრება.

ტრანსგენდერთა თანასწორობის ეროვნული ცენტრი (2009), რეაგირება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე: თემის რესურსსახელმძღვანელო.

დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის ოფისი (2014), სექსუალური ძალადობის ტრანსგენდერ მსხვერპლთა საჭიროებებზე რეაგირება.

რ. პოლაკი და ჯ. ლე დეროფი (2010), ILGO Europe ინსტრუმენტები პოლიციის ოფიცერთა ტრენინგებისთვის ჰომოფობიურ ძალადობაზე რეაგირების საკითხების შესახებ, ILGA Europe.

რ. პოლაკი და ჯ. ლე დეროფი (2010), ძალების გაერთიანება ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით: თანამშრომლობა ევროპის პოლიციის ძალებსა და ლგბტ ორგანიზაციებს შორის, ILGA Europe.

შოტლანდიის ტრანსგენდერთა ალიანსი (2013), გენდერული იდენტობა, საბაზისო სახელმძღვანელო ტრანსგენდერ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე, www.scottishtrans.org/resources/

ბ. სტაუტი, (2010) თანასწორობა და მრავალფეროვნება საპოლიციო ზომების განხორციელებაში, Learning Matters Limited, ექსეტერი.

V მოდული: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (CSOs)

წინაპირობები და მიზანშეწონილობა

დიდი ხანია ევროპის საბჭო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოიაზრებს „ევროპის საზოგადოების მნიშვნელოვან კომპონენტად და დემოკრატიის საგულისხმო და აუცილებელ ელემენტად“.[56] რასიზმსა და ქსენოფობიასთან ბრძოლის ზომების შეფასების გარდა, საბჭო და მისი ინსტიტუტები, მათ შორის, რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ევროპული კომისია (ECRI) და ადამიანის უფლებათა კომისარი, მონიტორინგს უწევენ იმ ზომების გატარებას ეროვნულ დონეზე, რომლებიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციის აღმოფხვრას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით. ისინი სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაცემებს ეყრდნობიან, როდესაც ამზადებენ ვიზიტებს ან ანგარიშებს დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ეროვნულ დონეზე. სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეგროვებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონაცემები – ისევე, როგორც მათი შეფასებები ამ ტიპის ძალადობაზე პოლიციისა და სხვა უწყებათა რეაგირების შესახებ – ყურადღებით განიხილება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs) ხშირად პირველები არიან, ვისთანაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლს აქვს შეხება. ბევრი მათგანი უწევს გადაუდებელ ემოციურ, პრაქტიკულ, იურიდიულ და, ზოგჯერ, სამედიცინო დახ-

56. რეზოლუცია CM/Res(2016)3 „საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის სტატუსი“.

მარებას. ამგვარად, ეს ორგანიზაციები პოლიციისთვის მნიშვნელოვანი რესურსია: მათ შეუძლიათ პოლიციელთა დახმარება, რომ უკეთ გაიაზრონ ამ დანაშაულის რეალური ზეგავლენა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლსა და ლგბტ თემებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხშირად იზრდება შანსი, რომ დაზარალებულები ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და ჩაერთვებიან სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

პარტნიორებთან მუშაობა ყოველთვის ადვილი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიციას შორის შეიძლება უნდობლობა არსებობდეს. ეს მოდული დაეხმარება მონაწილეებს, უკეთ გაიაზრონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა, ასევე, თუ როგორ შეუძლია პოლიციას დაზარალებულთა საჭიროებებზე რეაგირების გაუმჯობესება. მოდული მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პირდაპირ წვლილს. კერძოდ, ისინი განმარტავენ, თუ რა მომსახურებას აწვდიან, ასევე, რა მონაცემები და გამოცდილება დააგროვეს ლგბტ პირთა საჭიროებებთან მიმართებით. შემდეგ მონაწილეებს საშუალება ექნებათ, იმუშაონ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინონ სფეროები, სადაც შესაძლებელია თანამშრომლობის გაუმჯობესება.

რეკომენდებულია, ეს მოდული გამოიყენონ სასწავლო სესიებში, თუ სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ჩართული ამ პროცესებში. მისი მეშვეობით ტრენინგი შეიძლება გაიმართოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ოფისშიც. ამგვარი მიდგომა მონაწილეებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაეცნონ ორგანიზაციის საქმიანობას და ნათლად გაიაზრონ გზავნილი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წამყვანი პარტნიორები არიან ლგბტ პირთა მიმართ დანაშაულის აღმოფხვრაში. ეს კი, თავის მხრივ, კარგ საფუძველს შექმნის ახალი საკითხებისა და თანამშრომლობის სფეროების გამოვლენისთვის.

სწავლების შედეგები

შედეგად, მონაწილეები:

- გააცნობიერებენ, თუ რისი შეთავაზება შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისა და აღრიცხვის გასაუმჯობესებლად;
- შეძლებენ, მიმართონ ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღკვეთაში თანამშრომლობისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, შეიმუშავებენ ერთობლივ აქტივობებს.

აქტივობების მიმოხილვა

5.1 ვინ არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორ შეუძლიათ დახმარება და როგორ შეგვიძლია თანამშრომლობა მათთან? (40-45 წუთი).

5.2 „მათ ადგილზე ყოფნა: რა უნდა გავაკეთო და რისი გაკეთება შემიძლია?“ (45 წუთი).

5.3 საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება (40 წუთი).

აქტივობა 5.1: ვინ არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და როგორ შეუძლიათ მათ დახმარება?

1. აქტივობამდე:

   ა) ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე ეროვნული და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოძიება. შეაგროვეთ სახელწოდებები, საკონტაქტო ინფორმაცია და ცნობები მათ საქმიანობასა და მომსახურებებზე. დაამატეთ ეს ინფორმაცია 5.1 დასარიგებელ მასალას იმ ნაწილში, სადაც ასახულია ინფორმაცია ILGA-ის და TGEU-ის შესახებ.

   ბ) გამოავლინეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც ამ აქტივობის ფარგლებში პრეზენტაციას გააკეთებს. იდეალურ შემთხვევაში, ასეთ ორგანიზაციას დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონიტორინგის ან/და მსხვერპლთა დახმარების სფეროში. შესაბამისი ორგანიზაციის გამოსავლენად და მასთან დასაკავშირებლად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს კონსულტაციების გამართვა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეროვნულ ექსპერტებთან. დაუთმეთ დრო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან ერთად სესიის დაგეგმვას. ერთად გაიარეთ სესიის გეგმა, შეათანხმეთ ძირითადი გზავნილები და გამოავლინეთ ნებისმიერი სენსიტიური საკითხი, რომლებიც შეიძლება ტრენინგზე წამოიჭრას (მაგ.: განსაკუთრებით სენსიტიური შემთხვევა, რომლის დროსაც პოლიციელები არასათანადოდ მოეპყრნენ მსხვერპლს ან/და მათ მხარდამჭერებს). წინასწარ შეათანხმეთ, როგორ შეიძლება ყველაზე უკეთ დისკუსიების წარმართვა მსგავს საქმეებსა ან საკითხებზე. გაითვალისწინეთ: ამ სესიის საერთო მიზანია სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიციას შორის არსებული ნებისმიერი პრობლემისა და დაძაბულობის პირდაპირ და გულახდილად წარმოჩენა; ამავდროულად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გზებზე, რომლებითაც პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ პროდუქტიული თანამშრომლობა მომავალში.

   პრეზენტაციაში განხილული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

   ა) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა;

   ბ) სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გავლენა მსხვერპლზე (შეიძლება პრაქტიკული მაგალითის მოყვანა ან პირადი გამოცდილების გაზიარება);

   გ) მოსაზრებები კანონების ან მათი განხორციელების თვალსაზრისით არსებულ ხარვეზებზე;

   დ) მონაცემები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, რომლებიც შეგროვებულია მოწვეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ან სხვა პარტნიორი ორგანიზაციის მიერ; ანალიზი, თუ რამდენად ემთხვევა ეს მონაცემები პოლიციის მონაცემებს და რატომ შეიძლება არსებობდეს განსხვავებები (მაგ.: მსხვერპლმა პოლიციას არ შეატყობინა დანაშაულის შესახებ; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და პოლიცია სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებენ და ა.შ.);

   ე) ამ ორგანიზაციების აღრიცხვის მეთოდოლოგიის მიმოხილვა და შეფასება, თუ რამდენად სანდოა მათი მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ;

   ვ) იმ მიზეზების მიმოხილვა, რის გამოც მსხვერპლი არ აცხადებს პოლიციაში დანაშაულის შესახებ;

გ) რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია პოლიციას ლგბტ მსხვერპლთა დახმარება და მხარდაჭერა;

თ) წინადადებები, თუ როგორ შეიძლება, უკეთ ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და პოლიციამ.

2. დაიწყეთ აქტივობა „გონებრივი იერიშის“ მოკლე სესიით, ჰკითხეთ მონაწილეებს, რა იციან საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაზე.
   დისკუსიის დროს შეგიძლიათ შესთავაზოთ შემდეგი იდეები:

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ:

- დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით (მაგ.: Amnesty International ან Human Rights Watch).
- ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტულად ლგბტ პირებთან დაკავშირებულ საკითხებსა და უფლებებზე (მაგ.: ILGA და TGEU).
- ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან მთელ რიგ აქტივობებში (მაგ.: მონიტორინგი, ანგარიშგება და ცნობიერების ამაღლება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ).
- ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, ევროპის საბჭოს, წარუდგენენ მონაცემებს და ინფორმაციას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თვალსაზრისით ეროვნულ დონეზე არსებული ვითარების შესახებ.
- ორგანიზაციები, რომლებიც უშუალო მხარდაჭერას უწევენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, პოლიციას ატყობინებენ დანაშაულს.

3. მიაპყარით მონაწილეთა ყურადღება 5.1 დასარიგებელ მასალაზე, სადაც ჩამოთვლილია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე.
4. მიიწვიეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია პრეზენტაციის გასაკეთებლად.
5. პრეზენტაციის შემდეგ, გაუწიეთ ფასილიტატორობა კითხვა-პასუხის სესიას.

დასარიგებელი მასალა 5.1: საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე

აქ მოყვანილია იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მაგალითები, რომლებიც საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მუშაობენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე. დაუთმეთ გარკვეული დრო მათი საიტების გაცნობას: ამით შეიტყობთ სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი მსგავსი დანაშაულების მხრივ, ასევე, გაეცნობით ამ პრობლემების გადაჭრისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის გზებს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე

ევროპის რეგიონის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი პირების მხარდაჭერის საერთაშორისო ასოციაცია (ILGA-Europe) http://www.ilga-europe.org/

ILGA-Europe მიზნად ისახავს ევროპულ და საერთაშორისო დონეზე თანმიმდევრული და ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მიმართ. ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ სხვადასხვა ვალდებულებათა შესრულებას; ასევე, თანამშრომლობს მის წევრებთან მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების მხარდასაჭერად, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიღებას ეროვნული საკანონმდებლო ორგანოებისა და მთავრობების მიერ.

ILGA-Europe თანამშრომლობს პროფესიულ ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყოს პოლიციის თანამშრომლების, პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების ტრენინგებს. ის ხელს უწყობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ინციდენტებზე მტკიცებულებების შეგროვებას წევრი ორგანიზაციების მიერ, ასევე, ეხმარება მათ შესაძლებლობების განვითარებაში; დაბოლოს, ორგანიზაცია მხარს უჭერს და ეხმარება ევროპულ სასამართლოებში საქმეების წარდგენას და დავების წარმართვას.

OII Europe (Organisation Intersex International Europe)
https://oiieurope.org/about/

OII Europe არის ინტერსექს პირთა უფლებების დამცველი ევროპული ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაცია. იგი არ მუშაობს უშუალოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე, თუმცა შესანიშნავი რესურსია, რომ უფრო მეტი გაიგოთ ინტერსექს ადამიანებსა და მათ გამოცდილებაზე. შეგიძლიათ, OII Europe-ს დაუკავშირდეთ დამატებითი ინფორმაციისთვის, ასევე, როდესაც ცდილობთ კონტაქტების დამყარებას ეროვნულ დონეზე არსებულ წევრ ორგანიზაციებთან.

Transgender EU (TGEU)
Tgeu.org

Transgender EU, თავის წევრ ორგანიზაციებსა და პარტნიორებთან თანამშრომლობით, მონიტორინგს უწევს და ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხზე, როგორიცაა ტრანსგენდერ პირთა მიმართ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები

გლობალური და ევროპული მასშტაბით. 2009 წლიდან, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული Trans Murder Monitoring (TMM) პროექტის ფარგლებში, სისტემატურად გროვდებოდა, მოწმდებოდა და ანალიზდებოდა მონაცემები ტრანსგენდერი ადამიანების მკვლელობებზე მსოფლიო მასშტაბით. ევროპაში TGEU პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსარიცხად და ძალადობის მსხვერპლს/გადარჩენილებს სთავაზობს თემზე დაფუძნებულ მხარდაჭერას თავისი პროექტის ფარგლებში ProTrans.

Amnesty International

Amnesty.org

Amnesty International-მა მთელი რიგი ეროვნული გამოძიებები ჩაატარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, მათ შორის, ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე. ორგანიზაციის ანგარიშები მოიცავს კაზუსებს, ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს ანალიზს და ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართულ რეკომენდაციებს.

მოიძიეთ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ანგარიშები სხვადასხვა ქვეყნის შესახებ.

Human Rights Watch

www.hrw.org

Amnesty-ის მსგავსად, Human Rights Watch იკვლევს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებს, მათ შორის, ლგბტ პირთა მიმართ. ორგანიზაციის ანგარიშები მოიცავს კვლევებს, ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს ანალიზს და ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართულ რეკომენდაციებს.

მოიძიეთ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ანგარიშები სხვადასხვა ქვეყნის შესახებ.

ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე

სახელი;
ვებ-გვერდი;
საკონტაქტო პირი;
ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა (ტრენინგი, მონიტორინგი, მსხვერპლთა მხარდაჭერა და სხვა).

აქტივობა 5.2 „მათ ადგილზე ყოფნა: რა უნდა გავაკეთო და რისი გაკეთება შემიძლია?“

აღნიშნული სესია უნდა ჩატარდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობით. იგი შეიძლება გაიმართოს ასეთი ორგანიზაციის პრეზენტაციის შემდეგ.

1. სესიის დაწყებამდე მოამზადეთ ფლიპჩარტის 5 ფურცელი და დაწერეთ:
   - გვერდი 1: „რა სჭირდება მსხვერპლს?“
   - გვერდი 2: „რა სჭირდება პოლიციას?“„რისი გაკეთება შეუძლია პოლიციას?“
   - გვერდი 3: „რა სჭირდებათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს?“ „რისი გაკეთება შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს?“
   - გვერდი 4: „რა სჭირდებათ პროკურორებს?“ „რისი გაკეთება შეუძლიათ პროკურორებს?“
   - გვერდი 5: „რა სჭირდებათ სამინისტროებს?“ „რისი გაკეთება შეუძლიათ სამინისტროებს?“
2. დაამაგრეთ ეს ფურცლები გამოსაჩენ ადგილას ოთახში და მოამზადეთ კალმისტრები.
3. წარადგინეთ სესია. განმარტეთ, რომ ამ სესიის მიზანია:
   - იმ ადამიანების და ორგანიზაციების თვალსაზრისის გაგება, რომლებიც მუშაობენ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრაზე.
   - განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მსხვერპლთა თვალსაზრისზე.
4. დაყავით მონაწილეები 5 მცირე ჯგუფად. უთხარით, რომ 5-7 წუთი უნდა დაუთმონ ფლიპჩარტების შევსებას პირველ პირში (მაგ.: მსხვერპლის ფურცელზე შეიძლება დაიწეროს: „როგორც მსხვერპლს, მე მჭირდება...“, პოლიციის ფურცელზე – „როგორც პოლიციის ოფიცერს, მე მჭირდება/შემიძლია...“). ხაზი გაუსვით შემდეგ საკითხს: მართალია, მსხვერპლსაც შეუძლია გარკვეული ზომების მიღება ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილის მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად (მაგ.: განაცხადოს დანაშაულის შესახებ; მონაწილეობდეს სისხლის სამართლის წარმოებაში), თუმცა, მათ არ უნდა აიძულონ იმის გაკეთება, რაც არ სურთ. მიუთითეთ, რომ ამ თვალსაზრისით, მსხვერპლის როლი სრულიად განსხვავდება პოლიციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სამინისტროების როლისგან, რომლებსაც პასუხისმგებლობები ეკისრებათ შესაბამისი ზომების გატარებაზე. განმარტეთ, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო განსხვავდება მსხვერპლის გვერდი სხვა გვერდებისგან.
5. უთხარით მონაწილეებს, რომ 7 წუთის ამოწურვის შემდეგ, ჯგუფის ერთი წევრი დარჩება თავის ადგილას, ხოლო დანარჩენები მომდევნო ფლიპჩარტთან გადავლენ. ჯგუფი ფლიპჩარტზე 5-7 წუთი იმუშავებს. ფლიპჩარტთან დარჩენილი მონაწილე განუმარტავს მათ, თუ რა დაწერა მისმა ჯგუფმა იმავე სიტყვების გამოყენებით („როგორც მსხვერპლს, მე მჭირდება ...“, „როგორც პოლიციის ოფიცერს, მე შემიძლია ...“ და ა.შ.). შემდეგ ჯგუფმა უნდა გამოავლინოს, ხომ არ გამორჩა რამე წინა ჯგუფს და დაამატოს ეს საკითხები ჩამონათვალს.
6. 7 წუთის ამოწურვის შემდეგ, ჯგუფის სხვა წევრი დარჩება თავის ადგილას, ხოლო დანარჩენი წევრები მომდევნო ფლიპჩარტთან გადავლენ. ჯგუფი ფლიპჩარტზე 5-7 წუთი იმუშავებს. ფლიპჩარტთან დარჩენილი ადამიანი განუმარტავს მათ, თუ რა დაწერა მისმა ჯგუფმა იმავე სიტყვების გამოყენებით. შემდეგ ჯგუფმა უნდა გამოავლინოს,

ხომ არ გამორჩა რამე წინა ჯგუფს და დაამატოს ეს საკითხები ჩამონათვალს. გააგრძელეთ ასეთი წესით მუშაობა მანამ, სანამ ჯგუფი ყველა ფლიპჩარტს არ შეავსებს.

7. სთხოვეთ ყველას, რომ დაბრუნდნენ დიდ ჯგუფში დებრიფინგის მოსაწყობად. ჰკითხეთ მონაწილეებს: რა გაიგეს ამ აქტივობიდან, რა გაუკვირდათ და რას გაითვალისწინებენ? გამოავლინეთ და ჩაიწერეთ ძირითადი ქმედებები, რომლებიც შეიძლება გატარდეს ახლო და საშუალოვადიან პერიოდში, რათა გამოვლენილი საჭიროებები დაკმაყოფილდეს პოლიციასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა უწყებებთან თანამშრომლობით.

აქტივობა 5.3 თემთან ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება (1 საათი)

ეს აქტივობა 2 ნაწილისგან შედგება: პირველი ითვალისწინებს კაზუსის შესწავლას შეძენილი ცოდნის გამოსავლენად და იმის გააზრებას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სხვაგვარად. მეორე ნაწილი ითვალისწინებს „გონებრივ იერიშს“, რომლის დროსაც მონაწილეებმა უნდა განსაზღვრონ ეროვნულ დონეზე გასატარებელი ქმედებები პოლიციასა და ლგბტ თემებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამ მოდულის ფარგლებში, სხვა აქტივობებთან მიმართებით, განსაკუთრებულად რეკომენდებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობა.

5.3(ა) საპოლიციო ღონისძიებების გატარება ჰომოფობიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რუმინეთი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე M.C. and A.C. v Romania

1. სესიის დაწყებამდე გაამზადეთ ფლიპჩარტის 2 ფურცელი. პირველზე დაწერეთ: „რა გაკეთდა არასწორად?“ მეორეზე დაწერეთ: „რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვაგვარად?“
2. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად. თუ ამ აქტივობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, გადაანაწილეთ ისინი პოლიციის თანამშრომლებით წარმოდგენილ ჯგუფებში. სთხოვეთ მონაწილეებს, გაეცნონ კაზუსს, ამ კითხვების გათვალისწინებით. ახსენით, რომ აქტივობის მიზანი არ არის ბრალეულობის დადგენა. მიუთითეთ, რომ ევროპის საბჭოს ბევრ ქვეყანას ჰქონდა მსგავსი გამოწვევები, ამ საქმეზე კი ყურადღებას ამახვილებთ იმის გამო, რომ რეალურად მოხდა და ასახავს პოლიციისა და თემების წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებს.
3. მიეცით მონაწილეებს 5-7 წუთი კაზუსის გასაცნობად. სთხოვეთ, მოკლე პასუხი გასცენ შემდეგ ორ შეკითხვაზე.
4. გააერთიანეთ მონაწილეები დიდ ჯგუფად, რათა ერთმანეთს გაუზიარონ პასუხები. როდესაც განიხილავთ, რა გაკეთდა არასწორად, ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:
   - აღლუმის შემდეგ მონაწილეები დაშავდნენ, მიუხედავად ტანსაცმელსა და მარშრუტზე მიწოდებული ინსტრუქციებისა.
   - პოლიციის რეაგირება მსხვერპლთა მდგომარეობაზე არასათანადო იყო (მაგ.: გამოხატავდნენ გაოცებას, რომ „შეძლებულები“ იყვნენ, და ცდილობდნენ, გადაერწმუნებინათ საქმის აღძვრისგან).

- მსხვერპლთან არაეფექტიანი კომუნიკაცია, რაც, სავარაუდოდ, შეარყევს ლგბტ თემის ნდობას (მაგ.: ACCEPT-ს 3-ჯერ დასჭირდა პოლიციასთან დაკავშირება, რათა გაერკვია საქმესთან დაკავშირებული ვითარება).
- არსებობს მტკიცებულებები, რომ არასათანადოდ დაიგეგმა აღლუმის მონაწილეთა დაცვაზე მიმართული ზომები, რომლებიც უნდა გატარებულიყო ღონისძიებამდე, ღონისძიების პროცესში და მის შემდგომ.

მსჯელობისას, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვაგვარად, ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- უსაფრთხოების პროცედურების განხილვა ღონისძიების დაწყებამდე, რათა მონაწილეები დაცულნი იყვნენ ღონისძიებამდე, ღონისძიების პროცესში და მის შემდგომ.
- პოლიციის ტრენინგის ორგანიზება ჰომოფობიური თავდასხმების მსხვერპლთა სენსიტიურ და ეფექტიან გამოკითხვაზე.
- მტკიცებულებათა უკეთ შეგროვება, თავდამსხმელთა მიმართ პოტენციური წარმოების მიზნებით (შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: ეს დისკუსია არ უნდა გადაიზარდოს საგამოძიებო საკითხების დეტალურ განხილვაში, რაც წარმოდგენილია მე-4 მოდულში).
- ინციდენტის შემდეგ მსხვერპლთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

დასარიგებელი მასალა 5.3(ა): ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კაზუსის გაცნობა: საქმე M.C. and A.C. v. Romania

ამ მასალაში ტრენინგის მიზნებისთვის განხილულია საქმე M.C. and A.C. v. Romania. საქმის დეტალურად გასაცნობად, ეწვიეთ სასამართლოს ვებგვერდს: https://goo.gl/sHMXb4.

რა მოხდა

2006 წლის 3 ივნისს განმცხადებლები მონაწილეობდნენ ბუქარესტის ყოველწლიურ გეი აღლუმში. აღლუმი ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია ACCEPT-ის მიერ, რომლის მიზნებშიც შედის ლგბტ თემებისთვის ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა. აღლუმის უსაფრთხოდ ჩასატარებლად, პოლიციის ძალები გამოიყო. რამდენიმე პირი, რომლებიც აქტიურად გამოხატავდნენ პროტესტს და გმობდნენ გეიების მსვლელობას, პოლიციამ შეაჩერა, გადაუღო სურათები, შეუმოწმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩაინიშნა ინფორმაცია.

დაახლოებით საღამოს 7 საათზე, როდესაც აღლუმი დასრულდა, განმცხადებლებმა და ოთხმა მონაწილემ დატოვეს ტერიტორია იმ მარშრუტით და ტრანსპორტით, რომელიც რეკომენდებული იყო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან და ასახული იყო აღლუმის ორგანიზატორის მიერ მომზადებულ ბროშურაში. იმავე ბროშურაში მოწოდებული რეკომენდაციის მიხედვით, მათ არ ეცვათ გამორჩეული ტანსაცმელი და არ ჰქონდათ სამკერდე ნიშნები, რომლებიც მიანიშნებდა მათ მონაწილეობაზე აღლუმში.

მეტროს მატარებელში ჩასხდომის შემდეგ, მათ თავს დაესხა ექვსი ახალგაზრდა კაცისა და ერთი ქალისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც კაპიუშონიანი სპორტული ქურთუკები ეცვათ. თავდამსხმელები პირდაპირ დაზარალებულებთან მივიდნენ და დაუწყეს მუშ-

ტებით და წიხლებით სახესა და თავში ცემა. ისინი მეტროს სახელურებზე ეკიდებოდნენ და ისე ურტყამდნენ წიხლებს დაზარალებულებს. თავდასხმისას ისინი გამუდმებით ყვიროდნენ: „თქვე გეიებო, წაეთრიეთ ჰოლანდიაში!“ (Poponarilor, duceţi-vă în Olanda!)

მათ დაზარალებულები ვაგონის კუთხეში მოიმწყვდიეს. ერთ-ერთმა სცადა სხვების დაცვა და გადაეფარა, მაგრამ მეორე განმცხადებელი დაუცველი დარჩა და რამდენჯერმე დაარტყეს.

თავდასხმა, დაახლოებით, ორი წუთის განმავლობაში გაგრძელდა. თავდამსხმელებმა ვაგონიდან გასვლისას პირველ მომჩივანს კიდევ ერთხელ ჩაარტყეს მუშტი სახეში.

თავდასხმისას სხვა მგზავრები ვაგონის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდნენ. მათ შორის იყო ფოტოგრაფი, რომელიც ასევე ესწრებოდა აღლუმს. დაზარალებულებმა სთხოვეს, გადაეღო ინციდენტი, რაც მან გააკეთა. შედეგად, თავდამსხმელებმა მასაც სცემეს.

პოლიციის გამოძიება

მოგვიანებით, 2006 წლის 3 ივნისის ღამით, დაზარალებულებმა, მათ შორის, განმცხადებლებმა და ACCEPT-ის წარმომადგენელმა, პოლიციას მიმართეს. მათ თავდამსხმელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანეს და განაცხადეს, რომ ინციდენტი მსხვერპლთა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე მოხდა; ასევე, კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არ ეცვათ და ეკეთათ რაიმე ისეთი, რაც ნათლად მიუთითებდა გეი აღლუმიდან დაბრუნებაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თავდამსხმელებმა მათი იდენტიფიცირება აღლუმის დროს შეძლეს (რადგან ნიღბები არ ეკეთათ), შემდეგ კი აედევნენ ზიანის მისაყენებლად; ასევე, შეატყობინეს პოლიციას ის შეურაცხმყოფელი შენიშვნები, რომლებიც თავდამსხმელებმა გააკეთეს ინციდენტისას.

განმცხადებელთა თანახმად, პოლიციელები გაოცდნენ, როცა მიხვდნენ, რომ დაზარალებულები, გეი ორიენტაციის მიუხედავად, შეძლებული ადამიანები იყვნენ, ჰქონდათ რეგულარული სამუშაო და მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. პოლიციამ სცადა მათი გადარწმუნება საჩივრის წარდგენისგან და აფრთხილებდა, რომ სასამართლოში თავდამსხმელებთან პირისპირ შეხვედრა მოუწევდათ.

პოლიციის რეორგანიზაციის გამო, საქმის მასალები ერთი პოლიციის განყოფილებიდან მეორეს გადაეცა და 2007 წლის 4 აპრილს საქმე მეტროს პოლიციაში დარეგისტრირდა.

განმცხადებლებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ საქმეზე რაიმე ღონისძიებები არ ტარდებოდა. შესაბამისად, მათ სცადეს ინფორმაციის მიღება გამოძიების მიმდინარეობაზე: კერძოდ, 2006 წლის 25 სექტემბერს, 2007 წლის 28 მარტს და 2011 წლის 20 ივლისს ACCEPT-მა წერილებით მიმართა გამოძიებას. 2007 წლის 19 მარტს მათ საჩივარი წარადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც აცხადებდნენ, რომ საქმის ეფექტიანი გამოძიება არ ჩატარებულა, თუმცა უშედეგოდ.

2011 წლის 9 აგვისტოს, მოთხოვნაზე პასუხად, მეტროს პოლიციამ განმცხადებლებს შეატყობინა, რომ არ ჰქონდა განზრახული სისხლის სამართლებრივი დევნა (neînceperea urmăririi penale), რადგან სავარაუდო დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა ამოწურული იყო (s-a împlinit prescripţia specială). პოლიციამ განმარტა, რომ გამოძიება გაცილებით რთული აღმოჩნდა, რადგან საქმის მასალები მეტროს პოლიციას მომხდარიდან ერთი წლის შემდეგ გადაეცა. გარდა ამისა, პოლიციის ყველა ქმედება, რომლებიც მიემართებოდა სავარაუდო დამნაშავეების დადგენისკენ, წარუმატებელი აღმოჩნდა.

2011 წლის 4 ოქტომბერს პროკურატურამ ბუქარესტის მეოთხე ოლქის რაიონულ სასამართლოს მიმართა პოლიციის წინადადების დამტკიცების თხოვნით და სასამართლომ გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილება პირველ განმცხადებელს სახლის მისამართზე გაეგზავნა 2012 წლის 27 თებერვალს.

შეკითხვები:
რა გაკეთდა არასწორად?
რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვაგვარად?

5.3(ბ): პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება პოლიციასა და ლგბტ თემებს შორის

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ყველა ეს იდეა შეიძლება არ შეესაბამებოდეს ყველა კონტექსტს და მნიშვნელოვანია მათი მორგება კონტექსტის გათვალისწინებით (მაგ.: შეიძლება პოლიციაში არ არსებობს ლგბტ ასოციაცია ან არ იყვნენ პოლიციელები, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ გეიები არიან. შესაძლებელია, ამ ეტაპზე მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ზომები ტარდება პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ თუნდაც პატარა ნაბიჯის გადადგმა ამ მიმართულებით შეიძლება მნიშვნელოვანი მიღწევა აღმოჩნდეს მომავალში პოლიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

პირველი ნაბიჯი: შეფასება

1. ამ ეტაპზე მონაწილეები შეაფასებენ პოლიციასა და ლგბტ თემებს შორის არსებულ ურთიერთობებს. ეს ერთ-ერთი რთული ნაბიჯია, რისთვისაც ღიაობა და გულახდილობაა საჭირო. თუ წინა ორი სესია კარგად წარიმართება, მაშინ პოლიციისა და ლგბტ თემის ურთიერთობათა ზუსტი და კონსტრუქციული შეფასების შანსი უფრო მაღალია.

მეორე ნაბიჯი: დაგეგმვა

2. სთხოვეთ მონაწილეებს, გაეცნონ 5.3(ბ) დასარიგებელ მასალას და შეათანხმონ ორი ნაბიჯი მაინც, რომლებიც შეიძლება გადაიდგას უახლოეს მომავალში.

მესამე ნაბიჯი: განხორციელება

3. სთხოვეთ მონაწილეებს, ჩამოაყალიბონ, თუ ვინ და როგორ განახორციელებს ამ ზომებს. თუ მონაწილეები გამოავლენენ ბარიერებს, რომლებიც მათი კონტროლის ფარგლებს მიღმაა (მაგ.: სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა, არასაკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა), წაახალისეთ გადალახვის გზების მოსაძებნად და შეახსენეთ, რომ ეს საკითხი მომდევნო მოდულში კიდევ ერთხელ განიხილება.

დასარიგებელი მასალა 5.3(ბ): ურთიერთობების გაუმჯობესება პოლიციასა და ლგბტ თემს შორის: ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი

დაიწყეთ მცირედით

თუ ეს პირველი კონტაქტია პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, დაიწყეთ მცირედით (მაგ.: მოაწყვეთ არაფორმალური შეხვედრა, რათა თითოეულ მხარეს შეეძლოს მეტის გაგება მეორე მხარის მუშაობასა და საქმიანობაზე და გამოავლინეთ თანამშრომლობის შესაძლო გზები).

იყავით პრაქტიკულები და ყურადღება გაამახვილეთ ურთიერთსასარგებლო აქტივობებზე

განსაზღვრეთ ორივე მხარის საკონტაქტო პირები და მოამზადეთ იმ ზომების მოკლე აღწერილობა, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ მათ.

შეათანხმეთ, რა სახით შეუძლიათ მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს პოლიციის ტრენინგებში; ყურადღება გაამახვილეთ ორგანიზაციის სპეციალიზაციის სფეროებზე, მათ შორის, მსხვერპლთა დახმარებაზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზემოქმედების გაცნობიერებასა და მსხვერპლთა საჭიროებებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეიძლება საკუთარი ხედვა ჰქონდეთ ლგბტ ჯგუფის მიმართ მიკერძოებულობის ინდიკატორებზე, რომლებიც აუცილებელია გამოძიებისა და მტკიცებულებათა შეგროვებისთვის.

ეწვიეთ ეროვნული ან ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებს, რომლებიც ლგბტ თემებთან მუშაობენ; ასევე, გეიებისადმი კეთილგანწყობილ ადგილობრივ ბიზნესსუბიექტებს (მაგ.: გეი ბარები და სხვა სოციალური ადგილები). წინასწარ დაგეგმეთ ვიზიტი; ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ დაინტერესებული ხართ იმის გაგებით, თუ როგორ მიდის საქმიანობა და რომელი საკითხები იწვევს თემის შეშფოთებას.

სთხოვეთ შეხვედრა იმ კონკრეტულ ინციდენტებზე სასაუბროდ, რომლებიც მათ გადახდათ, ასევე, მოსაზრებების გასაზიარებლად მსგავსი შემთხვევების გაზრდასა თუ შემცირებაზე.

სთხოვეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წვლილის შეტანა პოლიციისთვის სახელმძღვანელო მითითებების ან პროტოკოლების შემუშავებაში. ეს შესანიშნავი გზაა აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად და ხელს შეუწყობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზეგავლენის უკეთ გაცნობიერებას და მიკერძოებული დამოკიდებულების ინდიკატორთა შემუშავებას ახალი პერსპექტივიდან.

შეინარჩუნეთ რეგულარული კონტაქტი

რეგულარული თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ურთიერთობების გასამყარებლად, რომლებიც ძალიან სასარგებლო იქნება სერიოზული გამოწვევების შემთხვევაში (იხ. ქვემოთ).

დაელაპარაკეთ კონკრეტული, სენსიტიური ან გახმაურებული ინციდენტების შემთხვევაში

შეცდომები ხდება და საჭიროა დასკვნების გამოტანა მათზე დაყრდნობით. თავიდან აიცილეთ ურთიერთობების გაწყვეტა რთული ინციდენტების შემთხვევაში (მაგ.: ძა-

ლადობა თემის შეკრების ადგილას, პოლიციის არაეფექტიანი ქმედებები ან პოლიციის მხრიდან ძალადობა). შეინარჩუნეთ კომუნიკაციის არხები, თუნდაც დაძაბულობა წარმოიშვას კონკრეტულ ინციდენტებთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ არაფორმალური შეხვედრების შესაძლებლობა, სადაც ინციდენტებს განიხილავთ ნდობის ატმოსფეროში; შეთანხმდით, რომ პრესა არ ჩაერთვება ამ პროცესში. იმუშავეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც დაზარალებულებს ან ოჯახებს ეხმარებიან კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით.

ეფექტიანად გამოიყენეთ თქვენი მიღწევები მომავალი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად

თუნდაც მცირედით დაიწყოთ, ყოველთვის ეძებეთ შესაძლებლობები ჩართულობის გასაუმჯობესებლად. შესაძლებელია, საკონტაქტო პირების სისტემა კარგად მუშაობს და დადგა დრო, რომ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოთ ინციდენტებისა და მათზე რეაგირების განსახილველად; შეიძლება მზად ხართ, მონაცემთა ან ინფორმაციის ანონიმურად გაზიარების განსახილველად ან შეძლოთ მოლაპარაკება მსხვერპლთა რეფერირების სისტემაზე.

ამ სამუშაოებისთვის საკმარისი რესურსები გამოყავით

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა მონიტორინგისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია, ხშირად მათ საკმარისი რესურსები არ აქვთ ამ სამუშაოების განსახორციელებლად. სადაც შესაძლებელია, პოლიციამ ფინანსური რესურსები უნდა მოიძიოს იმ სამუშაოსთვის, რომლის შედეგებსაც პოლიცია ეყრდნობა.

ნათლად ჩამოაყალიბეთ, რისი მიღწევა შეიძლება ორივე მხრიდან

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს გარანტიას, რომ დაზარალებული დანაშაულს პოლიციას შეატყობინებს ან სისხლის სამართლის პროცესში მიიღებს მონაწილეობას. ანალოგიურად, პოლიცია ვერ მოგცემს გარანტიას, რომ პროკურატურა სავარაუდო დამნაშავეს ბრალს წაუყენებს.

უფრო ფართო მიდგომა: თქვენს კონტექსტში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების რუკის შედგენა: პოლიტიკის ჩარჩო

წინაპირობები და მიზანშეწონილობა

ტრენინგი მნიშვნელოვნად გაზრდის პოლიციის შესაძლებლობებს, რომ ეფექტიანად გამოიძიოს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, თუმცა ეს ამ დანაშაულთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია (მაგ.: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციას და არა გენდერულ იდენტობას, რაც ართულებს ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას). შესაძლებელია: აღრიცხვის ფორმები არ აძლევდეს პოლიციას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ყველა ასპექტის დაფიქსირების საშუალებას და, შედეგად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის გამოვლენაც პოლიციას ამჟამად შეუძლია, უბრალოდ გაქრეს, არ აისახოს ოფიციალურ სტატისტიკაში; ამ სასწავლო სესიაზე განხილული საგამოძიებო პროცედურები არ აისახოს ოფიციალურ ოქმებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში; პროკურატურამ არ გაიაროს იგივე ტრენინგი ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის საკითხებზე, შესაბამისად, ნაკლები ინფორმაცია ჰქონდეს მტკიცებულებებზე, რომლებიც ამ დანაშაულებში დისკრიმინაციულ მოტივაციას დაადასტურებს.

შესაძლოა, ტრენინგის მონაწილეებმა სესიის შედეგად გამოავლინეს ეს და სხვა ბარიერები საგამოძიებო პრაქტიკის გაუმჯობესების და ლგბტ მსხვერპლთა მხარდაჭერის თვალსაზრისით. სავარჯიშოს მიზანია მონაწილეთა დახმარება ამ საკითხების ჩამოყალიბებასა და გადაჭრის გზების დასახვაში. მიზანშეწონილია, პოლიციის ხელმძღვანელი პირები და შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები დაესწრონ ამ სესიას; ძალიან სასარგებლო იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობაც. ეს ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი საკითხების უკეთ გაცნობიერებასა და გადაწყვეტილებათა მიღებას გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების შესახებ.

ამ მოდულის ფარგლებში მონაწილეებმა უნდა შეადგინონ ეროვნული კონტექსტის რუკა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისადმი ყოვლისმომცველი მიდგომისათვის საჭირო ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით. ესენია:

- სამართლებრივი ჩარჩო: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონმდებლობა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას დაცულ კატეგორიებად განსაზღვრავს?
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვის ჩარჩო და სისტემა: მოიცავს პოლიციის დანაშაულის აღრიცხვის ფორმების საჭირო მოსანიშნ ველებს, სადაც შესაძლებელია ლგბტ პირთა მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულების ინდიკატორების, მტკიცებულებების, მოტივისა და მსხვერპლის აღქმის მითითება?
- სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები: მკაფიო ინსტრუქციები აქვს პოლიციას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე, მსხვერპლთა დახმარებასა და პროკურორებთან თანამშრომლობაზე საქმის წარმატებულად მომზადებისათვის?
- ტრენინგი: ტარდება პოლიციისთვის რეგულარული ტრენინგები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების საკითხებზე? პოლიციის ყველა დანაყოფისთვის ხელმისაწვდომია ისინი?
- მხარდაჭერის სერვისები: არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები? ხელმისაწვდომია ისინი ლგბტ პირებისთვის?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არც ერთ ქვეყანას სრულად არ განუხორციელებია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის ზემოაღწერილი ელემენტები. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ეს სავარჯიშო გამოავლენს განხორციელების მხრივ არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს. მისი მიზანია, მონაწილეებმა დაადგინონ ერთ ან მეტ სფეროში არსებული ნაკლოვანებები და პრაქტიკული ნაბიჯები დასახონ მათ აღმოსაფხვრელად (რაც, თავის მხრივ, კარგი შანსია ეროვნულ დონეზე ვითარების კონსტრუქციული გაუმჯობესებისათვის).

სწავლების შედეგები

ამ სესიის შედეგად, მონაწილეები:

- ნათლად გაიაზრებენ ეროვნულ დონეზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონტექსტს (კანონი, მონაცემები, პოლიტიკა, ტრენინგი და ა.შ.) და შეძლებენ არსებული ხარვეზების გამოვლენას;
- დაადგენენ ტრენინგის პროცესში შეძენილი გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენების ბარიერებს და დასახავენ მათი აღმოფხვრის ზომებს.

აქტივობების მიმოხილვა

- 6.1 ხარვეზების გამოვლენა;
- 6.2 ზომების გატარება.

6.1: ხარვეზების გამოვლენა

1. ტრენინგის სესიის დაწყებამდე, ამობეჭდეთ ქვემოთ მოცემული ფურცელი. გააკეთეთ რამდენიმე ასლი. გამოჭერით ტერმინები და გაამზადეთ ტრენინგის სესიისთვის.

საკანონმდებლო ჩარჩო
სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვის ჩარჩო
ტრენინგი
მხარდაჭერის სერვისები
სხვა

2. აიღეთ ფლიპჩარტის ფურცელი და ასახეთ მასზე 6.1 დასარიგებელ მასალაში მითითებული ცხრილი. მოამზადეთ თითოეული მონაწილისთვის ამ ცხრილის ასლები, რათა სავარჯიშოს მიმდინარეობისას შენიშვნები ჩაიწეროს.

3. მოიწვიეთ მონაწილეები სესიაზე და აუხსენით, რომ სესიის მიზანია ეროვნული კონტექსტის რუკის შემუშავება ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და არსებული გამოცდილების გამოყენებით.

4. განმარტეთ (მაგალითის გამოყენებით), რომ თითოეულმა მონაწილემ უნდა წაიკითხოს ის, რაც მის ფურცელზე წერია, და შეაფასოს ეროვნული კონტექსტი ამ ტერმინთან დაკავშირებით (მაგ.: განიხილეთ ტერმინი „საკანონმდებლო ჩარჩო“ და გაუზიარეთ მონაწილეებს თქვენი შეფასება, რა ხარვეზები არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკანონმდებლო ჩარჩოში). ახსენით, რომ ჯგუფში შეიძლება სხვასაც შეხვდეს იგივე ტერმინი. ეს ნიშნავს, რომ მეორე პირმა უნდა დაამატოს შემდგომი დეტალები ან ინფორმაცია, რომელიც პირველ მონაწილეს გამორჩა.

5. მონაწილეები დაყავით მცირე ჯგუფებად, თქვენი შეხედულებისამებრ (შესაძლებელია, მიზანშეწონილად მიიჩნიოთ ამ აქტივობის ერთ დიდ ჯგუფში განხორციელება). დაურიგეთ მონაწილეებს პატარა ფურცლები (ზემოთ მითითებული დიაგრამა) და დარწმუნდით, რომ თითოეულ მათგანს აქვს ასეთი ფურცელი. თუ მონაწილეებს პატარა ჯგუფებად გადაანაწილებთ, დარწმუნდით, რომ თითოეულ ჯგუფს აქვს ყველა ტერმინის წყება.

6. გაამახვილეთ მონაწილეთა ყურადღება დიდ სქემაზე (თუ ერთზე მეტი ჯგუფი გყავთ, განუმარტეთ, რომ ეს სქემა უნდა შექმნან, როდესაც აქტივობა დაიწყება). გაიარეთ ტერმინები, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველას ესმის ისინი. ჰკითხეთ მონაწილეებს, ხომ არ სურთ რომელიმე ტერმინის დამატება. ისაუბრეთ ამაზე ჯგუფთან ერთად და შეათანხმეთ, უნდა დაამატოთ თუ არა ტერმინები.

7. უთხარით მონაწილეებს, რომ ეს მათი შანსია: (ა) გამოავლინონ, რა უნდა გაკეთდეს ტრენინგზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად (აქ არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხი); და (ბ) შეადგინონ რუკა, სადაც აისახება, თუ რა იციან და რა უნდა გაკეთდეს.

8. უთხარით მონაწილეებს, რომ ბოლო სვეტი ცარიელი უნდა დარჩეს; განუმარტეთ, რომ მას მომდევნო სესიის განმავლობაში შეავსებთ.

9. მიეცით მონაწილეებს 20-25 წუთი ამ საკითხების განსახილველად და ცხრილის შესავსებად.

10. თუ მონაწილეები მანამდე დაყავით, ისევ გააერთიანეთ ერთ ჯგუფად.

11. თითოეულ გუნდს სთხოვეთ გაზიარება, თუ რაზე შეთანხმდნენ თავიანთ ჯგუფში. ხელი შეუწყვეთ მოკლე დისკუსიას, რათა შეაჯეროთ ჯგუფის შეფასება და დაამატოთ ჯგუფურ დისკუსიაში გამოვლენილი საკითხები. შეეცადეთ, მიაღწიოთ შეთანხმებას თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებით.

12. წაახალისეთ მონაწილეები, რომ შემუშავებული ცხრილი ჩაინიშნონ (ეს შეიძლება გაკეთდეს ფოტოს გადაღების ან ცხრილის ქაღალდზე გადაწერის გზით).

6.2: ზომების გატარება

1. ამ სესიით მე-6 მოდული სრულდება. დაიწყეთ იმის განმარტებით, რომ სესიის მიზანია კონკრეტული და კონსტრუქციული ქმედებების განსაზღვრა, რომლებიც გააუმჯობესებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ყოვლისმომცველი მიდგომის ელემენტთა სრულად განხორციელებას. ხაზი გაუსვით, რომ ზოგიერთი აქტივობა სცდება მონაწილეთა მანდატს ან კომპეტენციას, თუმცა აქ შესრულებული სამუშაო შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ხელმძღვანელობისთვის, სამინისტროებისა და სხვა მხარეებისთვის. ამავდროულად, ხაზი გაუსვით, რომ ყოვლისმომცველი მიდგომის ერთი რომელიმე ელემენტის (მაგ.: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა) არარსებობა არ ნიშნავს, რომ ზომები არ უნდა გატარდეს.

2. დაიწყეთ დისკუსია ჯგუფთან და განიხილეთ თითოეული ელემენტი. მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ ეს სამუშაო მცირე ჯგუფებში შეასრულოთ. მიზნად დაისახეთ განსახორციელებელი ქმედებების სწრაფად განხილვა და წააქეზეთ

მონაწილეები ისეთი ქმედებების გამოსავლენად, რომელთა განხორციელებაც თავად შეუძლიათ. თუ ხელმძღვანელობის ან ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან სესიას, წაახალისეთ ისინი, რომ მონაწილეობა მიიღონ აქტივობაში და გარკვეული (თუნდაც მცირე) ქმედებების ვალდებულება იკისრონ.

3. დაასრულეთ აქტივობა იმის განმარტებით, რომ სქემა შეიძლება გამოყენებული იყოს საფუძვლად ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. წაახალისეთ მონაწილეები, რომ ერთად დაუბრუნდნენ სქემას პროგრესზე მონიტორინგის ან ცვლილებების შეტანის მიზნით, რათა იგი აქტუალური დარჩეს. მადლობა გადაუხადეთ მონაწილეებს აქტივობაში მონაწილეობისთვის. ხაზი გაუსვით, რომ ეს ბევრი ქვეყნის პოლიციისთვის შეიძლება რთული იყოს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროგრესის მისაღწევად.

დასარიგებელი მასალა

დასარიგებელი მასალა 6.1: ხარვეზების გამოვლენა

სფერო	**შეფასება**	**საკითხები** **რა ბარიერები არსებობს ამის მიღწევის მხრივ?**	**ქმედებები** **რა ზომების გატარებაა შესაძლებელი ამჟამად? ვინ უნდა გაატაროს ისინი?**
საკანონმდებლო ჩარჩო	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონმდებლობა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას დაცულ საფუძვლებად განსაზღვრავს?		
სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები	მკაფიო ინსტრუქციები აქვს პოლიციას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე, მსხვერპლთა დახმარებასა და პროკურორებთან თანამშრომლობაზე საქმის წარმატებულად მომზადებისათვის?		

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვის ჩარჩო	მოიცავს პოლიციის დანაშაულის აღრიცხვის ფორმები საჭირო მოსანიშნ ველებს, სადაც შესაძლებელია ლგბტ პირთა მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულების ინდიკატორების, მტკიცებულებების, მოტივისა და მსხვერპლის აღქმის მითითება?		
	ტარდება პოლიციისთვის რეგულარული ტრენინგები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების საკითხებზე? პოლიციის ყველა დანაყოფისთვის ხელმისაწვდომია ისინი?		
	არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები? ხელმისაწვდომია ისინი ლგბტ პირებისთვის?		
სხვა			

შეფასება

ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომი შეფასება მონაწილეებთან ერთად.

დანართი 1: დღის წესრიგების ნიმუშები ერთ და ორდღიანი ტრენინგებისთვის

ამ დანართში ასახულია დღის წესრიგის ნიმუშები ერთ და ორდღიანი ტრენინგისთვის. ძირითადი სასწავლო შედეგების მისაღწევად საკმარისი დროის გამოყოფისა და სათანადო ჩართულობისათვის, რეკომენდებულია ხელმძღვანელობა ორდღიანი ტრენინგის დღის წესრიგით. ადგილობრივი კონტექსტისთვის ყველაზე შესაფერისი მოდულებისა და აქტივობების შესარჩევად, რეკომენდებულია, ტრენერები დღის წესრიგის საბოლოო სახით შემუშავებამდე გაეცნონ წინამდებარე სახელმძღვანელოს.

გთხოვთ, გულდასმით წაიკითხოთ სახელმძღვანელოში ასახული შენიშვნები და მითითებები, ტრენინგის თითოეული ნაწილის შესაბამისად. ისინი აუცილებელ ინფორმაციას და დეტალურ განმარტებებს შეიცავს მოსამზადებელ სამუშაოებზე, რომლებიც უნდა ჩატარდეს ტრენინგის დაწყებამდე.

საპოლიციო ზომები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად: ტრენინგი პოლიციის პროფესიული რეაგირების შესახებ

ორდღიანი ტრენინგის დღის წესრიგი

9.15-9.30 შესავალი და ტრენინგის მიმოხილვა

მონაწილეები წარადგენენ თავს და გააზიარებენ ინფორმაციას ტრენინგთან დაკავშირებულ მოლოდინებზე. ტრენერი მიმოიხილავს ტრენინგის მიზნებს და შინაარსს.

9.30-11.15 რატომ შევიკრიბეთ აქ?

ეს აქტივობები ამზადებს საფუძველს ტრენინგის ჩასატარებლად. პირველი აქტივობა მოიცავს პოლიციის ხელმძღვანელი პირის მიმართვას, სადაც იგი საუბრობს ტრენინგთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და ტრენინგის ჩატარებაზე. მეორე აქტივობა მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლის მიმართვას, რომელიც მუშაობს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთან, და განმარტავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბუნებას და ზეგავლენას.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 1.1: პოლიციის ხელმძღვანელი პირის მიმართვა და ყურადღების გამახვილება ტრენინგთან დაკავშირებულ მოლოდინებზე.
- აქტივობა 1.2: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბუნებისა და ზეგავლენის მიმოხილვა ეროვნული/ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ.
- აქტივობა 1.3: ვითარება ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თვალსაზრისით.

11.15-11.30 ყავის შესვენება

11.30-13.00 ძირითადი ცნებები: ვინ არიან ლესბოსელები, გეიები, ტრანსგენდერები და ინტერსექსი პირები და რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული?

ამ აქტივობაში განხილულია ჯგუფები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული; ასევე, მიმოხილულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საერთაშორისო და ეროვნულ კონტექსტში.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 2.1: ლგბტ თემთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგიის გაგება. კურსის ფასილიტატორის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია პლენარულ სესიაზე (30 წუთი).
- აქტივობა 2.5: რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული? პრეზენტაცია და ჯგუფური დისკუსია.
- აქტივობა 2.6: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თვალსაზრისით არსებული ეროვნული კონტექსტის გამოვლენა (ასევე, გაეცანით ნაწილს „უფრო ფართო ქმედებების გატარება“, სადაც შედარებით მეტი მაგალითია მოყვანილი ეროვნული კონტექსტის განსაზღვრასთან დაკავშირებით).

13.00-13.45 სადილი

13.45-14.45 დანაშაულის არასაკმარისად გაცხადების პრობლემის გაცნობიერება

მოცემული აქტივობა მონაწილეებს ეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ არ აცხადებენ ლგბტ პირები მათ მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 3.2: კონკრეტული ბარიერების გამოვლენა, რომელთა გამოც ლგბტ თემები არ აცხადებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს; FRA ანგარიშის წაკითხვა.

14.45-15.45 ადამიანის უფლებები და პოლიციის ოფიცრის როლი

ამ აქტივობის ფარგლებში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკვანძო გადაწყვეტილებები და მისადაგებულია პოლიციის ოფიცრების როლთან, რომლებიც ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს იძიებენ.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 3.3: ევროპის საბჭოს ძირითადი სტანდარტების, ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებისა და ეროვნული სტანდარტების გაცნობა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

15.45-16.00 ყავის შესვენება

16.00-17.30 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება

ეს აქტივობები ეხმარება მონაწილეებს, რომ გაიაზრონ ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობა.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 4.2(ა): ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა (30 წუთი);
- აქტივობა 4.2(ბ): ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა.

მეორე დღე

9.00-9.15 მისალმება, პირველი დღის მიმოხილვა და მეორე დღის წარდგენა

9.15-11.30 (ყავის შესვენების ჩასმა) მტკიცებულებების შეგროვება

ეს აქტივობები ეხმარება მონაწილეებს ლგბტ პირთა მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების ძირითადი ინდიკატორების გაგებაში და ამ მტკიცებულებათა გამოყენებაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წარმატებულად გამოძიებისთვის.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 4.4: მტკიცებულებების შეგროვება: მიკერძოებული დამოკიდებულების ინდიკატორები – მიკერძოებული შერჩევის/მოტივის დამტკიცება.
- აქტივობა 4.5: მტკიცებულებების შეგროვება: მიკერძოებული დამოკიდებულების ინდიკატორები – ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენა.

(რეკომენდებულია, მონაწილეებს მიეწოდოთ დასარიგებელი მასალა 5.1).

11.30-12.30 ლგბტ თემების მხარდაჭერა: პოლიციის ეფექტიანი რეაგირება

მოცემული აქტივობა ითვალისწინებს პრაქტიკული მაგალითების შესწავლას იმის გასაცნობად, თუ როგორ უნდა მოხდეს კონკრეტულ ინციდენტებზე რეაგირება სენსიტიური გზით. იგი ინტერაქტიულია და სტერეოტიპების სენსიტიური და პრაქტიკული გზით შესწავლის საშუალებას იძლევა.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 4.7: ლგბტ თემების მხარდაჭერა: პოლიციის ეფექტიანი რეაგირება

12.30-13.30 სადილი

13.30-14.45 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ეს აქტივობა იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკვანძო გადაწყვეტილებებს შემდეგი ასპექტების შესასწავლად: როგორ შეუძლიათ თანამშრომლობა პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გეი თემების ღონისძიებებთან დაკავშირებული საპოლიციო ზომების ეფექტიანად გატარებისა და შეკრების უფლების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფისათვის.

- აქტივობა 5.1: ვინ არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO) და როგორ შეუძლიათ მათ დახმარება?
- აქტივობა 5.2: „მათ ადგილზე ყოფნა: რა უნდა გავაკეთოთ და რისი გაკეთება შეგვიძლია?“

14.45-15.00 ყავის შესვენება

15.00-16.30 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (გაგრძელება)

ეს აქტივობები ეხმარება მონაწილეებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობაში, ასევე, გარკვეული ნაბიჯების განსაზღვრასა და განხორციელებაში, რათა გაუმჯობესდეს მსხვერპლთა მხარდაჭერა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონიტორინგი.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 5.3: თემებთან ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

16.30-17.00 ტრენინგის დახურვა და შეფასება

ამ სესიის განმავლობაში ტრენერი ასრულებს ტრენინგს და სთხოვს მონაწილეებს, შეავსონ შეფასების ფურცელი.

საპოლიციო ზომები ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად: ტრენინგი პოლიციის რეაგირების შესახებ

ერთდღიანი ტრენინგის დღის წესრიგი

შენიშვნა ტრენერთა საყურადღებოდ: ერთდღიანი ტრენინგის განმავლობაში ყურადღების გამახვილება შესაძლებელია ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღკვეთაზე მიმართული საპოლიციო ზომების მხოლოდ ძირითად ასპექტებზე. დროის სიმცირის გამო, ამ ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პრეზენტაციების ფორმატში და არა ჯგუფური სამუშაოების გზით. შედეგად, ჩართულობა – სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ტექნიკა – უფრო შეზღუდულად მოხერხდება. შესაბამისად, სასურველია, ტრენინგი ორდღიანი მაინც იყოს.

9.15-9.30 შესავალი და ტრენინგის მიმოხილვა

მონაწილეები წარადგენენ თავს და გააზიარებენ ინფორმაციას ტრენინგთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ. ტრენერი მიმოიხილავს ტრენინგის მიზნებსა და შინაარსს.

9.30-11.00 რატომ შევიკრიბეთ აქ?

ეს აქტივობები ამზადებს საფუძველს ტრენინგის ჩასატარებლად. პირველი აქტივობა მოიცავს პოლიციის ხელმძღვანელი პირის მიმართვას, რომელშიც ის საუბრობს ტრენინგთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და ტრენინგის ჩატარებაზე. მეორე აქტივობა მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლის მიმართვას, რომელიც მუშაობს ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთან, და განმარტავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბუნებასა და ზეგავლენას.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 1.1: პოლიციის ხელმძღვანელი პირის მიმართვა და ყურადღების გამახვილება ტრენინგთან დაკავშირებულ მოლოდინებზე.
- აქტივობა 1.2: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბუნებისა და ზეგავლენის მიმოხილვა ეროვნული/ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ.
- აქტივობა 1.3: ვითარება ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თვალსაზრისით.

11.00-11.30 ყავის შესვენება

11.30-13.00 ძირითადი ცნებები: ვინ არიან ლესბოსელები, გეიები, ტრანსგენდერები და ინტერსექსი პირები და რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული?

ამ აქტივობაში განხილულია ჯგუფები, რომლებიც ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზეგავლენას განიცდიან; ასევე, მიმოხილულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საერთაშორისო და ეროვნულ კონტექსტში.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 2.1: ლგბტ თემთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგიის გაგება.
- აქტივობა 2.5: რა არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული?
- აქტივობა 2.6: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თვალსაზრისით არსებული ეროვნული კონტექსტის გამოვლენა (ასევე, გაეცანით ნაწილს „უფრო ფართო ქმედებების გატარება“, სადაც შედარებით მეტი მაგალითია მოყვანილი ეროვნული კონტექსტის განსაზღვრასთან დაკავშირებით).

13.00-13.45 სადილი

13.45-14.45 ადამიანის უფლებები და პოლიციის ოფიცრის როლი

ამ აქტივობის ფარგლებში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკვანძო გადაწყვეტილებები და მისადაგებულია პოლიციის ოფიცრების როლთან, რომლებიც ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს იძიებენ.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 3.3: ევროპის საბჭოს ძირითადი სტანდარტების, ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებისა და ეროვნული სტანდარტების გაცნობა ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

14.45-15.45 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება

ეს აქტივობები მონაწილეებს ეხმარება, რომ გაიაზრონ ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობა.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 4.2(ა): ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა
- აქტივობა 4.2(ბ): ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა

15.45-16.00 ყავის შესვენება

16.00-17.00 მტკიცებულებების შეგროვება

ეს აქტივობები ეხმარება მონაწილეებს ლგბტ პირთა მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების ძირითადი ინდიკატორების გაგებაში, ასევე ამ მტკიცებულებათა გამოყენებაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წარმატებულად გამოძიებისთვის.

აქტივობების ჩამონათვალი:

- აქტივობა 4.4: მტკიცებულებების შეგროვება: მიკერძოებული დამოკიდებულების ინდიკატორები – მიკერძოებული შერჩევის/მოტივის დამტკიცება.
- აქტივობა 4.5: მტკიცებულებების შეგროვება: მიკერძოებული დამოკიდებულების ინდიკატორები – ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენა.

(რეკომენდებულია, მონაწილეებს მიეწოდოთ დასარიგებელი მასალა 5.1).

17.00-17.15 დახურვა და შეფასება

ამ სესიით ტრენერი ასრულებს ტრენინგს და მონაწილეებს სთხოვს შეფასების ფურცლის შევსებას.

პოლიცია იმყოფება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წინა ხაზზე და წარმოადგენს პირველ საკონტაქტო უწყებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის. წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია პოლიციის ტრენერების, გამომძიებლების, მენეჯერების, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მებრძოლი ოფიცრების და წინა ხაზზე მყოფი პოლიციელებისათვის, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნებში, ევროპის საბჭოს რეგიონის მასშტაბით. სახელმძღვანელოს მიზანია, აღნიშნულ პირებს დაეხმაროს ლგბტი ადამიანების მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამოძიებისათვის საჭირო უნარების განვითარებაში.

PREMS 125618

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთა შორისაა ევროპის კავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE